გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№350 (409) 9-16 თებერვალი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## სურგი საჯაია: ახავაი დო ვავა უვიცობავა, ქედდადრეკილთა აზროვნებავა, უხვალდღეობისკენ თავანწყვეტილო ფეხანწყობავა და ჯოგური თვითქმაყოფილებავა!..

გვ.4



## ალექსანდრე ჭაჭია: სიტუაცია აშკარად ჩიხურია...

...საქართველოს წინა და ახლანდელმა ხელმძღვანელობებმა არ გამოიყენეს საშუალება გაეუმჯობესებინათ რუსეთთან ურთიერთობები, გასულიყვნენ პირდაპირ დიალოგზე აფხაზურ მხარესთან, აღედგინათ სანდო ურთიერთობები ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ ელიტებთან, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად...

გვ.2

## ალექსანდრე ტოლსტოი: საპარლამენტო რესპუბლიკა თუ ერთპიროვნული მმართველობა?

...როდესაც მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას სჭირდება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა, მაშინ როგორ შეიძლება პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნას საპარლამენტო რესპუბლიკაში პატივი არ სცეს და პასუხის ღირსადაც არ გახადოს...

გვ.7



## აფხაზი მაღალჩინოსნის სახლში გამართულ ნადიმზე, ქართველი ექიმების სადღეგრძელო არაერთხელ გაისმა

გვ.2

## კუკური ფიფია: როგორ „იცავენ“ სამართლის მცოდნენი სიმართლეს, ანუ ადვოკატ კახაბერ ქარდავას საძმოს საქმენი „საბმირონი“

გვ.10-11



## კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

...მტკიცება არ უნდა იმას, რომ “ვეფხისტყაოსანში” ჩამატებული ადგილები არის, მაგრამ ჩამატებული სიტყვათა წყობა მაშინვე განირჩევა თავისი სიბლაგვით, აზრისა და განცდის ფსიქოლოგიური სიმარტივით...

გვ.3



## წიგნებიანი ციგნები, ანუ კატების ყეფა ბევრძაღლიან ქვეყანაში — ანუ დაუხშეთ საინფორმაციო ღრუ!

გვ.5

## ალ. კაკულია — სვატოპლუკ ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტუაცია აშკარად ჩიხურია...

**ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა გაზეთში „აფხაზური მერიდიანი“, №7 (75), 2008 წლის ივლისი**

**– ბატონო ალექსანდრე! როგორ პროგნოზირებთ აფხაზეთის გარშემო სიტუაციის განვითარებას?**

– სიტუაცია შეყვანილია ჩიხში და არანაირი ხილული საფუძველი არ არსებობს, რომ ჩავთვალოთ, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება თუნდაც ამ ჩიხიდან გამოსვლის პერსპექტივა აღინიშნოს. საქართველოს ხელმძღვანელების ორიენტაცია მხოლოდ აშშ-ს თანამშრომლობასა და მათ მიერ კონტროლირებად საერთაშორისო ორგანიზაციებზე, კონტრპროდუქტიულია. აფხაზური მხარის დასტურისა და რუსეთის მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვა.

ომის შემდეგი პერიოდის მანძილზე კონფლიქტის დარეგულირებაში არცერთი შედეგიანი ნაბიჯი არ გადადგმულა. მეტიც, ყოველ წელს ამ პრობლემის გადაჭრის შანსები მტკიცედ მცირდება. საქართველოს წინა და ახლანდელმა ხელმძღვანელობებმა არ გამოიყენეს საშუალება გაეუმჯობესებინათ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობები, გასულიყვნენ პირდაპირ დაინტერესებულ დიალოგზე აფხაზურ მხარესთან, აღედგინათ სანდო ურთიერთობები ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ ელიტებთან, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად. ხოლო **ნატო**-ში შესვლის სწრაფვის დაუღლელი დეკლარირება სულ უფრო ამცირებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობას... დღეს **აშშ**-ს რუსეთის პოლიტიკაზე გავლენის მოქმედი ბერკეტი უკვე აღარ გააჩნია. მეტიც, **აშშ**-ს დღეს ევროპაში თავისი გავლენის შენარჩუნების პრობლემა აქვს. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის ძირითადი ქვეყნები – ე.წ. ძველი ევროპის წარმომადგენლები – სულაც არ არიან მზად **აშშ**-ს ისეთ მნიშვნელოვან ინიციატივებს დაუჭირონ მხარი, როგორებიცაა **ნატო**-ს აღმოსავლეთზე გაფართოვება, ანტისარაკეტო თავდაცვის განთავსება, ირანის ავანტიურა და სხვ. კერძოდ, ევროპელებს სულ უფრო უკეთ ესმით, რომ **ნატო** გახდა მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი. ამ ფონზე ძალზედ საეჭვოა, რომ ევროპა წავიდეს რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებაზე, განსაკუთრებით მოახლოვებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში. რუსეთი სულ უფრო სჭირდება ევროპას და ამერიკელები იძლებულები არიან ამას ანგარიში გაუწიონ.

**– დაინტერესებულია თუ არა რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში?**

– მე დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა რუსეთის ობიექტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს არ შეესაბამება. ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების უშუალო მეზობლობამ ნათესავურ დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, რომელსაც გააჩნია გასასვლელი ზღვასთან, არ შეიძლება არ გამოიწვიოს რუსეთის შეშფოთება, რომელიც თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნავს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, როგორც ცნობილია, გააჩნია უფლება აწარმოოს საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები. როგორი იქნება ეს შეთანხმებები, თუ გავითვალისწინებთ, მაგალითად, თურქეთის მიერ კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების უდიდეს დაინტერესებას? ვფიქრობ, რომ ეს გარემოებები გათვალისწინებულია პუტინის მიერ და იგი კოსოვოს პრეცენდენტის არსებობის დროსაც არ წავიდა აფხაზეთის აღიარებაზე, პრობლემის **„ტაივანიზაციის“** ვარიანტი არჩია. **აშშ**-ც და თურქეთიც, სხვათა შორის, ელოდებოდნენ აფხაზეთის აღიარებას. ეს პირველ რიგში,ართმევდა ევროპელებს არგუმენტს საქართველოს **ნატო**-ში მიღების წინააღმდეგ, მეორე, აჩენდა რუსეთს, როგორც აგრესორს, ხოლო ამერიკელებს – თანამგრძნობ მეგობრებად. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ დღევანდელი ქართული პოლიტიკა გაგრძელდება და საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ სამხედრო სტრუქტურებში ინტეგრაციის რეალური ხაზი დაიგეგმება, მაშინ რუსეთის მხარის მიერ აფხაზეთის აღიარება და მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება სრულიად შესაძლებელია.

**– რას მისცემს აფხაზეთს რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაცია? როგორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ რისკებს მოიცავს ეს?**

– პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით რუსეთთან ურთიერთობები – ეს ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალია აფხაზეთისთვის შექმნილი სიტუაციიდან. არანაირი რეალური ალტერნატივა აფხაზეთს დღეს არ აქვს. მომავლის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია – პარალელურად რეინტეგრირებადი პროცესი საქართველოსთან ურთიერთობებში. მაგრამ ზუსტად პარალელური, რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესაბამისი გარანტიებით.

რაც შეეხება დემოგრაფიას, აქ არის სერიოზული პრობლემები. ომის წინა პერიოდში აფხაზეთში უნიკალური კულტურულ-ისტორიული საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელიც იქ მცხოვრები ხალხების – ქართველების, აფხაზების, რუსების, სომხების, ბერძნების და სხვ. სპეციფიკურ თვისებებსა და სოციო-კულტურულ მახასიათებლებს ორგანულად და ჰარმონიულად აერთიანებდა. პრიორიტეტულ როლს, რა თქმა უნდა, აფხაზურ-მეგრული ტრადიციები, ჩვეულებები, ქცევის კულტურა თამაშობდა, მაგრამ ყველა ერის წარმომადგენლები ამ გარემოში თავს კომფორტულად გრძნობდნენ. შევარდნაძემ, ომის დაწყებით, ეს ერთიანობა დაარღვია. ის უკვე აღარასოდეს იქნება. იქნება ახალი, ღვთის მადლით, რამით მსგავსი, მაგრამ ასეთი აღარ იქნება. მე ვიცი, რომ აფხაზეთის საზოგადოების მნიშნელოვან ნაწილში ძლიერი ნოსტალგიური განწყობებია იმ ბედნიერი ერთობის მიმართ და ეს გვაძლევს საფუძველს რაიმე მსგავსის შექმნის შესაძლებლობის იმედი ვიქონიოთ. მე, როგორც ძირძველ ოჩამჩირელს, მინდა ამის მჯეროდეს. მაგრამ არის აფხაზური საზოგადოების სხვა ნაწილიც, რომელიც თვლის, რომ ქართული კომპონენტის შეცვლა ჩრდილოკავკასიურით და თურქულით მისცემს საშუალებას შექმნას უკეთესი, უფრო წარმატებული ერთობა. კერძოდ, კეთდება ფსონი მაჰაჯირების შთამომავლების დაბრუნებაზე. მაგრამ ეს ხომ ის აფხაზები არ არიან, რომლებიც ცხოვრობენ გუდაუთის და ოჩამჩირეს რაიონში. ეს უმრავლესად არიან თურქები – შესაბამისი მენტალიტეტით, რწმენით, ჩვეულებებით. საქართველოს ირანელი ქართველების რეპატრიაციის გამოცდილება გააჩნია. და რა გამოვიდა ამისგან? დღესაც საქართველოში ჩამოდიან ქართული წარმოშობის სპარსელები. ნუთუ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ორგანულად ირთვებიან ქართულ საზოგადოებაში? დღეს ისინი ცოტანი არიან და აქ ძირითადად, დროებით საქმიანი მიზნებით იმყოფებიან. მაგრამ, მაგალითად, თუ მუდმივად საცხოვრებლად 300 ათასი თურქი-მესხი დაბრუნდება, ეს იქნება კატასტროფული პრობლემა. იგივეა აფხაზეთშიც. ჯერჯერობით შეძლეს ერთი თუ ორი ათასი ადამიანის გადმოსახლება. შესაძლოა, ასეთი რაოდენობა გახდება კიდეც საზოგადოების ნაწილი. მაგრამ თუ, მაგალითად, თურქეთი დაისახავს მიზნად და შეიმუშავებს რეგიონის ათვისების სახელმწიფო პროგრამას, შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, მაშინ გადმოსახლება მიიღებს მასიურ ხასიათს. მაშინ უკვე საუბარი წავა ამჟამინდელი აფხაზური საზოგადოების ტრანსფორმაციაზე, მის ასიმილაციაზე, რა თქმა უნდა, რეგიონში სრული გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებით. ვფიქრობ, აფხაზურ საზოგადოებრიობას ესმის ასეთი მოვლენების განვითარების საფრთხე. დარწმუნებული ვარ, რომ იტყვის თავის სიტყვას მართლმადიდებლური სამღვდელოებაც მამა ვისარიონის (ფილიას) მეთაურობით, რომელიც აფხაზეთში მართლმადიდებლობის შენარჩუნებისა და განვითარების ძალიან დიდი და კეთილშობილი საქმიანობითაა დაკავებული.

**– ბოლო დროს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დაიძაბა. კეთდება სხვადასხვა სახის მკვეთრი განცხადებები ორივე მხრიდან და მოსკოვიდანაც. როგორც გგონიათ, შესაძლებელია სამხედრო მოქმედებების განახლება?**

– მე, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, კვლავაც მჯერა საღი აზრის საერთოდ და საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებისაც. ამიტომ, გულწრფელად მჯერა, რომ სამხედრო მოქმედებები ნაკლებად მოსალოდნელია. ომი ერთიან სახელმწიფოსამართლებრივ სივრცეში აფხაზებისა და ქართველების ერთად ცხოვრების პერსპექტივას ბოლოს მოუღებს. დარწმუნებული ვარ, რომ კეთილი ნებითა და ჩვენი ერების მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტაციით ჩვენ შეგვიძია დავძრათ ჩვენი ერების შერიგებისა და დაახლოვების საქმე და ერთად გავიდეთ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მომავალი თაობების მშვიდობაში, სიყვარულსა და თანხმობაში ცხოვრებას უზრუნველყოფს.

**ესაუბრა ლეო კანკავა**

## “აფხაზი მაღალჩინოსნის სახლში გამართულ ნადიმზე, ქართველი ექიმების სადღეგრძელო არაერთხელ გაისმა”



უფალმა დამიფაროს, რომ ვინმეს რამე დავამადლო, მაგრამ პატარა ბავშვივით მიხარია, როცა გავიგებ, თუ როგორ უანგაროდ აღმოუჩინეს დახმარება ქართველმა ექიმებმა ჩვენს აფხაზ თანამოძმეებს. ნამდვილად სამწუხაროა ის ამბავი, რომ ჩვენ მისხალ-მისხალ გვიწევს ურთიერთობის დარეგულირება იმ აფხაზ დაძმებთან, რომლებთანაც მრავასაუკუნოვანი თბილი თანაცხოვრება გვაკავშირებს, მაგრამ მაინც გასახარელია ის ამბავი, რომ ხალხური დიპლომატია თანდათან იკრებს ძალას კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ ერთმანეთის ტკივილი გვტკივა, ერთმანეთი გულით გვედარდება და ამიტომაც უნდა ვიყოთ ერთად.

ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიხარე, როცა ჟურნალისტ მანანა მაზიაშვილის **“ფეისბუკის”** საკუთარ გვერდზე მეტად ემოციურ ჩანაწერს წავიკითხე:

**“გალიდან ჩამოსულმა მეგობარმა დღეს გულისამაჩუყებელი ამბავი მიამბო: რამდენიმე თვის წინ ოჩამჩირეში აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. ოჯახის უფროსი ვაჟი სიმაღლიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია, რომელსაც სოხუმში ვერ გააკეთებდნენ. ოჯახი ასეთი არჩევანის წინაშე დადგა: ან თბილისი, ან რუსეთის რომელიმე დიდი ქალაქი. თუმცა როგორც აფხაზი ექიმები ამბობდნენ, მოზარდის ბედს წუთები წყვეტდა და ოჯახმაც მოკლე გზა აირჩია – თბილისი. ავადმყოფი ზუგდიდიდან ჩასული რეანომობილით წამოიყვანეს, მარტო, მშობლებმა გაყოლა ვერ შეძლეს. თბილისში ქართველმა ნეიროქირურგებმა ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, მთელმა საავადმყოფომ უპატრონა, მოუარა და გამოჯანმრთელებული გაამგზავრა ოჩამჩირეში. მოგვიანებით, მთელი გალი ლაპარაკობდა აფხაზი მაღალჩინოსნის სახლში გამართულ ნადიმზე, სადაც ქართველი ექიმების სადღეგრძელო არაერთხელ გაისმა. ამის მერე გალელებმა ერთი უცნაურობაც შეამჩნიეს: ენგურს გაღმა ექიმთან მიმავალ მგზავრებს პრობლემებს აღარ უქმნიან, თუმცა იქაურებს კარგად ახსოვთ, უფრო ადრე როგორ გარდაიცვალა მოზარდი, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია სჭიდებოდა, მაგრამ მოუწესრიგებელი დოკუმენტების მომიზეზებით ე.წ. საზღვარზე არ გაატარეს.**

**ჩემი მეგობარი მარწმუნებს, ამ ფაქტებს წყალი არ გაუვაო. თუ ვინმემ მოიგონა, არც ეს არის ცუდი, როგორც ჩანს, ენგურს გაღმა მცირედით, მაგრამ მაინც დათბა”.**

ვიმეორებ: ჩვენ – ქართველებსა და აფხაზებს შერიგების გარდა სხვა გზა არ გაგვაჩნია, რადგან **“ქართველთყლაპია”** მტერი კვლავაც მძლავრობს და ცალ-ცალკე ცდილობს ჩვენს გადასანსვლას. თუნდაც ამიტომ არის აუცილებელი ჩვენ ურთიერთთანადგომა.

**როლანდ ჯალაღანია**

## ფიქრები ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში აფხაზური ენის სწავლების გარშემო...

თავშივე უნდა განვაცხადო: მე პირადად ღრმად მწამს, რომ გამთლიანებული საქართველოს სახელმწიფოში აფხაზური ენა უნდა ისწავლებოდეს არამხოლოდ აფხაზეთის საზღვრებში, არამედ ყველგან მთელი ქვეყნის მასშტაბით... ხოლო, ის რასაც ახლა აკეთებენ ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში ეს არის ჩვეულებრივი პიარკამპანია და მეტი არაფერი! ეს არის ზოგადად პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულება და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასეთი იაფფასიანი ღონისძიებებით ქვეყანა გამთლიანდება – არის ილუზია! ვიმეორებ: ვემხრობი იმას, რომ აფხაზური ენა უნდა ისწავლებოდეს გამთლიანებული საქართველოს სახელმწიფოში, რადგან ეს აუცილებელია! აუცილებელია სახელმწიფოს შიგნით არსებობდეს ურთიერთპატივისცემა! აუცილებელია პატივი ვცეთ და ვეზიაროთ ერთმანეთის კულტურას! აუცილებელია ვიზრუნოთ ერთმანეთის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე! ბუნებრივია, რომ ერთიანმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის იდენტობის დაკარგვა და ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი მისი ენის გადარჩენას! მოკლედ, ამაზე შევთანხმდეთ, რომ მე მომხრე ვარ არააფხაზებმაც ისწავლონ აფხაზური ენა და პირიქით, აფხაზებიც უნდა იჩენდნენ ინტერესს ქართული ენის მიმართ, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს გულწრფელი, სისტემური, საკანონმდებლო და სახელმწიფოებრივი მექანიზმებით განმტკიცებული... დიახ, აი, ასე და არა ისე – მოსაჩვენებლად.....

და, კიდევ: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკითხად მიმაჩნია ის, რომ საქართველოში ქართულთან ერთად ოდენ აფხაზური ენის მიმართ კი არ უნდა იქნას მზრუნველობა გამოვლენილი, არამედ აუცილებელ პატრონობას საჭიროებს ასევე დღემდე სავალალო, მე ვიტყოდი რეპრესირებულ მდგომრეობაში მყოფი მეგრულ-ლაზური და სვანური ენებიც... იმედი მაქვს, რომ ტერმინ **„რეპრესირებულზე”** ადექვატური და პატრიოტულად განწყობილი კოლხ-იბერები ობსტრუქციას არ მომიწყობენ, ხოლო თუ ვინმემ არ იცის მისი მნიშვნელობა – ვურჩევ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩაიხედოს...

აქსიომატურად მიმაჩნია: საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებულ ერთა თუ ეთნოსთა ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე მზრუნველობა, ერთმანეთთან მიმართებაში ძმობა, მეგობრობა, სოლიდარობა არის სწორედ იმის გარანტია, რომ ამ სახელმწიფოს დიდებული მომავალი ექნება... სხვა შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია და გონიერმა ადამიანებმა ეს აქედანვე, რომ განსჭვრიტონ – მერწმუნეთ ამას ორაკულობა სრულებითაც არ სჭირდება!

და, ბოლოს: ჯერჯერობით არ ვკარგავ იმედს, რომ ქართველურ საზოგადოებრიობას მიუხედავად ყველაფრისა მაინც ძალუძს სწორად გაანალიზოს პრობლემის არსი და გამოავლინოს მისი მოგვარებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება... და, შევთხოვ უფალს ეს იმედი არ გამიქარწყლოს...

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ქ. ზუგდიდი**

# პრენესანსი საქართველოში – შოთა რუსთაველი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ავთანდილი დიდხანს ეხვეწება ტარიელს, მაგრამ ვერ მოაბრუნა; ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

*"ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,*
*ერთხელ შეჯე, ცხენოსანი განხო ჩემი სულთამხდელი,*
*ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი;*
*მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი.*
*ეხვეწებოდა "შეჯეო", აჯას ხვეწნითა არვებდა,*
*იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა,*
*ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა,*
*დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.*
*ცხადად უთხრა: "შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა".*
*მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;*
*მინდორთაკენ წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა,*
*ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.*
*რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,*
*გაანათლა პირი ვარდი სიხარულმან დაუსახმან;*
*ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან,*
*ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან"* (887, 888, 889, 891).

ტარიელი უნუგეშოდ და გაუნძრევლად ეგდო მიწაზე, ავთანდილმა იფიქრა ჩემი ხვეწნა გავლენას არ ახდენს, რჩევა-დარიგებას ტარიელი ყურადღებას არ აქცევს, მოდი მდგომარეობას გამოვუცვლი: ცხენზე შევსვამ, სხეული მოძრაობაში მოვა, მისი სომატურ-ორგანული შერყევა გამოიწვევს სულიერ და გონებრივ ცვლილებებსო; **"იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა"**, ამიტომ **"მინდორთაკენ წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა"**. ამან მართლაც იმოქმედა ტარიელზე. ცოტა ხნის შემდეგ მისი სულიერი და გონებრივი სამყარო სხვა სახით არის მომართული. ავთანდილმა მდგომარეობა გამოუცვალა ტარიელს და და ტარიელსაც შეეცვალა სულიერი და გონებრივი მდგომარეობა. ახალ მდგომარეობასთან შეფარდებით რუსთაველი ჩვენი დროის მეცნიერებთან ერთად ამბობს, რომ სოციალურ გარემოში ადამიანის ფსიქიკური და გონებრივი სამყარო თავისი იდეებით, იდეალებით, ცნებებით, სახეებითა და კატეგორიებით ყოველ წუთს განიცდის ცვლილებას. რამდენად უფრო სწორია ასეთი მსოფლმხედველობა, ვიდრე კანტ-ბოლცანოს თეორია! რუსთაველის ღრმა ინტუიცია შუა საუკუნეების სიღრმეებიდან უფრო გვიახლოვდება ჩვენ, ვიდრე ევროპის ეოკანტიანური მსოფლგაგება. ინტუიციური მიხვედრით ჰერონ ალექსანდრიელმა აამოძრავა პირველი მანქანა, ინტუიციური მიხვედრით შოთა რუსთაველმა ლამაზ მხატვრულ ფორმაში გამოსახა კაცობრიობის ჭეშმარიტად მეცნიერული მსოფლმხედველობა. რუსთაველის ფილოსოფია იმ ეპოქის ფილოსოფიაა, როდესაც ქართული კულტურა შინაგან სისავსეს გრძნობდა და ამიტომ **"ვეფხისტყაოსნის"** იდეოლოგია ერთგვარი სოციალური ფსიქოლოგიაც არის. ჩვენს წინაშე წარმოსდგა ქართული აზროვნების ჰორიზონტი მთელი თავისი სირთულით და გაშლილობით. რუსთაველის აზროვნება ინდივიდუალური ფორმაა ქართული კულტურის სოციალური შესაძლებლობისა. ცხოვრების, ბედის, ქონების დარიგების, სახელის მოხვეჭის, მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ ავთანდილის აზრები არის რუსთაველის დროის სოციალური აზრები გამოსახული ეპოქის ვერბალურ-ესთეტიკური შესაძლებლობით. რუსთაველის ფილოსოფიისა და მეტყველების პოტენცია ქართული კულტურის სოციალური არეა, ხოლო **"ვეფხისტყაოსნის"** განსახიერება ნაყოფია ავტორის შემოქმედებითი ხერხისა. თვით ეს შემოქმედებითი ხერხი გენეტიკურად მოქცეულია სოციალურ-ისტორიულ დეტერმინიზმში. ინტუიციის საშუალებით რუსთაველი არღვევს სპეციფიკურ-ადამიანური გაგების დროულ და სივრცისეულ ჰორიზონტს, მაგრამ თვით ინტუიცია, მთელი თავისი საფუძვლებით, მოქცეულია დეტერმინიზმის არტახებში. რუსთაველი თავისი მდიდარი მეტყველებით, ესთეტიკური სახეებით და ფილოსოფიური იდეებით ისე გამოიყურება საქართველოდან, როგორც ჰომეროსი საბერძნეთიდან და დანტე იტალიიდან.

ქაჯეთის ციხის აღების წინ გმირთა თათბირი თავისებური და ორიგინალური დახასიათებაა ადამიანთა ფსიქიკური თავისებურებისა; ავთანდილის, ტარიელის და ფრიდონის სახით რუსთაველს გამოჰყავს სხვადასხვა ფსიქიკური თვისებებისა და მოხერხების მქონე ტიპები; თითოეული მათგანის ლოგიკა მიიმართება გენეტიკურად შეძენილი ინტერესის გზით. როგორ უნდა აიღონ ქაჯეთის ციხე? ავთანდილი მიმართავს უკვე ნაცად ხერხს – ვაჭრულ ტანისამოსში გადაცმას და ციხეში შეპარვას; ფრიდონი ახალგაზრდობისას მოვარჯიშე ყოფილა: დადიოდა თურმე საბელზე, იცის ბაწრით კედელზე ასვლა და მზად არის ჩახტეს ციხეში კარის გასაღებად. მაგრამ ტარიელი, რომელიც მუდამ მარტო იყო, თითქოს კონტრასტის ფსიქოლოგიური კანონით მიდის იმ დასკვნამდე, რომ სჯობს მივარდნა სამივე კარიდან ერთი და იმავე დროს. ტარიელი ასეთ რჩევას იმიტომ იძლევა, რომ ეშინია ნესტან-დარეჯანმა უსაქმოდ მყოფი დაინახოს იმ დროს, როდესაც ავთანდილსა და ფრიდონს ფიცხელი ომი ექნებათ. ტარიელსაც სურს თავისი ვაჟკაცობით გამოჩენა და, უნდა ითქვას სიმართლე, როგორც კი ქაჯეთის ციხეს მიუახლოვდება, შეუდარებელ ჭკუასა და ბრძოლის უნარს იჩენს. თითქოს გრძნობამ გაანთავისუფლა დატყვევებული გონება და ნებისყოფა. ქაჯეთის ციხის აღების წინ თათბირში ისეთივე იდეოლოგიური პრინციპებია მოცემული, როგორიც ასმათისა და ავთანდილის ურთიერთობაში, ან ავთანდილისა და ტარიელის მეორედ შეყრის დროს. აზრი და გონება მდგომარეობის მიხედვით მიიმართებიან.

## რუსთაველის მეტყველება

რუსთაველის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებებს შეადგენს ღრმა აზრი და ლამაზი წყობა სიტყვებისა. იშვიათია მწერალი, რომელსაც ასე ემარჯვებოდეს აზრის გამოთქმა, როგორც რუსთაველს.

მართალია, რუსთაველს ახასიათებს მეტაფორების გამეორება. ერთი და იმავე სიტყვების ხმარების შემთხვევები, მაგრამ ამასთან იგი წყობილსიტყვაობაში ახერხებს უღრმესი ადამიანური სურვილების, უზენაესი გრძნობებისა და უდიდესი იდეალების გამოსახვას. რომელი სტრიქონიც არ უნდა აიღოთ რუსთაველის პოემისა, თუ იგი მართლა რუსთაველს ეკუთვნის და ჩამატებული არ არის, სიტყვათა წყობაში თქვენ იგრძნობთ რიტმულ რხევას, შინაგან თავისუფლებას, მეტყველების მუსიკას. ეკუთვნის თუ არა რუსთაველს რომელიმე ტაეპი, ამის გამორკვევა ყველაზე უფრო ადვილია სიტყვათა წყობისა და რიტმის ანალიზით. სამწუხაროდ, თითქმის ყველა მკვლევარი **"ვეფხისტყაოსნის"** ტექსტისა, როდესაც ყალბი ტაეპების გამოყოფა უნდა, იჭვებით და ფანტაზიებით ხელმძღვანელობს და არა მეტყველების მუსიკისა და რიტმის ფსიქოლოგიური შესწავლით, ამიტომ ხშირია მაგალითი, როდესაც უდავოდ რუსთაველის თქმა ყალბ ტაეპად გამოჰყავთ, მტკიცება არ უნდა იმას, რომ **"ვეფხისტყაოსანში"** ჩამატებული ადგილები არის, მაგრამ ჩამატებული სიტყვათა წყობა მაშინვე განირჩევა თავისი სიბლაგვით, აზრისა და განცდის ფსიქოლოგიური სიმარტივით. წაიკითხეთ ორი მოთხრობა – ერთი ბობორიკინისა, მეორე – ტურგენევისა, მაგრამ ავტორის ვინაობა არ იცოდეთ. თითო გვერდი რომ წაიკითხოთ, მაინც შეატყობთ შემოქმედებათა ფსიქოლოგიურ სხვადასხვაობას. მეტყველებას აქვს თავისი ფსიქოლოგია, რომლის შესწავლა აუცილებელია, თუ გინდათ ტექსტის სადაურობის დადგენა, **"ვეფხისტყაოსნის"** ყალბი ადგილების შესწავლა შეიძლება მხოლოდ სოციალური კულტურის და რუსთაველის მეტყველების ფსიქოლოგიური საფუძვლების შესწავლის შემდეგ.

**კონსტანტინე კაპანელი**

*(გაგრძელება იქნება)*

# მიუშვით ბუღა ბუღაზე! – აცხადებს ლაშა ბუღაძე...



გასული კვირის განმავლობაში ქართველი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო თემა იყო **"მწერლის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის, დიდი მამულიშვილისა და სასიქადულო პატრიოტის"** – ლაშა ბუღაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ ე.წ. ლგბტ პირებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ქორწინებისა და ბავშვის შვილად აყვანის უფლება.

ბევრი გაუთვითცნობიერებელი, გაუნათლებელი და შეუგნებელი გააღიზიანა **"დიდი მოაზროვნე"** ლაშა ბუღაძის მიერ ერთნაირსქესიანთა უფლებების მხარდაჭერამ.

არადა, საკითხს თუ ცოდნითა და სიღრმისეულად ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა ჭეშმარიტი ქართველი, მით უფრო – მწერალი კაცი!

საქმე ის არის, რომ ქართულ ანდაზებში, გამოცანებში, ძველ ქართულ ლიტერატურაში ჩვენი წინაპრები, მაშინდელი ბნელი საუკუნეების მიუხედავად, მაინც ყოველთვის უჭერდნენ მხარს ლგბტ პირებს, ანუ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსსექსუალ ადამიანებს.

ერთი ეგაა, რომ ისინი ამას, მაშინდელი საუკუნეების სიბნელის გამო, ხმამაღლა ვერ იტყოდნენ და ისე, მინიშნებებით აქვთ ნათქვამი.

ავიღოთ, მაგალითად, ძალიან ცნობილი ქართული ანდაზა: **"ხარი ხართან რომ დააბა..."**

მართალია, ამ ანდაზას, შენიღბვის მიზნით, შემდეგ გაგრძელება გადაუკეთეს, მაგრამ რეალურად ხომ ფაქტია – ჩვენი წინაპარი არ გამორიცხავს, პირიქით, მისალმება ხარის ხართან დაბმას! სულაც არ არის აუცილებელი, ხარი მაინცდამაინც ძროხასთან იქნას **"დაბმული"**, მეტიც, ეს ანადაზა ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირადაც გავიგოთ – ხარმა ხარი რომ **"დააბას"**, ანუ **"შეაბას"**, **"დაკეროსო"**.

ფაქტია რომ, ზემოხსენებული ანდაზა ჰომოსექსუალიზმის, ანუ გეიწყვილების აშკარა მხარდაჭერაა. თუ კარგად ჩავხედავთ საკითხს, აღმოვაჩენთ, აგრეთვე, ბისექსუალიზმის მხარდაჭერასაც, თანაც არა სადმე შორს, არამედ აქვე, უკვდავ **"ვეფხისტყაოსანში"**.

აბა, დაუკვირდით: **"მუ იყოს, თუნდა ხვადია"**, – გვეუბნება გენიალური შოთა, ანუ, სულერთია, ქალთან დაწვები თუ მამაკაცთან, როდესაც სექსი ძალიან გინდაო. მართალია, კომუნიზმის სიბნელეში ჩარჩენილ რუსეთუმე ქართველ მეცნიერებს ეს აფორიზმი სულ სხვანაირად აქვთ ახსნილი და გააზრებული, მაგრამ ჩვენც ხომ იმ საბჭოთა სიბნელეში არ უნდა ჩავრჩეთ?! ამიტომ უნდა ვაღიაროთ, შოთას ეს აფორიზმი ბისექსუალიზმის პირდაპირი მხარდაჭერაა.

სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც მოიძებნება ლესბოსელთა მხარდასაჭერი ფარული ტექსტები. მაგალითად, **"დარკვეთელო ქალო!.. წამომყევი სახლში დედა გავახაროთ"**.

აბა, დაუკვირდით: მამაკაცი მიმართავს ქალს, წამომყევი სახლშიო, მაგრამ ჩემთვის კი არაო, არამედ დედა უნდა გავახაროთო! ამ კონკრეტული ხალხური სიმღერის გმირი ისეთი ულტრათანამედროვე აზროვნების, ტოლერანტული ბუნებისაა, რომ თავის ლესბოსელ დედას კარგად უგებს გულისწადილს და მეტიც, მისთვის ქალებიც კი მიჰყავს სახლში.

ნაკლები ყურადღება არც ანანისტებს და მასტურბატორებს ექცევათ ძველ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მაშ, აბა, სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ცნობილი ანდაზა: **"რაც მოგივა დავითაო, მხოლოდ შენი თავითაო"**.

აქ, რა თქმა უნდა, **"რაც მოგივა"**-ში ორგაზმია ნაგულისხმევი, ხოლო ანდაზა **"დავითას"** მოუწოდებს: არავინ გჭირდება სხვა – არც ქალი და არც კაცი, შენს თავს **"მხოლოდ"** შენ შესანიშნავად დაიკმაყოფილებო.

აი, ასე და ამგვარად ჩაუღრმავდა ჩვენი სასიქადულო მწერალი თემას და იმიტომაც დაუჭირა მხარი ასე ღიად და გაბედულად ერთნაირსქესიან წყვილებს.

როგორც ვიცით, ამჟამად ლაშა ბუღაძე ჩაღრმავებულია ანდაზაში: **"ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო"**. მწერალს უჭირს ამ ანდაზის არსის ამოხსნა, რადგან, მართალია, ქათმად საკუთარი თავის წარმოდგენა მისთვის პრობლემა არ არის, მაგრამ ღმერთი, საერთოდ, რა შუაშია, რატომ უნდა შეხედოს ღმერთს და რაში გვჭირდება, ზოგადად, რწმენა, ამაში ჯერ ვერაფრით გარკვეულა...

სამაგიეროდ, ძალიან მარტივად შეიძლება გავიაზროთ გამოთქმა: **"შენ მამაშენმა ფურთხით ხომ არ გაგაკეთა?"**

ეს გამოთქმა მით უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ფურთხი, ბატონი გია ბუღაძისთვის, ადრეც არაერთხელ გამხდარა შთაგონების წყარო.

**ველოდი რახანია**

# ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

დიდი ქართველი ერისკაცი, წმინდა ილია მართლის თანამებრძოლი აფხაზეთიდან, რაინდი, აფხაზეთის მთავრის შთამომავალი, ცნობილი უნგრელი მხატვრის – მიხაი ზიჩის საევეფხისტყაოსნო ილუსტრაციებში ტარიელის პროტოტიპი, თავადვე დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე ხმისჩახლეჩამდე ჩაჰღრიალებდა ეპოქის ყურდახშობას:

*"განგებავ, ამას ნუ მიწყენ,*
*ვერ გადავგვარდე გვარადა,*
*ხანდისხან დავიღუღუნო*
*მამა-პაპური ვარადა!"*

სამწუხაროდ, ეს ჰანგი არც დღეს ესმის აგრესიული გლობალიზმის განუკითხაობაში ვინაობაშემოხარჯულ თაობას.

არც ეს ცოდვის კითხვა ეუბნება რაიმეს ამ სულსაჭურისთა სიმრავლეს, რომ 1993 წლისათვის აგრესორ-სეპარატისტებისა და უცხო ჯიშთა საომარი ავანტიურების შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ძალადობით გამოიდევნენ ამ მხარის დედან ვინაობაში გამშინაარსებელი შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, მარღანიები, მარშანიები, ემხვარები, ინალ-იფები, ძიაფშ-იფები, მარშავები, ზუხბები, ჩხოტუები, კაკუბავები და ა. შ. იგი სათარეშოდ დარჩათ ოზგანოღლყოფილებს, ისკანდერიანყოფილებს, ასევე ჯინჯოლიებიდან, კობახიძეებიდან და მისთანებიდან ფაბრიცირებულ „абхазец"-ობას, ანუ უცხოთა ჩექმებს.

აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დედან შინაარსში განხილვა, უფრო ზუსტად კი საქართველოს გასიგრძეგანება თავის ბუნებრივ სივრცეში ან არ შეუძლიათ, ან ძალიან უჭირთ, ან კიდევ ბუნდოვნად წარმოუდგენიათ ჩვენს ქვეყანაში არა მხოლოდ კულტურისა და განათლების მესვეურებს, არამედ, ეს არ ეხელეწიფებათ სახელმწიფოში ხელისუფლების საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებსაც, ასევე (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოაზრება დედან-ვინაობაში), მრავალწლიანი დენაციონალიზაციის გამო, საზოგადოებასაც ეძნელება და თანდათან მიღმიერდება სახალხო მეხსიერებაშიც.

თუმცა აქ სხვა, უფრო ზუსტი მიზეზის მოთვალიერებაა უპრიანი,– ხელისუფლება, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისათვის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, არ ემსახურება ქართველი ერის ნებას.

აბა, შეადარეთ: აჭარის მოსახლეობამ 2014 წელს შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა 25 აგვისტო – აჭარის დახსნა ოსმალეთის იმპერიისგან და დედასაქართველოსთან მისი შემოერთების დღე ეროვნულ დღესასწაულად დაეკანონებინა. პარლამენტი გულცივად და აჯებირებით შეხვდა ამ სახალხო წინადადებას.

თავის მხრივ აჭარის ხელისუფლებამაც ყოველმხრივ დაამუხრუჭა აჭარელთა ძალისხმევა,– ბათუმში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარე სკვერში აღემართათ მემორიალი. ამასთან დაკავშირებით, სხვათაშორის, საამისო თანხა აჭარის მოსახლეობამ შეაგროვა.

**მიზეზი? – თურქებს ეწყინებათო (?!)**

**ცნობისთვის:** თურქთა სახელმწიფო თავად დღესასწაულობს ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე რესპუბლიკის შექმნას (1923 წ. 29 ოქტომბერი), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თურქულ საზოგადოებაში საკმაოდ არიან ძალები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობენ.

არადა, საუკუნეების მანძილზე მტრის მიერ მიტაცებული ჩვენი მამულიდან აჭარა, მესხეთ-ჯავახეთის ნაწილთან ერთად, ის ბედნიერი გამონაკლისია, როდესაც საქართველომ შემოისხეულა ძალით წართმეული საკუთარი მხარე.

აქედან გამომდინარე, 25 აგვისტოს დღესასწაულად დაკანონება არა მხოლოდ აჭარის, სრულიად საქართველოს მოსახლეობისათვის გახლავთ იმის ნიშანსვეტი, რომ ოკუპირებული მამულის გათავისუფლება შეიძლება!..

რა თქმა უნდა, ამისათვის ერი თავად უნდა იყოს ქრისტეს მხედარი და გიორგიანელი, მაშინ მას არ ექოლება სულიერად ცვედანი ხელისუფლება.

იმ ვითარებაში, როდესაც ამ მხრივ სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს, ერის ცნობიერ წიაღში უნდა იფეთქოს საააფხაზეთო მარადიულყოფის ქართულმა მეხსიერებამ. ნებისმიერი საჯარო მსჯელობა ამ საკითხებზე უნდა დაეშენოს იმის გათვალისწინებას თუ რა დივერსიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ამ მხრივ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ, რომელიც სხვა ხერხებთან ერთად ე. წ. „абхазец"-ური მეცნიერებისა და მწერლობის ძალისხმევითაც ამკვიდრებდა აზრს ქართულ **"დიდმპყრობლობაზე"** და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) **"არაქართული ქვეყნის ქართველთა მიერ ოკუპირების"** შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი **"მეცნიერული ნაშრომი"** ბაჯგურ საღარიამ (საღარეიშვილყოფილმა) საბჭოთა კავშირის დაშლის კვირაძალს გამოაქვეყნა ქ. სოხუმში, რომელშიც ამტკიცებდა, რომ, თითქოს, ი. სტალინისა და ლ. ბერიას მიერ სახელმწიფო პოლიტიკის სახე მიეცა 20-ე საუკუნის 30-40-იან წლებში **"აფხაზთა გაქართველებას"** და საქართველოდან აფხაზეთის ასსრ-ში ქართველთა ჩასახლებას...

სწორედ ეს ცილისმწამებლური და ეთნოდივერსიული პროპაგანდისთვის მოსახმარებელი **"მტკიცებულება"** გამახსენა ამას წინათ ვაჟა ჟღენტის წერილმა **"უახლესი წარსულის მოვლენების გარკვევისათვის"** (გაზეთი **"ლიტერატურული საქართველო"**, 5 დეკემბერი, 2014 წ.): **"...1944 წელს სტალინმა აფხაზეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ჩაასახლა. ეს იყო, როგორც იტყვიან, ნელი მოქმედების ბომბი. აფხაზები ამ მოვლენას გენოციდად აღიქვამდნენ. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის 58,5%-ს შეადგენდნენ, 1994 წლის შემდეგ ეს პროცენტი დაეცა 17-მდე. ასე რომ არ მომხდარიყო, აფხაზეთი დღესაც საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა..."**

ვინაიდან პატივცემულ ვ. ჟღენტს ზემოთდასახელებულ წერილში ქვეყნის საჭირისუფლო დებულებებიც აქვს, ამ წერილს შევაფასებ მხოლოდ დასანან გაუგებრობად (თუმცა მტრის წისქვილზე წყლის მომშხუილებელიცაა, რაც მთავარია, სიმართლის მრუდე სარკეში წარმომჩენი გახლავთ იგი). ამას პირდაპირ ვამბობ და ბატონი ვაჟა კიდევ ერთხელ, გულდასმით უნდა გაეცნოს დედან მოვლენებს ამ მხრივ, რაც თავადვე გაასწორებინებს თავის მცდარ აზრს).

დავიწყოთ იმით, რომ მარტო მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ძალისხმევითა და საქართველოს სსრ **"ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით"** 129 ძირძველ ქართველთა, ანუ აქაურ მეგრელთა (აფხაზთა და არა აფსუათა ან „абхазец"-თა) სოფელი გაუქმდა, ცხინვალის მხარეში ეს ციფრი 205-ს უდრის, როგორც ხედავთ, ამდენი ქართული სოფელი გაუქმდა – შედარებისთვის: საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეცადინეობით (აქაც ამასთან დაკავშირებით დროს არ წავართმევთ, რადგან ეს საკითხები ვრცლადა მაქვს განხილული ჩემს წიგნში **"დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში)"**, ქ. თბილისი, 2011 წ.).

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება თარეშის წესით არბევდა იმ ქართველებს, რომლებიც „абхазец"-ად არ ეწერებოდნენ. მათ, არც თუ იშვიათად, თვითონ ნესტორ ლაკობა დასდევდა მაუზერით ხელში და მეგრულად უყვიროდა: **"აფხაზათ დიჭარით, ვარა ენგურც მელე მეურთ..." ("აფხაზად ჩაეწერეთ, ანდა ენგურს გაღმა წადითო"**... ეს იყო აულაგმავი ტერორი აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) ქართველთა წინააღმდეგ. ამავე დროს საბედიანოს (გალის რაიონის), რომლის მოსახლეობა პირწმინდად ქართული (მეგრული) გახლდათ, აფხაზეთის ასსრ-ისთვის მიკუთვნება იმთავითვე ამ მხარის ოკუპაციას ნიშნავდა. რაც მთავარია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მიწაზე აფხაზეთის ასსრ-ის ქართველთა (აფხაზთა) ნების საწინააღმდეგოდ შეკოწიწება, მის დედო-სხეულიდან ჩამოგლეჯას და პირდაპირ უცხო თესლთათვის მიქვითკირებას უდრიდა.

აფხაზეთის (იმხანად სოხუმის ოლქის) მოსახლეობა 1897 წლის აღწერის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: სულ 106.179; აქედან ქართველი 60.000-მდე, თუმცა სამურზაყანოელთა „абхазец"-თადმი ხელოვნური მიკუთვნების გამო ეს მაჩვენებელი საგანგებოდ შეამცირეს 25.000-მდე და აფსუათა რაოდენობა 28.000 მიზნობრივად გაბერეს თითქმის 59.000-მდე. მათ შორის მოაქციეს 5.000-ზე მეტი ჩერქეზულ-ადაღეური ხიზანი. უფრო გვიანდელ აღწერებში „абхазец"-ად აღწერდნენ ამ მხარის თურქებსაც, ბერძნებს, რუსებს, ესტონელებს და ა. შ.

ამავე დროს, გასული საუკუნის 20-30 წლების მოვლენებმა უკრაინასა და რუსეთში მასობრივი ხასიათი მისცა აქედან ხიზანთა აფხაზეთში დამკვიდრებას, უფრო ადრე, მე-19 საუკუნეში, ასევე აქ ასახლებდნენ ესტონელებს, გერმანელებს, არმენებს, ბერძნებს, რუს-კაზაკებს, უკრაინელებს და მათგან შექმნილ რუსულენოვანი მოსახლეობის ნაწილს „абхазец"-ად აღწერდნენ.

უფრო გვიან, მეოცე საუკუნის 50-იან წლებიდან კვლავ გაგრძელდა რუსულენოვანი მეახალშენეობა, რომლის გასწვრივ ხელი შეეწყო არმენული სოფლების გაჩენას აფხაზეთის ზღვისპირეთის საუკეთესო ადგილებში.

ბატონ ვ. ჟღენტს შევახსენებ, რომ 1956 წელს ნ. ხრუშჩოვის მიერ რეაბილიტირებული იქნენ 1944 წელს ყირიმიდან შუა აზიასა და ყაზახეთში გასახლებული თათრებიც, რომელთაც შავიზღვისპირეთში დასახლების უფლება მიეცათ ყველგან, გარდა თვით ყირიმისა. აქედან გამომდინარე, ამ ხალხის დიდი ნაწილი აფხაზეთში დამკვიდრდა, რისთვისაც აფხაზეთის ასსრ საფინანსო სამსახურებმა ხაზინიდან შესაბამისი თანხებით უზრუნველყვეს მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების მოწყობა. ამის საფუძველზე ქ. სოხუმის დასავლეთით, **„Маяк"**-ად **("შუქურად")** წოდებულ რაიონში, გაშენდა ყირიმელ თათართა უბანი.

ასევე, იმავე ხანებში ა. მიქოიანისა და ი. ბაგრამიანის ძალისხმევით, რომელიც ამჯერადაც თვით ნ. ხრუშჩოვისგან იყო ნებადართული, ჩატარდა საზღვარგარეთიდან ყოველთა არმენთა რეპატრიაცია სსრკ-ში. ეს ხალხი ზღვიდან მოადგა ბათუმს, რომელთაგან არმენთა ხელისუფლებამ თავიანთ რესპუბლიკაში ათასამდე ადამიანი (ძირითადად სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების წარმომადგენელი) წაიყვანა, ხოლო დანარჩენი რეპატრიანტი განთესეს თვით ბათუმში, მეტი ნაწილი აფხაზეთში დააბინავეს და სოჭი-არმავირის რაიონებშიც გამოეყოთ საცხოვრისი **"სამშობლოში"** დაბრუნებულ არმენებს.

დიახ, 50-60-იანი წლებიდან მუშახელის მოზიდვის საბაბით, რუსეთიდან და არმენეთიდან ათასობით ადამიანი ხელოვნურად ჩაასახლეს გალის რაიონის პირწმინდად ქართულ (მეგრულ) რაიონში, რათა მათთვის, უცხო თესლთა დაკვეთის შესაბამისად, ინტერნაციონალური (მრავალეროვნული) იერსახე მიეცათ.

რაც შეეხება ქართველთა ჩამოსახლებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რაჭიდან, იმერეთიდან, ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან, ესაა ჯამში 15-20 სოფელი, რაც რუსულ-არმენული ახალშენების საპირწონე ვერ გახდა, მით უმეტეს, რომ ჩამოსახლებულთა უმეტესობა ახალ ადგილებში არ დამკვიდრდა, აქ შეფარდება ასეთია, 2 ქართველ მოახალშენეზე დაახლოებით 20 რუსი ან არმენი – ასე არ ერქვა, მაგრამ ფუნქციით საოკუპაციო კონტინგენტი მოდიოდა.

ამის გარდა, აფხაზეთში დარჩა ძირითადად რუსეთ-გერმანიის ომის დროს დროებით ოკუპირებული უკრაინიდან, ბელორუსიიდან და რუსეთიდან შემოხიზნული მოსახლეობა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ის მოსახლეობა, რომელიც ცნობიერებით არ გა-„абхазец"-და და და არ აღიწერა არაქართველად, მათ სოფლებში ძირითადად არ იყო სამანქანო გზა და ელექტროშუქი, ამ დასახლებებში კეთილმოუწყობლობა მიზნობრივ ხასიათს ატარებდა, რათა დუხჭირი პირობების გამო, ეს მოსახლეობა **"თავისი ნებით"** აყრილიყო. ასეც მოხდა. ახლა თავად განსაზღვრეთ, რომელი ჭარბობდა, ჩამოსახლებულ ქართველთა თხუთმეტიოდე სოფელი თუ ხელოვნურად აღგვილი, მამა-პაპათა საუკუნოვანი საფლავებით მომეხსიერე, ქართველობაშენარჩუნებული, ქართული იერსახისა მატარებელი ოხორეები.

ამას ზედ ემატებოდა ისიც, რომ აფხაზეთის ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზოლში ხელი ეწყობოდა მკვიდრი მოსახლეობის აყრას და აქ რუსულენოვანი **"საბჭოთა მშრომელებისათვის"** დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, სანატორიებისა და ა. შ. მშენებლობას. რა თქმა უნდა, შენდებოდა საცხოვრებელი სახლებიც, მაგრამ არა ინდივიდუალური, არამედ მრავალსართულიანი კორპუსები, სადაც ხელოვნურად შერეულ, ე. წ. ინტერნაციონალურ კონტინგენტს ასახლებდნენ. ამ გზით მათი საურთიერთო ენა რუსული ხდებოდა. ასე მაგალითად, ქ. სოხუმის განაპირას, მეფე ბაგრატ მესამის ციხე-სიმაგრის მიმდებარედ, ზღვასთან ახლოს, ჯერ კიდევ წინა საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკანდრო ბასილაიას წინაპრები (სხვათაშორის, არაერთი სახელმძღვანელოს ავტორს, მაღალი დონის გრამატიკოსს, სულით ხორცამდე ქართველობის გამო, საბჭოთა ჩინოვნიკებმა ყოველმხრივ ჯებირი აღუმართეს, რათა უფრო მაღალი სინჯის სამეცნიერო ხარისხი არ მიეღო). 70-იან წლებში, სხვებთან ერთად, მათი საკარმიდამო აღებაში მოხვდა, რადგან აქ 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი ააშენეს სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელთა უმეტესობა რუსი გახლდათ. მართალია, მოხუც ნიკანდროს მეუღლესთან ერთად, ასევე მათ შვილს, ცნობილ პედაგოგს, ბატონ რევაზსა და მის ცოლ-შვილს ბინები ცალ-ცალკე მისცეს, მაგრამ სხვადასხვა სადარბაზოებში, რათა შეფერხებოდათ ურთიერთობა და ხელი შეშლოდათ მშობლიურ დალაპარაკებაში (ვინ არ ჩაერია, მაგრამ **"სადაც ჯერ არს"** ვერავის მოულბეს გული იმისათვის, მამა-შვილს გვერდი-გვერდ მიეღოთ თავთავიანთი ბინები).

...და ბოლოს, აფხაზეთში ძირძველი ქართველობის შევიწროების ერთ-ერთი მიგნება და ვირეშმაკული ილეთი გახლდათ სოფლად კოლმეურნეობათა წევრებისთვის **"ნამეტი მიწების"** ჩამოჭრა. ასეთი საკარმიდამო მიწები მხოლოდ უძველეს მოსახლეობას გააჩნდა, ესენი იყვნენ მეგრელები (აფხაზები) და აფსუები. თუმცა, სათანადო დადგენილება ამ მხრივ ყველას ეხებოდა, ისე მოხდა, რომ აფსუებს – „абхазец"-ად აღწერილებს ეს არ შეხებიათ, იგი მხოლოდ მეგრელებზე გავრცელდა. ჩამონაჭრებზე ხელისუფლებამ თამბაქოს გაშენების საბაბით **"მოძმე"** რესპუბლიკებიდან სასწრაფოდ ჩამოყვანილი **"მუშახელი"** ჩაასახლა და ამრიგად **"მეთამბაქოეებად"** საგანგებოდ ჩამოყვანილი არმენების ხელში აღმოჩნდა მეგრელებისთვის წართმეული მამული. საბოლოოდ კომპარტიის სახელით შემოთარეშებულმა მოძალადეებმა საკარ-მიდამოდ დაისაკუთრეს ის ნაკვეთები, დასახლდნენ და აღნიშნული სოფლები რუსულენოვან დასახლებებად გარდაიქმნენ.

ასეთია ამ საქმის ნამდვილი ვითარება ზოგადად. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით უფრო დაწვრილებითაც შეიძლება საუბარი, მაგრამ იმის გასარკვევად, რომ ბატონი ვ. ჟღენტი აფხაზეთის დემოგრაფიული სურათის შესახებ მცდარ დებულებას ახმოვანებს, ვფიქრობ, რომ ესეც საკმარისია. ვისაც ამ მხრივ ჩემი აზრი უფრო ვრცლად და მკაფიოდ აინტერესებს, იგი ჩემს ზემოთდასახელებულ წიგნშია გასაჯარისებული.

როგორც მოგახსენეთ, აფხაზეთი **"არაქართულ"** ქვეყნად გარკვეულ წრეებში ჩვენთან, ქართულ საზოგადოებაშიცაა მიჩნეული და ამას იზიარებს ხელისუფლებაც. დიახ, ეს აზრი განმტკიცდა არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობათა დონეზე, არამედ თვით ქართველთა სააზროვნო სივრცეში. როგორც მოგახსენეთ, მასზე (აფხაზეთზე) დღემდე იმ ტერმინოლოგიითა და სტერეოტიპებით საუბრობენ, რომელიც საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ მოგვაჩეჩა ხელში. დიახ, ეს იმპერიზმის სადენალიზაციო სისტემამ შეიმუშავა, თუმცა მას ჩანაცვლებული ამერიკანიზმი ამ გამოცდილებას არათუ აძევებს თავისი საქმიანობიდან, პირიქით, ქმედითად იყენებს თვითონ.

**სერგი საჯაია,**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნებიანი ციგნები, ანუ კატების ყეფა ბევრძაღლიან ქვეყანაში



სოციალურ ქსელებში უკვე არაერთხელ წავაწყდი ჩვენი საზოგადოების **"უბრალო"** წევრთა მიერ დიდი გულისტკივილით დაკომენტარებულ იმ ცნობილ გამონათქვამს, რომლის პერიფრაზიც მასალის სათაურის მეორე ნაწილშია გატანილი. ეს გამონათქვამი, ძირითადად, მაშინ ახსენდებათ ხოლმე ადამიანებს, როდესაც რომელიმე **"არაუბრალო"**, ანუ თვალსაჩინო წევრი ჩვენი საზოგადოებისა რაიმე სისულელეს ჩაიდენს ან წამოროშავს. ადამიანები ასეთ უტვინო ჩინოსანთა გამოხდომებზე წამსვე რეაგირებენ სოციალურ ქსელში და თავიანთ **"ფეისბუქ-გვერდებზე"** დებენ მათი სულელური განცხადების ან საქციელის დამადასტურებელ ინტერნეტბმულებს, რომლებსაც სხვადასხვა მედიასაშუალება ავრცელებს. აი, სწორედ ასეთ ბმულებზე კომენტარების წაკითხვისას ხშირად ნახავთ მოსაზრებებს: **"რას იზამ, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ!"**.

ამას დიდი გულისტკივილით წერენ ქართველები და, ამ მართლა დაქცეული ქვეყნის შემხედვარეთ, ალბათ, აღარც აქვთ იმის გააზრების თავი, რომ საქართველოს პრობლემა და უბედურება სულ სხვა რამაა და არა უძაღლობა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ნამდვილად უძაღლო ქვეყანა რომ ვიყოთ, კიდევ უფრო გასაგები იქნებოდა, რატომაც აყეფებენ ამ ქვეყანაში კატებს. ანუ, მოყვანილი ანდაზის აზრი გასაგებია: თუკი ქვეყანაში ძაღლები, ანუ ყეფის კარგი მცოდნეები არ არიან, სხვა რაღა გაეწყობა?! ამ ქვეყნის მესვეურნი იძულებულნი არიან, კატები აყეფონო...

კი, ბატონო! მაგრამ რა ჰქვია ქვეყანას, რომელიც ძაღლების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ მაინც არათუ კატებს, არამედ ვირთხებსაც კი აყეფებენ?

სწორედ ასეთი ქვეყანაა დღეს საქართველო! დავაზუსტოთ: დღევანდელი საქართველო არის არათუ უძაღლო, არამედ ბევრძაღლიანი ქვეყანა, სადაც ამ ძაღლებს პირზე ალიკაპი აქვთ ამოდებული, ხოლო ყეფით კატები, ვირთხები, ბატები და ქათმები ყეფენ, უფრო ზუსტად – ცდილობენ, იყეფონ!

საბედნიეროდ, ამ ალიკაპამოდებულ ქართველ საზოგადოებას ჯერაც შეუძლია, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ამ მყეფარა ვირთხებს და არ გაატანინოს მათ თავისი. სწორედ ეს იწვევს შემდეგ ვირთხების კიდევ უფრო გამწარებას და ისინი იმისთანას ამოიყეფებენ ხოლმე, რაც სუფთა ვირთხულია და მსგავსს თავმოყვარე კატა ნამდვილად არ იკადრებდა.

სამაგალითოდ გამოდგება საქართველოში დღეს ყველაზე ცნობილი მყეფარა ვირთხის – ლევან ბერძენიშვილის მძიმე სისულელეები, თუნდაც მისი იდიოტური განცხადება, რომ თურმე **"ლადო ასათიანის კრწანისის ყაყაჩოები მკვდრადშობილი ლექსია"**.

ამ სრულიად რეგვნულმა განცხადებამ მართლაც ააყეფა არაერთი ღირსეული ქართველი, რომელთა ვინაობაც ფართო საზოგადოებამ არც კი იცის და, სავარუდოდ, არც მომავალში ეცოდინება, რადგან ტელეეკრანები ისეთი ძალების ხელშია, რომლებიც მხოლოდ ვირთხებს აყეფებს და ის ორიოდე დაბალი ხარისხისა და მდარე შინაარსის ტელევიზია, რომელიც ცდილობს, ასე თუ ისე ღირსეულ ადამიანებს დაუთმოს ეთერი, დიდ გავლენას ვერ ახდენს საზოგადოებაზე.

აი, სწორედ ამიტომ ექმნება საზოგადოებას შთაბეჭდილება, რომ ჩვენ უძაღლო ქვეყანაში ვცხოვრობთ და სწორედ ამიტომაც ისინი ერთგვარ ბუნებრივ მოვლენად აღიქვამენ ტელეეკრანებიდან კატების ყეფას.

კატები, უფრო ზუსტად – ვირთხები, კი უფრო და უფრო იფერებენ წკავწკავზე ოდნავ მიმსგავსებულ კრუტუნს და ამას უფრო და უფრო გაბედულად ასაღებენ ყეფად.

რას მიქვია, ვინმემ ჩემზე რაიმეს უდიერად თქმა გაბედოს, მე იმდენი წიგნი მაქვს გამოცემული, ერთად რომ დავალაგო, ზოგიერთს წაკითხვა კი არა, აწევაც კი გაუჭირდებოდაო! – რიხიანად შემოგვყეფა აგერ, სულ ახლახან, ზევით ხსენებულმა მყეფარა ვირთხა ლევან ბერძენიშვილმა და ამ მორიგი სისულელის თქმისას ისეთი ირონიულ-გამარჯვებული სახე ჰქონდა, რომ დარწმუნებული იყო, ოპონენტების შესაშინებლად ყეფდა...

ადრეც მომისმენია ზოგიერთი მსგავსი ვირთხისგან ოპონენტთა მისამართით: – თქვენ როგორ ბედავთ ჩემზე რაიმეს თქმას და ჩემს დაკნინებას, მე ხომ ამდენი და ამდენი წიგნის ავტორი ვარო!

ასეთ უაზრო კლიშეს, რომ თურმე, თუკი ვინმეს ბევრი წიგნი აქვს გამოცემული, უპირობოდ ითვლება ამა თუ იმ სფეროს შეუვალ პროფესიონალად, მიზანმიმართულად ამკვიდრებენ სწორედ სხვადასხვა სფეროს ვირთხები.

ანუ მათ სურთ, ჩამოაყალიბონ აზრი, რომ, თუკი კონკრეტულ ავტორს ლექსების ბევრი წიგნები აქვს გამოცემული, უდავოდ, მაგარი პოეტია; თუკი ბევრი სამეცნიერო წიგნი აქვს გამოცემული – უდავოდ, დიდი მეცნიერი; თუკი ბევრი თარგმანი აქვს გამოცემული – უდავოდ, უკონკურენტო მთარგმნელია და ა. შ.

ვერ გეტყვით, რომელ კონკრეტულ მეცნიერებაში ამოიკითხეს ამ **"ზეგანათლებულმა"** გვამებმა, რომ ადამიანის რომელიმე მიმართულებით მაგრობა მის მიერ გამოცემული წიგნების რაოდენობით ფასდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავსი ტიპის სულელები მსოფლიოსთვის სიახლე სულაც არ არის.

გარდა იმისა, რომ ასეთ ადამიანებზე არაერთი უცხოელი მწერალი-იუმორისტიც წერს, ჩვენ, ქართველებს, არც ისე შორეულ წარსულში დაგვიტოვა სწორედ იმ **"მკვდრადშობილი ლექსების"** ავტორმა ერთი ძალიან ცოცხალი კალამბური-ფუნაგორია:

**"გამოვიდა წიგნები სახელგანთქმულ ციგნების!"**

ეს ნიკა აგიაშვილის მოგონებებში ლადო ასათიანის ფრაზად არის ცნობილი და, რა თქმა უნდა, ეს ლადოს თანამედროვე სახელგანთქმულ ციგნებს ეძღვნება. მაგრამ აქ, ალბათ, მაინც ერთგვარი მისტიკაც შეგვიძლია დავინახოთ. ფაქტია: **"საქართველოს ცხელი გულის"** მგოსანს სწორედ გულმა უგრძნო, რომ რამდენიმე თაობის შემდეგ ერთ-ერთი სახელგანთქმული ციგანი მის პოეზიას მკვდრადშობილად მოიხსენიებდა და შემდეგ საკუთარი წიგნების რაოდენობითაც დაიწყებდა ტრაბახს...

ასე რომ, დიდმა მგოსანმა თითქმის 80 წლის წინათ გასცა პასუხი პატივცემულ **"ბევრწიგნიანს"** და, რასაც იმსახურებს, სწორედ ის სახელი დაარქვა – **"სახელგანთქმული ციგანი"**! სწორედ ამ **"სახელგანთქმული ციგნებისა"** და მყეფარე ვირთხების გარემოცვაში უწევს დღეს არსებობა, ყოფა, განვითარება ქართულ მეცნიერებასაც, კულტურასაც, სპორტსაც, პოლიტიკასაც და, შესაბამისად, არც უნდა გვიკვირდეს ის, რაც ჩვენ გარშემო ყველა სფეროში ხდება.

ხდება კი ის, რომ მართლაც ღირსეული, მართლაც ღირებული, მართლაც ინტელექტუალური და გონებრივი რესურსის მქონე ადამიანები თამაშგარეთ რჩებიან. ისინი ხშირად, უსახსრობის გამო, იმ ელემენტარულ განათლებასაც კი ვერ იღებენ, რომელიც მათ გონებრივ მონაცემებს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ცოდნად და საქმედ აქცევდა.

სამაგიეროდ, ამ მყეფარ ვირთხებს აქვთ გზა ხსნილი ყველგან და ყოველთვის – უცხოეთში სწავლა გნებავთ თუ ადგილობრივი ტრენინგები, შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, წიგნების გამოცემა წარწერით **"დაფინანსებულია ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ"**, ანუ ე.წ. სოროსის ფონდის მიერ.

და სხედან ეს სახელგანთქმული ციგნები და რა ენაღვლებათ?! რადგან ყოველგვარ სისულელეს უფინანსებენ, ესენიც გამოსცემენ და გამოსცემენ, მე თქვენ გეტყვით, ვინმე ან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს, ან რეცენზიას დაუწერს, ან შეედავება რამეში თუ რა?!

აკი, მათ, ვინც, წესით, მოდავე უნდა იყოს, არც არავინ აფინანსებს, არც არავინ უგდებს ყურს.

მახსოვს, ერთხელ, ერთ რედაქციაში მუშაობისას, ჟურნალისტს დავავალე, მოემზადებინა რუბრიკა **"შრომის წიგნაკი"**, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს მათ მიერ განვლილი შრომითი გზის შესახებ უნდა დაესვა კითხვები. ერთ-ერთი ახალგაზრდა მწერალი ძალიან გააღიზიანა შეკითხვამ. პასუხი მოკლე იყო: **"არსადაც არ მიმუშავია არასოდეს და არც ვაპირებ ვიმუშავო! ნუთუ არ უნდა იცოდეთ, მწერლები რით ირჩენენ თავს?! მე ჩემი ჰონორარებით ვცხოვრობ!"**

აი, მყეფარა ვირთხის კლასიკური ნიმუში. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვცხოვრობთ ისე მოწესრიგებულ ქვეყანაში, რომ მწერლებს მხოლოდ საკუთარი ჰონორარებით შეეძლოთ განცხრომით ცხოვრება; და მეორეც – თუნდაც ის უცხოელი ცნობილი მწერლები განა 20 და 25 წლიდან ცხოვრობდნენ თავიანთი წიგნების ჰონორარებით.

ნებისმიერ მათგანს ურთულესი ცხოვრებისა და შრომის გზა აქვს გავლილი! მხოლოდ სოლიდურ ასაკში მიაღწია მათგან უმეტესობამ აღიარებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს საკუთარი ჰონორარებით უზრუნველად ცხოვრება.

აი, ჩვენთან კი დიდი დაფიქრებაც არ დაგვჭირდება, არაერთს ჩამოვთვლით ისეთ მწერალ-პოეტ-დრამატურგს, მართლაც არსად არასოდეს რომ არ უმუშავნიათ და ლამის სკოლის დამთავრებისთანავე თავიანთ, არც ისე მაღალი ღირებულების მქონე ნაჯღაბნებში უხდიდნენ ჰონორარებს, იწვევდნენ სხვადასხვა სატელევიზო გადაცემაში, უცემდნენ წიგნებს და მათი მდარე ხარისხის **"შემოქმედებას"** სპექტაკლებადაც კი დგამდნენ...

აი, სწორედ ამას ჰქვია კატებისა და ვირთხების აყეფება, ოღონდ არამც და არამც უძაღლო ქვეყანაში! ვერავინ დამაჯერებს, რომ ქართველ ერში ძაღლად ჩასაგდები აღარავინ არის დარჩენილი.

თუკი რომელიმე ქართველი ბიზნესმენი ხელს გამოიღებს და დავით სარაჯიშვილის მსგავსად რეალურ, ჭეშმარიტ ნიჭიერებას დააფასებს და არა **"უნიტაზზე მსხდომთა"** ლიტერატურულ სექტას, თუკი სწორად შეარჩევს, ვის უნდა ანდოს თუნდაც ქართული ჟურნალისტიკის, მეცნიერების, სპორტის, კულტურის განვითარება, გარწმუნებთ, ამ დალოცვილ ქვეყანაში იმდენი ძაღლი აყეფდება, რომ სოფელიც მართლა აშენდება და ქალაქიც!

მანამდე კი, გამოდის და გამოდის "სახელგანთქმული ციგნების წიგნები" და ჩვენც, ისევ და ისევ ისღა დაგვრჩენია, კიდევ ერთი უდიდესი გენიოსის პოეტური ოხუნჯობა გავიხსენოთ, რომ მეცნიერებათა აკადემიის შენობის კიბეზე დგომა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე მართლაც კარგი მეცნიერია:

**"აკადემიის კიბეზე ქარმა დაქროლა ზენამან, მეცნიერნი და უვიცნი ერთად შეჰყარა ზენამან!"** – ასე იხუმრა დიდმა გალაკტიონმა თავის დროზე და მოდი კარგად გავისიგრძეგანოთ, რა ხდება ჩვენს თავს, სანამ მის ლურჯა ცხენებსაც რომელიმე სახელგანთქმული ციგანი მკვდრადშობილებად, დაფეხვილებად და უვარგის თოხარიკებად გამოგვიცხადებს...

**ბაკურ სვანიძე**



სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 82 წლის ასაკში, რეპეტიციის მსვლელობის დროს გულის შეტევით გარდაიცვლა ლეგენდარული მოცეკვავე და ქორეოგრაფი, ჩვენი მოძრაობის დიდი მეგობარ-მხარდამჭერი, ბატონი

**რეზო (ვახტანგ) ბულია...**

ვუსამძიმრებთ მის ახლო ნათესავებს, მეგობრებს, სამეგრელოს და სრულიად საქართველოს...

უფალმა ნათელში ამყოფოს ამ დიდი ხელოვანის და მამულის გულმხურვალე პატრიოტის სული...

## პოეზიის კუთხე

### ორი სარეველა

ნიკასა გვარამიასა,
ბოღმისგან ვარამიანსა
„თვისტომის დამწუნებელსა..."
აკაკი

ვინა ხარ? ბრიყვულ გაგებით
საიდან გამოეთერი,
რომ შეურაცხყევ ჰანგები
„აბესალომ და ეთერის"?
სატანა რატომ ირწმუნე,
ნაგავში რატომ ნაგავობ?
როცა „ჩაკრულოს" გვიწუნებ,
კოსმოსმაც გინდა აღგავოს?

### ლარის ვალსი

ბაზარში დახლთან წაიქცა ქალი;
რას მოვესწარით, ვაი, რას?
ქადაგიძესთან ვალსს ცეკვავს ლარი
და ემატება ვალი ვალს!

ალექსანდრე შენგელია

### დინაფილი შური

სუმ ჩილამურ მაჭირხოლქ
გეშამღაფუ თოლიშ ინჭა,
ლარიცალო იტუმინ
გურიშ ჯერღვიშ მგკნაქინჩა.
მურიცხამ ცა პეულანცგ,
თუთა მეურცგ მინჭუაფუ,
ქარბორია საბორიო
ობირეშ შო ინწყუაფუ.
სოდგარენი წყვაფანას
ართ ჩხორიაშ სინთე მოძგ,
მიდგაშ რენი დინაფილ შური
უწყარმაკეთ იზ მოზგ.
გორდი ალაძღაკ ლაფარასგ,
გონქირაფილგ, სქ რაფილი,
იშ ყაყალი სადღამუშოთ
ღურუშა რე წურაფილი.
ჩქიმ რაგადის მი ირჩქილე,
მუს მი მოთხინს ხალირ კოსგ,
ჟღაბილ შურქუ გაკმაწყორ
დო გარამს ქალექოსგ.
ანწი ღურუ ჭარა ვარე,
ოკონ მორთას, ოკონ ვარგ,
დაჩხქრსგ უნტე შხვა დაჩხჲრსგ –
შურგ გენიათ ეკნანკორა.

### მა კოლ-ხი

ჩქიმ ცუდე ომანე ვარე,
თექ წუწელი შური ტყობუ..
ჭყონიშ ღართის იმოსანს
შიშის ეშნატყობა თხომუ.
ჩხანა ილენს შხვაშგ სუკემს,
მა ცა მაფუ ოგორალი,
მუმა-დიდა სინთელეს
ნამ ჭკვერქ ოკო მოგორანი.
მოხიშ მოხშე ჩქიმ ობჟათე
ჩქიმ შურცალო თინ ორდგ,
სახელხვამელ მარ აცალო
ირო თუთას ინუვორდი.
ართი ქირსექგ ვამახუ და
ქჲანასგ თიში გერე მეფჩი,
კორკონტიშა გეშებცონი
საწმოხონო რინაშგ ნერჩი.
იშენ მითინს ვავოკოქგ,
მუჭოთ კვირკვეშ თუთაშგ თჲრი,
სინთელე ბჟა დიდა მაფუ
ქიგლებშირი
სოდგა სანთელს ევუნტენი,
შურ გ ქიმკიპტე, პელეტერი,
ცოცხალ გ დუსუ მუკულუა,
ღურელს ვადოპილ ნდენი.

კოტე ნაჭყებია

# დავით ქობალია: ვის გაეჩხირა ყელში „ანაკლია პორტი“ და რატომ ართულებს პროცესებს საქართველოს მთავრობა?!

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ეკონომიკის სამინისტრო, სააკაშვილის **“ლაზიკა პორტის”** პროექტს უჭერს მხარს, რომლის განხორციელებასაც ხაზარაძე აპირებს ანაკლიაში!

– დაბეჯითებით მე არ ვიცი ვინ ვის უჭერს მხარს, მაგრამ იმას კი ნათლად ვხედავ, – როგორც ენერგეტიკის სამინისტრომ ჩაშალა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს **“მტკვარზე კასკადური ჰესების”** მშენებლობის დაფინანსებით უზრუნველყოფილი პროექტი, ისეთივე ბედი ეწევა ანაკლიაში პორტის მშენებლობასაც!

ასევე, ცნობილი გახდა,– ხელშეკრულება, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს ინვესტორს, მრავალ გარემოებათა გამო მიუღებელია. გამომდინარე აქედან, პროექტის განხორციელება, ზემოთხსენებულ ხელშეკრულებაში ჩადებული პირობებით საეჭვო ხდება, რაც დღევანდელი ხელისუფლებისთვის (ბუნებრივია, ასევე ქვეყნისთვის) კატასტროფული შეიძლება აღმოჩნდეს!

ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ დროა,– შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, ტენდერში დარჩენილი ორი მონაწილის შემოთავაზებების და სახელმწიფოს მიერ ინვესტორისთვის მომზადებული ხელშეკრულების გასაჯაროებაშია მხოლოდ, რომ სამთავრობო სტრუქტურებში მოკალათებულ, ქვეყნის ავისმოსურნე ჩინოვნიკებს, სამტრო განზრახვაზე ავაღებინოთ ხელი!

## “უამრავი ჭორ-მართალი თუ საგანგაშო სიგნალები?!

იმდენად დაგვიანდა **“ანაკლია პორტის”** მშენებლობის ტენდერის შედეგის გამოცხადება, ვეჭვობ რამე გაუთვალისწინებელი ხომ არ ხდება ამ საკითხის გარშემო?!

ზედმეტად მიმაჩნია იმის შეხსენება, რომ მეგაპროექტ **“ანაკლია პორტის”** გახმაურებამ, მსოფლიოს საქმიან სამყაროში ბევრად უფრო ანგარიშგასაწევი და საინტერესო გახადა საქართველო, ვიდრე, მისი, წინა ორი მთავრობის პოლიტიკურმა ინტრიგებმა მეზობელი ქვეყნების მიმართ, თუ უცხოელ ლობისტებთან კორუფციულმა გარიგებებმა, რასაც წლების განმავლობაში ეწეოდნენ.

ბოლო ორი წლიწადი საქართველოს მთავრობის ხშირი სტუმრობა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში, მრავალმხრივ მისასალმებელი და სასიხარულოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო იმიტომ უნდა გვიხაროდეს მილიარდნახევრიან ჩინეთთან ურთიერთობა, – იქნებ, ჩვენმა მთავრობამაც ისწავლოს, როგორ ასაქმებენ ასეულობით მილიონ შრომისუნარიან მოსახლეობას ჩინეთში, როცა საკუთარ ქვეყანაში, სამნახევარი მილიონიდან, შრომისუნარიანი მესამედი უმუშევარი ჰყავს?!

მრავალ მიზეზთა გამო, აქამდე, საქართველოს ყოფილ ხელისუფალთ, ჩინეთის უზარმაზარ სახელმწიფოსთან მწირი ურთიერთობები ჰქონდათ. საბედნიეროდ, ბოლო ათი წლის მანძილზე, ბატონმა თეიმურაზ ქარჩავამ დაიწყო და განავითარა ჩინეთის საქმიან წრეებთან ურთიერთობა. საქართველოს სამთავრობო დელეგაციებს იგი შარშან არაერთხელ მოევლინა ჩინურ მხარესთან ერთად, მასპინძლის როლში!

საკამათო არ არის, ყველაფერი ეს დადებითი მოვლენაა მეგასახელმწიფოსთან მომავალში ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, **“ანაკლია პორტის”** მშენებლობასთან დაკავშირებით, ათზე მეტი სტატია გამოვაქვეყნე **“საერთო გაზეთში”**, და ჩავთვალე, რომ ყველა საკითხი ამოწურულია. ეტყობა, ნაადრევი იყო ჩემი დასკვნა, საქმე ისაა, რომ ქართულ მასმედიაში ისევ ჩნდება გულამოსკვნილი კამათი ფოთის და ბათუმის პორტებისადმი, რასაც მკითხველი და საქართველოს უკეთესი მომავლით დაინტერესებული მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს, თითქოს მავანი – ანაკლიაში ახალი პორტის მშენებლობით ფოთისა და ბათუმის პორტების განადგურებას აპირებდეს!

ხელოვნურად შექმნილი პრობლემის დეტალური ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ინფორმაციების ავტორები მეტწილად საქმეში ჩაუხედავები, დანარჩენი კი დაინტერესებულ პირთა მიერ დაქირავებული პროვოკატორები არიან! თუმცა, ამათზე ქვემოთ ვისაუბრებ.

დავუბრუნდეთ ანაკლია პორტის გამოცხადებულ ტენდერს, რომელიც უსაშველოდ გაიწელა და გასული წლის ივნისში დაგეგმილი გამარჯვებულის გამოცხადება, შესაძლოა კიდევ დიდხანს ვერ გადაწყდეს!

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა:

– რას ელოდება მთავრობა, ვინ აფერხებს ტენდერის შედეგის გამოცხადებას?

შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობს უამრავი ჭორის გავრცელებას, რომელთაგან ზოგიერთი სიმართლესაც უახლოვდება:

**“– ამერიკელები ასე ადვილად არ დაუთმობენ ჩინელებს ხუთ მილიარდად ღირებულ პროექტს საქართველოში!”**

**“– მიშა სააკაშვილის ლობი აფერხებს პროექტს, რადგან ანაკლიაში “ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა” უნდა აშენებულიყო!”**

**“– წილებზე ვერ თანხმდებიან მთავრობა და ინვესტორები!”**

და ა.შ. უსასრულოდ.

პირველი და მეორე ერთ და იგივე მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა გავაერთიანოთ და უფრო დასრულებულ სურათს მივიღებთ, თუ რატომ უნდა შეაფერხოს ამერიკამ ეს პროექტი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მოსაზრებები რამდენიმე თვის წინ არის გამოთქმული, როცა მსოფლიოში შედარებით მშვიდი მდგომარეობა სუფევდა და არავის ის საშიშროება არ ემუქრებოდა, რაშიც დღეს მთელი თუ არა, ნახევარი დედამიწის სფერო მაინცაა გახვეული.

პატივცემულ მკითხველს უნდა შევახსენო,– როცა მიშა სააკაშვილმა, თეიმურაზ ქარჩავასგან ანაკლიაში უნიკალური პორტის აშენების შესაძლებლობის შესახებ შეიტყო, იდეა მოეწონა და იმწამსვე აიტაცა, მაგრამ ოკეანისგაღმელ **“მამებთან”** საკონსულტაციოდ ჩასული სულ სხვა იდეით და მიზნით გამოისტუმრეს და ამ დროიდან გაჩნდა – ქარჩავასეული **“ანაკლია პორტის”** ნაცვლად, უსახური **“ლაზიკა პორტის”** და **“ხუთასი ათას მოსახლეზე, ქალაქ “ლაზიკას” მშენებლობის იდეა”**, რომელიც, მაშინ, რამდენიმე ესკიზში გამოიხატა და იგი საკმარისად ჩაითვალა მშენებლობის დასაწყებად.

ასე გაჩნდა, ანაკლია-ჭურიის ჭაობებში, – არარსებული ქალაქ **“ლაზიკას”** იუსტიციის სახლი და ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის ტერიტორიაზე **“ლაზიკა პორტის”** მომავალი ადმინისტრაციის ორი ხუთსართულიანი შენობა.

**“ანაკლია პორტის”** მშენებლობა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გახდა რეალური პროექტი და იგი განახლებული სახით ბატონი თეიმურაზ ქარჩავას კონსორციუმმა **“ანაკლია პორტი და ეკო პარკი”** წარმოადგინა, რომლის შემადგენლობაში, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ჩინეთის სახელმწიფო კომპანია **“პაუერჩაინა”** გაერთიანდა.

**“ანაკლია პორტის”** მშენებლობის ტენდერის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე, 12 მონაწილეს შორის გამოჩნდა – **“კონტი ჯგუფი”** და **“თიბისი ბანკის”** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე.

ხაზარაძის საეჭვო რეპუტაციაზე ამჯერად არ დავკონკრეტდები, ერთს კი ვიტყვი: წინადადებები, რომლითაც მისი კონსორციუმი შემოდის, სახელმწიფოსთვის არარეალურიც არის და საზიანოც!

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილი და კონტროლირებადი შავი ზღვის სანაპირო ზოლი 90 კილომეტრამდე შემცირდა. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ამ 90 კილომეტრიდან მხოლოდ მესამედია საკურორტოდ და ტურიზმის განვითარებისთვის ვარგისი. ამ მხრივ, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესოა. საკურორტო-ტურისტული ღირსებების გარდა დიდი ხანია ცნობილია ანაკლიის კანიონი, რომელიც შავი ზღვის აუზში ღრმაწყლიანი პორტის აშენების საუკეთესო პირობას ქმნის.

ზემოთხსენებული მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, საინტერესოსთან ერთად დიდად საპასუხისმგებლოა, შავი ზღვის აუზში უდიდესი პორტის ასაშენებლად ყველაზე ოპტიმალური პროექტის შექმნა, რაც ტენდერის მონაწილეთა უპირველეს პირობას შეადგენდა.

მას შემდეგ, რაც 12 მონაწილიდან ორი დარჩა ფინიშის სწორზე, რთული არ უნდა იყოს უკეთესის შერჩევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ისე ადვილი არ აღმოჩნდა სატენდერო და სამთავრობო კომისიებისთვის, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა!

აქ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომელმაც, საქმეში ჩახედული და დაინტერესებული საზოგადოების შეშფოთება და ზემოთნახსენები კითხვები გააჩინა!

ამ კითხვების სამართლიანობაზე შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმსჯელონ, ჩვენ, ჩვენს სათქმელს მივხედოთ.

**“ხაზარაძე და კონტი ჯგუფის”** პროექტის გაცნობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ:

– იგი ზუსტად იმეორებს მიშა სააკაშვილისეულ **“ლაზიკა პორტის”** პროექტს.

– იკავებს ზღვის სანაპირო ზოლის 4 კილომეტრს.

– პირდაპირ დამიზნებულია ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობაზე და ითხოვს 200 ოჯახის გასახლებას.

– მთლიანი პორტის მშენებლობა დაგეგმილია გაშლილ ზღვაში, რაც მის, შეფარულ, სამხედრო დანიშნულებას უსვამს ხაზს!

– რაც ყველაზე უმთავრესია, იგი ვერ ასრულებს ტენდერის უმთავრეს მოთხოვნას – 100-120 მილიონი ტონა ტვირთბრუნვა წელიწადში.

ექსპერტთა დასკვნით,– წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გაცდება წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. უკიდურეს შემთხვევაში, მისი მწარმოებლურობის გაზრდა, ისედაც შეზღუდული ზღვის ნაპირის ხარჯზე უნდა მოხდეს.

კონსორციუმ **“ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი”**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:

– ზღვის ნაპირის მხოლოდ 800 მეტრს იკავებს.

– საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

– პორტი შენდება ხმელეთზე და 350 მეტრი სიგანის არხით უერთდება ზღვას.

– წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული, შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია წელიწადში 100-120 მილიონ ტონა ტვირთბრუნვაზე.

– კონსორციუმ **“ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი”**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა, მსოფლიოში აღიარებულ (Ernst & Jang) კომპანიაში ექსპერტიზაგავლილი დოკუმენტაციის თანხლებით, ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაც.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, დიდი ინჟინრული ცოდნა არ არის საჭირო, კონსორციუმ **”ანაკლია პორტი და ეკო პარკის”** ხმელეთზე დაგეგმილი პორტის პროექტი განასხვავო, ტენდერში მონაწილე მისი კონკურენტისგან.

ვფიქრობ, პროექტთან დაკავშირებული საკითხი ამოწურულია და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მას ხანგრძლივი სჯა-ბაასი არ სჭირდება.

– სხვა საკითხია, პროექტის დაფინანსება (მას სტატიის დასასრულს მივუბრუნდები).

მანამდე, მოკლედ მინდა მკითხველს, საქართველოს შავი ზღვისპირეთში არსებული პორტებისა და ტერმინალების შესახებ მოვახსენო:

– ერთად აღებული, ფოთის და ბათუმის პორტების, სუფსის და ყულევის ტერმინალების შესაძლებლობები (მათი განვითარების პერსპექტივით) სახსენებელიც კი არ არის, **“ახალი აბრეშუმის გზის”** პროექტის, ანაკლიაში დაგეგმილ პორტთან შედარებით!

კონკრეტულად:

– თანამედროვე მოთხოვნები პორტებსაც ეხება და მისი მხოლოდ ტექნიკური აღჭურვილობის განახლება არ არის საკმარისი მეგასაზღვაო ლაინერების მისაღებად, რადგანაც მათ ორჯერ მეტი წყლის სიღრმე სჭირდება, ვიდრე დღევანდელ ფოთის (ან ბათუმის), პორტს გააჩნია.

– პორტში შემოსული ტვირთების დამუშავება სწრაფად მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს, შესაბამის ტერიტორიას და შიდა და გარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას მოითხოვს.

– წყლის სიღრმეზე რომ არაფერი ვთქვათ (რაც გადამწყვეტია ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად!), ნახევარი ფოთი (ან ბათუმი) უნდა გაასახლო, თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა პორტთან რომ დააკავშირო.

საუკუნენახევრის წინ აშენებულმა ფოთის პორტმა დიდი ხანია ამოწურა თავისი შესაძლებლობები. კარგი პატრონის ხელში იგი მუზეუმად უნდა გადაკეთდეს და იქ მხოლოდ ტურისტული გემები უნდა უშვებდნენ ღუზას.

პორტს თავი დავანებოთ, ბათუმი და ფოთი ჯერ ჩაძირვისგან უნდა ვიხსნათ, რომ შემდეგ მათ მომავალზე ვისაუბროთ, თუ კი მოსალოდნელი კატასტროფისგან მათი დაცვა შევიძელით, რომელიც კარგა ხნის დაწყებულია!

მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ, ამის შესახებ, იმათაც კარგად უწყიან, ვისი წაქეზებითაც გულის ამაჩუყებელი წერილები იწერება ფოთის და ბათუმის პორტების დასაცავად, მაგრამ, მათ, საკუთარი მერკანტილური მიზნები ამოძრავებთ, ისევე, როგორც ზოგიერთ, პარტიული თანამდებობიდან ბიზნესში გადაბარგებულ **“პარტიულ ამხანაგს”**!

ეს მინდა მკითხველმა იცოდეს და პროვოკაციას არ აჰყვეს!

ბუნებრივია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ ბევრს არ მოსწონს ათასწლეულის პროექტის საქართველოში განხორციელება და ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ მის შესაფერხებლად!

სტატიის დასაწყისში ვახსენე, – **“ანაკლია პორტის”** პროექტი მას შემდეგ გახდა რეალური, როცა ჩინელებმა გამოთქვეს მასში მონაწილეობის სურვილი.

**“აბრეშუმის გზის”** არსებობა ათასწლეულებს ითვლის, რომელიც ევროპას აკავშირებდა აზიასთან. მისი განახლების აუცილებლობა, ჩინეთის სახელმწიფომ, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა მრეწველმა ქვეყანამ განაპირობა. ცნობილია, რომ ევროპაში გაყიდული საქონლის 70%-მდე ჩინეთშია წარმოებული და მისი, მომხმარებლისთვის სწრაფად მიწოდება გადამწყვეტია, დღევანდელი საბაზრო კონკურენციის პირობებში.

ამ მხრივ, დღეისათვის არსებულ სატრანსპორტო გზებს შორის, წელიწადის ყველა დროს, ყველაზე სწრაფი და მოხერხებული **“ახალი აბრეშუმის გზაა”**, რომელიც კასპიის ზღვის ორი და ანაკლიის პორტის გავლით აკავშირებს ჩინეთს ევროპასთან. მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს გზა ერთადერთი არაა და სანამ ამ პროექტისადმი ინტერესი არ განელებულა, მას ჩვენი მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერა და ხელშეწყობა სჭირდება!

რაც შეეხება, აშშ-ს როლს ამ პროექტში, თუ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედავთ, – **“საქართველოს ნომერ პირველ მეგობარ ქვეყანას”** ამ გზაზე დღეში ორი ჩემოდანი ტვირთი არ ექნება გასატარებელი, მაგრამ თუ პოლიტიკური მოსაზრებით და **“ამერიკული დემოკრატიის”** კუთხით შევხედავთ, – ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი მათგან რადიკალური ჩარევა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში დადებითი შედეგი არ მოაქვს, როგორც ამას არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები გვაჩვენებს!

და ბოლოს, უმთავრესი საკითხი – პორტის მართვა და მისი ტვირთებით მომარაგება!

– ჩინეთის სახელმწიფო კომპანიის **“პაუერჩაინას”** მონაწილეობა, კონსორციუმ **”ანაკლია პორტი და ეკო პარკში”** გარანტიაზე მეტია, პორტის რენტაბელური მუშაობისთვის, რადგან, იგი, ასევე პროექტის ძირითადი დამფინანსებელია.

როგორც ზემოთ ვახსენეთ – ევროპაში გაყიდული საქონლის უდიდესი ნაწილი ჩინეთშია წარმოებული, ტვირთებით მომარაგების საქმე სანახევროდ მოგვარებულია. დანარჩენზე საქართველოს მთავრობამაც უნდა იფიქროს, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ განლაგებულ ქვეყნებთან.

ცნობილია, რომ, ანაკლიაში პორტის მშენებლობის დაწყება 2016 წლის პირველ ივნისს არის დაგეგმილი.

***(გაგრძელება მე-9 გვერდზე)***

# საპარლამენტო რესპუბლიკა თუ ერთპიროვნული მმართველობა?

***2015 წლის 6 ნოემბერს სომხეთში ჩატარდა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომელსაც უნდა გაერკვია ქვეყნის მართვის მომავალი და ამომრჩეველთა 63%-ზე მეტმა მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შეცვლას. რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა რეფერენდუმის შედეგები. სომხეთი საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე გადავიდა და ეს გადასვლა განხორციელდა ხალხის ნების გათვალისწინებით. საქართველოში კი მმართველობის ფორმის შეცვლა 2010 წელს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად ისე მოხდა, რომ ხალხისთვის არავის არაფერი უკითხავს. ასეთი სახით საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის შეცვლას შეიძლება ვუწოდოთ სახელმწიფო გადატრიალება.***

ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს, ვის ხელში და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ქვეყანა 2004-2012 წლებში – როგორ ამცირებდა და შეურაცხყოფდა დასავლეთის მიერ გათამამებული პრეზიდენტი პარლამენტს, მთავრობას, საჯარო მოხელეებსა და, საერთოდ, ნებისმიერ მოქალაქეს. მას თავი ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონად წარმოედგინა და მისთვის კანონი და მორალი აღარ არსებობდა. შელახა რა ეროვნული ტრადიციები, მომავალში ძალაუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილმა, ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, განიზრახა, კონსტიტუციაში შეტანილიყო ისეთი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფდა მისთვის შეუზღუდავ ძალაუფლებას განუსაზღვრელი ვადით, რაც განახორციელა კიდეც კონსტიტუციური გადატრიალებით ძირითადად ცალფაზიანი დეპუტატებით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა, ვენეციის კომისიის და გერმანელი ექსპერტების დახმარებით.

მან შეძლო ისეთი ძირითადი კანონის შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც გაურკვეველი გახდა ქვეყნის მმართველობის სისტემა, სადაც სახელმწიფოს მეთაურად, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტად გვევლინება კონსტიტუციის მიერ დაკოდილი პრეზიდენტის თანამდებობა, ხოლო პარლამენტი – სამუდამო მივლინებაში მყოფი. ამ კანონმა ისე არია მმართველობის სისტემა, რომ დღესაც ვერ გაურკვევიათ იურისტებს, ჟურნალისტებს და არასამთავრობოებს, ვინ არის სახელმწიფოში ქვეყნის პირველი პირი – პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი, რომელსაც, არათუ ფიცი არ დაუდვია, განცხადებაც კი არ გაუკეთებია და ამით პასუხისმგებლობა არ დაუკისრებია ქვეყნის მართვაზე (ხომ შერჩა მიხეილ სააკაშვილს 2008 წელი).

2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ავტორებმა ისეთი გაუნათლებლობა, ანალიტიკური აზროვნების უუნარობა და გაუთვითცნობიერება გამოამჟღავნეს, რომ გეგონება, საერთოდ, დაავიწყდათ, რა ტიპის სახელმწიფო ყალიბდება ამ ცვლილებების შედეგად. ის, რომ ეს ცვლილებები გაანგარიშებული იყო მხოლოდ ერთი თანამდებობის პირზე, აღიარა თვით ყოფილმა პრემიერმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მაგრამ მან არაფერი არ იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად და დღესაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უცნობია, რომელი მმართველობის სახელმწიფოში ვცხოვრობთ – საპრეზიდენტო თუ საპარლამენტოში.

იმჟამინდელ პარლამენტარებს, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, ალბათ, აღარც ახსოვდათ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის პარლამენტს და არა მთავრობას.

და, თუ დღეს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო და სხვადასხვა ორგანიზაცია დაჟინებით მოითხოვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაშლას წარსულში მისი არაკეთილსინდისიერი, არაკომპეტენტური და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების გამო, მაშინ რაღა უნდა ითქვას საკონსტიტუციო სასამართლოზე, რომელიც ბათუმში გადაბარგების შემდეგ ღრმა ძილს მიეცა და გამოეპარა ქვეყნისთვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენები, როგორებიცაა 2008 წლის აგვისტოს ომი, 2010 წლის საკონსტიტუციო გადატრიალება, 2007 და 2011 წლების მშვიდობიანი მოსახლეობის დაუნდობელი დასჯა, რომელმაც დასცინა დემოკრატიას და ქვეყანა შეამზადა ავტორიტარული მმართველობისთვის, მაგრამ ყოფილმა პრემიერმა ღარიბაშვილმა ეს პროცესი დროებით შეაჩერა და, სანამ ეს ძირითადი კანონი ამ სახით ძალაში იქნება, მანამდე ყოველთვის იარსებებს დიქტატურის დამყარების საფრთხეც.

საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როდესაც ტელეკომპანია **"რუსთავი 2"**-ს დასჭირდა მისი დაცვა და, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაშლელია, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოც ზედ მისაყოლებელია თავისი უპრინციპობისა და შერჩევითი სამართლისთვის.

* * *

2015 წლის 23 დეკემბერს მთავრობის იმჟამინდელმა მეთაურმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადა გადადგომის შესახებ. არადა, რამდენიმე დღით ადრე ის საზოგადოებას ქვეყნისა და მთავრობის წარმატებებზე ვრცლად ესაუბრა. რამდენიმე ხნით ადრე ასევე მოიქცა ბატონი ბიძინა ივანიშვილიც.

მაგრამ ორივეს და მათ მრჩევლებსაც დაავიწყდათ, რომ მთავრობას 2010 წლიდან საკუთარი გადაწყვეტილებით გადადგომის უფლება ჩამოერთვა (იხ. გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"** №24, 2015 წ. გვ. 22-23).

მიუხედავად იმისა, რომ **"ნაცმოძრაობის"** წევრები და მათი მომხრეები, არასამთავრობოების წარმომადგენლები და სხვები კარგად ფლობენ უცხო ენებს და ნაზიარები არიან დასავლურ ღირებულებებს, ძალიან ცუდად არიან ჩახედულნი დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაში, განსაკუთრებით კი – საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციებში. როგორც ჩანს, მათ ისინი წაკითხულიც კი არ აქვთ.

საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული პრემიერ-მინისტრის გადადგომის პროცედურა და არც ის, ვის წინაშე იხსნის ის უფლებამოსილებებს.

იმისათვის, რომ სააკაშვილს გაპრემიერების შემთხვევაში დისკომფორტი არ ეგრძნო გადადგომის უფლებისადმი (მას, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რა შეძახილებით შეიჭრა პარლამენტის სხდომათა დარბაზში 2003 წელს და, ალბათ, გაითვალისწინა ისიც, რომ 2007 წელს მისმა დაუფიქრებელმა გადადგომამ პრეზიდენტის თანამდებობა კინაღამ დააკარგვინა), ამიტომ მისთვის ამ არც ისე სასიამოვნო უფლების ამოღება ძირითადი კანონიდან შემთხვევითი არ ყოფილა.

გააზრებული იყო სააკაშვილის ქმედებაც, როდესაც მან პარლამენტს ჩამოართვა მთავრობის უპირობო გადადგომის დადგენილების აღძვრის უფლება (მ.81/2) და, აგრეთვე, როდესაც უნდობლობის გამომცხადებელ პარლამენტართა რაოდენობა 50-დან 60-მდე გაზარდა.

იმის გამო, რომ ძირითად კანონში მთავრობის გადადგომა გათვალისწინებული არ არის, პრემიერის უფლებამოსილების შეწყვეტა ასეა განმარტებული:

**"ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობის უფლებამოსილება მოხსნილად ითვლება (მ. 80/1)"**, ე.ი. პრემიერი დამამცირებლად მიიჩნევს, რომ ვინმეს რაიმე სთხოვოს, მით უმეტეს, გადადგომის შესახებ.

ცნობისათვის: ისრაელის ქნესეთი ან მისი კომიტეტი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას პრემიერის გადადგომის შესახებ, სანამ ის ქნესეთის წინაშე სიტყვით არ წარდგება.

გადადგომის შესახებ პრემიერ-მინისტრი განცხადებით მიმართავს პრეზიდენტს!

ჩვენთან კი კონსტიტუციამ ისე არია სახელისუფლო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილება, რომ 2015 წლის სექტემბერში აშშ-ში ერთდროულად ორი დელეგაცია გაემგზავრა. ორი წელია, ბატონი გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტია და დღემდე ვერ გარკვეულა თავის უფლებებში და კონსტიტუციის მიმართ თავისი არასერიოზულობით, ალბათ, ძალიან დააფიქრა თავისი მომხრეები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

ძნელი არ იქნება იმის დამტკიცება, რომ ყოფილმა პრემიერებმა მიღებული გადაწყვეტილებით გადადგომის შესახებ ძირითადი კანონი დაარღვიეს და გადადგომის რეალური მიზეზების გაუმჟღავნებლობის გამო მოსახლეობის მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინეს, პარლამენტი და პრეზიდენტი კი შეურაცხყვეს, მაგრამ მათ ეს ვერ იგრძნეს (ვერც კი ხვდებიან) და, რადგანაც მათ თავიანთი უფლებების აღსადგენად და თავმოყვარეობის დასაცავად ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ, ღირსნი ყოფილან ამ შეურაცხყოფის, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების პრინციპულობა და პროფესიონალიზმი შესამოწმებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის სუსტი ცოდნით გამოირჩევიან არა მხოლოდ ყოფილი პრემიერ-მინისტრები, არამედ ახალარჩეული მთავრობის მეთაურიც, რომელსაც გაუჭირდა დამაჯერებელი პასუხის გაცემა ჟურნალისტის შეკითხვაზე: რატომ სათანადოდ არ დააფასა ამერიკაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ელჩმა აშშ-ში – გეგეშიძემ და რატომ დაუთმო ელჩმა მეტი ყურადღება ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და არა პრეზიდენტს?

ძალიან სამარცხვინოა ის, რომ ძირითად კანონს აღმაშფოთებლად ცუდად იცნობენ პარლამენტარები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციებზე.

მაგალითად: 2015 წლის 24 დეკემბერს ერთ-ერთ ტელეარხზე ვიხილე ძალიან ცნობილი და პატივცემული პარლამენტარის გამოსვლა, რომელმაც საქართველო დაასახელა, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა. ძალიან გამაოცა მისმა შეფასებამ და გავიფიქრე: თუ მართლა ასე ესმის საქართველოს კონსტიტუცია, მაშინ მისთვის სრულიად უცნობი ყოფილა სააკაშვილის პიროვნება, მისი სწრაფვა ერთპიროვნული მმართველობისკენ-მეთქი.

პარლამენტი, რომელის წინაშეც პრემიერ-მინისტრი საჭიროდ არ მიიჩნევს ილაპარაკოს გადადგომის რეალურ მიზეზებზე, ხოლო პარლამენტი ვერ იყენებს თავის უფლებას (ვერ ბედავს), მოსთხოვოს მთავრობის სამთავრობო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მაინც (მ. 79/3), დაფასებული ვერ იქნება ვერც მოსახლეობის და ვერც მთავრობის მიერ.

მაგრამ პარლამენტისათვის ყველაზე დამამცირებელი არის კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც პრემიერს უფლება ეძლევა, არად ჩააგდოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნა, პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

**მივმართავ ბატონ ზაქარია ქუცნაშვილს!**

როდესაც მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას სჭირდება პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა, მაშინ როგორ შეიძლება პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნას საპარლამენტო რესპუბლიკაში პატივი არ სცეს და პასუხის ღირსადაც არ გახადოს.

არსებობს კი სადმე ასეთი საპარლამენტო რესპუბლიკა?

პარლამენტში სახელოვანი სპორტსმენებისა და ხელოვანების სიჭარბე კი არ არის პრობლემა, არამედ იურიდიულ, თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დეპუტატების მწვავე დეფიციტი.

დასანანია, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები პარლამენტიდან მეტ ყურადღებას აქცევთ იმას, რას გაიძახიან ფასიანი არასამთავრობოები, არაკომპეტენტური და მიკერძოებული საზღვარგარეთელი მრჩევლები და საერთოდ არ აქცევთ ყურადღებას, რას გირჩევთ ხალხი.

პატივისცემით,

**ალექსანდრე ტოლსტოი**

---

ამდღარ დღაშ მანგი

## „ართი კოჩიქ ქუმორთუ დო..."

**ართი კოჩიქ ქუმორთუ დო,**
**ქიანას აიშენენქია!**
**ქიანა მარა მუ ქიანასი,**
**ნტერეფს გაშტერენსია!**
**ამერიკა ფარას მერჩანს,**
**ოქრო ვარჩხილს ბრელსია!**
**ევროპაშე ოჭკუმალი,**
**პისუ ქიტკოცენსია!**
**„ნატო" თეში დორთხილანს,**
**რუსის ვაშაიტენსია!..**
**ქიანა ჩქიმი მიჩქუდუ დო,**
**ვაიმენდენდ შხვეფსია!**
**თურმე ათაქ მებდინაფექ,**
**მი მიწინდუ თესია:**
**„ევროპა დო ამერიკას,**
**ქიანაქ ვაგართესია!"**
**უჯგუშ რინაშ იმენდიქ,**
**ქაშმოწირდუ ხესია –**
**„ნატო" კიბირ ეციმილქუ,**
**ქაშმოსქიდუ ხესია!**
**რუსი ტყურათ მიმნდურე დო,**
**ვამიჸოროფუ შხვეფქია –**
**ათეჯგუა ბოლო უღუ,**
**კოს მუშ დუდიშ ნტერსია!**

დღევანდელი დღის მისადაგი

## „ერთი კაცი მოვიდა და..."

**ერთი კაცი მოვიდა და,**
**ქვეყანას აგიშენებო!**
**ქვეყანას და რა ქვეყანას,**
**მტერსაც კი გააშტერებსო!**
**ამერიკა ფულებს მოგცემს,**
**ოქრო და ვერცხლს უთვალავსო!**
**ევროპიდან კი საჭმელით,**
**აგივსებენ საყლაპავსო!**
**„ნატო" ისე დაგიფარავს,**
**არ ჩაგტოვებს რუსის ხელში!**
**ქვეყანა ჩემი მეგონა,**
**იმედს ვაღვივებდი სხვებში!**
**თურმე სწორედ აქ დავიქეც,**
**ვინ მეტყოდა სიმართლესო:**
**„ამერიკამ და ევროპამ,**
**ქვეყანა ვერ გაიყვესო!"**
**უდარდელი დღის იმედი,**
**შემომადნა ხელშია –**
**„ნატო" კბილებდაცვენილი,**
**შემრჩა მარტოს ხელშია!**
**ტყვილა რუსიც მოვიმდურე,**
**უცხომ მე არ შემიყვარა –**
**საკუთარი თავის მტერმა,**
**არც სხვები არ გაახარა!**

## „მაიმუნიშ წანაქ" გოთანდუა იჩიებნან, თინეფიშ „ჸუჯიშ ორხვალო"!

**არძას მუში წანა უთანდღ –**
**მინს ღორონთიშ,**
**მინს ხოლო მაიმუნიში!**
**გაჩქჷ, მისჷ, სო უძახჷ,**
**ჩქი, – ღორონთიშ შარას გეპუნთ,**
**მიქამგარიო* დო ჯიში!**
**შურ დო გურით ვორეთ თიში!**

***„მიქამგარიო" – (მიქაელ გაბრიელის), "დიდი ოხვამური", "საღორონთო" – (საღვთო), "ჯინჯი ხატი" – (ძირი ხატი)...**

## იმათი „ყურის გასახვრეტად", ვინაც ამბობს „მაიმუნის წელი" გათენდაო!

**ყველას მისი წელი უთენდება –**
**ზოგს უფლის,**
**ზოგს კი მაიმუნისი!**
**გააჩნია, ვის, სად უხმობს,**
**საღვთო ხატი, გენი, ჯიში!**
**ჩვენ, – უფლის გზას მივუყვებით,**
**სულით და გულით ვართ მისი!**

*გერმანიიდან გადმოგზავნილი მეგრული ლექსები შესატყვისი ქართული თარგმანით ეკუთვნის*

დავით შოთაძეს, (დ.ქ.), კობლენცი, გერმანია

---

## სოხუმში თავისუფლების სკვერის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

სოხუმში, თავისუფლების სკვერში დასრულდა ტროტუარების მოწყობის პირველი ეტაპი. როგორც ახალი ამბების სააგენტო **"აფხაზია-ინფორმი"** იუწყება, ამ ეტაპზე ფილები დაგებულია დაახლოებით 900 კვადრატული მეტრის ფართობზე, გაკეთდა ასევე ბეტონის ბორდიურები და განათება. საქველმოქმედო ფონდის, **"თავისუფლების სკვერის"** ხელმძღვანელმა ინალ აბუხბამ **"აფხაზია-ინფორმს"** განუცხადა, რომ შესრულებული სამუშაოებისთვის ჯამში 1.278.383 რუბლი დაიხარჯა. მისივე თქმით, ამ თანხის ნაწილი ქველმოქმედების შედეგად დაგროვდა. ინალ აბუხბა მოუწოდებს ბიზნესმენებს შემოწირონ თანხები საქველმოქმედო ორგანიზაციას, რათა დასრულდეს სკვერში დაწყებული სამუშაოები. როგორც სააგენტო იუწყება, სკვერის რეკონსტრუქცია დასრულდება **"აფხაზეთის ომში გამარჯვებიდან 25 წლისთავის ზეიმისთვის"**. ჯამში სკვერის რეკონსტრუქციას 12-15 მილიონი რუბლი მოხმარდება.

# შევარდნაძე-სააკაშვილის პოლიტიკური გზის გამგრძელებელი ხელისუფლება წარმატებული ვერ იქნება, მიმიფურთხებია თქვენი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის!

*„რაღაა იგი სინათლე*
*რასაცა ახლავს ბნელია"*
შ. რუსთაველი

**ამასწინათ ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა საგულდაგულოდ შენახული ძველი გაზეთი გამომიწოდა, რომელშიც ეწერა: „საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბ. ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საკუთარი ფულის 90%-ზე მეტს დახარჯავს თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ბ. ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს უახლოეს ისტორიაში უპრეცენდენტო ნაბიჯი უწოდა". გაზეთი „რაო-რაო" 2013, 9-15 ნოემბერი**

ამ მართლაც უპრეცენდენტო დაპირებამ მე-14 საუკუნის ირანელი პოეტის,– ჰაფეზის ჭეშმარიტად პოეტური აღმაფრენით შთაგონებული ლექსი გამახსენა, სადაც იგი გულის დარდის გამქარვებელს ქალაქების – ბუხარასა და სამარყანდის ჩუქებას ჰპირდება. განრისხებულმა შაჰმა იხმო ჰაფეზი და უთხრა: **„როგორ ბედავ, შენ, ვიღაც დერვიში, ბუხარასა და სამარყანდს, რომლის განდიდებისათვის მე სიცოცხლეს არ ვიშურებ, ვიღაცას ჩუქნი?!"** –

**"დიდო მბრძანებელო, ასეთმა გულუხვობამ ასე გამაღატაკა".** – მიუგო ჰაფეზმა და თავის ძველმანებზე დაახედა.

მახვილსიტყვიერებით მოხიბლულმა შაჰმა ხალათი აჩუქა, რაც დიდი პატივი იყო პოეტისთვის.

ბატონი ბიძინა თავის დაპირებებს არც გაუღატაკებია, არც ძველმანებით შემოსილა, ხოლო ქართველმა ხალხმა ნდობის მანდატი და ქვეყნის მართვის სადავეები უბოძა.

ხელისუფლებაში მოსვლამდე ბ. ივანიშვილს ერთ-ერთ სამედიცინო დარგის მუშაკთან საუბრისას უთქვამს: ხელისუფლებაში მოსვლა არ მინდა, რადგან ან რუსეთი განაწყენდება, ან ამერიკა, ხოლო ხალხი ბოლოს სტვენით გამაცილებსო. ეს სავარაუდო პროგნოზი შეიძლება ახდეს, თუ ამ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არაფერი შეცვალა. ერთადერთი რეფორმა, რომელიც საზოგადოებას პოზიტივად მიაჩნია – ჯანმრთელობის რეფორმაა, მაგრამ აქაც არაერთი კითხვა ისმის, მთლიანად დაინგრა წამლების დამზადების სისტემა, რომელიც რიგ შემთხვევებში გაცილებით ეფექტიანი და ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობისათვის. არ შემოდის შესაბამისი რეაქტივები და თავად ექიმებისთვისაც გაუცხოვდა ეს მექანიზმი, რადგან ჯანმრთელობის რეფორმა, ფაქტიურად, გარკვეულ პირთა ბიზნესინტერესებს ემსახურება და არა პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას. საინტერესოა ისიც – რეცეპტების შემოღებით, რომელზეც უამრავი ქაღალდი იხარჯება, ვითომ შემცირდა ნარკომანია ქვეყანაში?

სამართლიანობის დამკვიდრებას და ნაცმოძრაობის გასამართლებას რაც შეეხება, ეტყობა თავიდანვე არ იყო **„გაწერილი"** ივანიშვილის ოცნებებში. ამის დასტურია ისიც, რომ ბერა ივანიშვილის სტუდიაში გადაწყდა ფარცხალაძის პროკურორობა და არაპროფესიონალი კადრების შეყრა პროკურატურაში, როცა ადგილობრივი კადრებიდან შეიძლებოდა ღირსეული კანდიდატის შერჩევა.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ქულების ჩაწერის მიზნით ნაცებმა ზვიადის რეაბილიტაცია მოახდინეს 2004წ. 15 ივნისს და ეს საკითხი ყველაზე ავტორიტეტულ და ობიექტურ პროკურორებს მიანდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროკურორები არანაირ უკანონო პოლიტიკურ დაკვეთებს არ ასრულებდნენ, მათი განთავისუფლება ნაცებმა არ იკადრეს, თუმცა ათასნაირი მიზეზით ამის განხორციელება შეეძლოთ. ბადაშვილის გუნდმა ეს ბანალური მოტივით იკადრა, რადგან არანაირი ღირებულების პატივისცემა მათ არ გააჩნიათ და არც პროფესიონალები სჭირდებათ. ზღაპარი ქართული ოცნების ასრულებისა დამთავრდა, ახლა იწყება ფინალური ნაწილი ამერიკული ოცნების დასრულებისა, რასაც ემსახურება ხიდაშელის დანიშვნა მინისტრად და ხელისუფლების მიერ საგარეჯოში არჩევნებზე რესპუბლიკელი კადრის ლობირებაც, რაც თავისთავად მიანიშნებს, რომ ივანიშვილის მიერ ანტიქართველების – რესპუბლიკელებისა და მარგველაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა სრულიად გააზრებული გადაწყვეტილება იყო, ხოლო, რადგან ნაცები და რესპუბლიკელები ერთი მედლის ორი მხარეა, აღარ არის გასაკვირი ნაცების ლობირებაც ხელისუფლების მიერ. ნაცების მიერ სახელისუფლებო კანდიდატის მხარდაჭერაც ამას მიანიშნებს. რაც შეეხება **„პატრიოტთა ალიანსის"** წარმომადგენელს – ი. ინაშვილს, რესპუბლიკელებისაგან განსხვავებით, ნაცების მიმართ შეურიგებელი პოზიციით გამოირჩევა, ციხის კადრების გავრცელებაც ამას მიანიშნებს, მაგრამ საგარეო პრიორიტეტებთან მიმართებაში რესპუბლიკელებისა და ნაცების მსგავსად რუსეთს მტრად მიიჩნევს და ზნედაცემულ დასავლეთს მეგობრად.

**„რუსეთი არის საერთაშორისო ბანდიტი"** – აცხადებს ი. ინაშვილი და ნაცებთან მიმართებაში სვამს კითხვას: **„რომელია ჩემზე მეტად ევროპელი და დასავლური ფასეულობების მატარებელი?"**. ეს პარტია არასდროს ეტყვის **„არა"**-ს დასავლეთს, როგორც ეს ბერძენმა ხალხმა და ვიკინგების შთამომავალმა ისლანდიელებმა გააკეთეს. ვისთან იწერს ქულებს ი. ინაშვილი, ნაცებთან და იმ 1001-ე ხარისხის სენატორებთან, რომელნიც, სააკაშვილის თქმით, მხარს უჭერდნენ არჩევნებში? ეს არ არის იმ პოლიტიკოსის პოზიცია, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება! ამ იდეოლოგიის მქონე პოლიტიკოსი ვერ დაალაგებს რუსეთთან ურთიერთობას. ბ-ნი თარხან-მოურავის აზრით, კავკასიაში 2 მოთამაშის (ამერიკა და რუსეთი) ყოფნა განაპირობებს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების საკითხს, ხოლო ამერიკის წასვლა კავკასიიდან საქართველოზე უარყოფითად აისახება. არ აკეთებს ანალიზს, რა მოხდება, თუ რუსეთი კავკასიიდან წავა – ჩვენ ვრჩებით მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში (თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ჩრდილოკავკასია) და ამის შედეგი წარსულში არაერთხელ მწარედ ვიწვნიეთ.

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ **„პატრიოტთა ალიანსი"** ხელისუფლებაში მოვიდა. მართლმადიდებლობასთან მებრძოლი, ფაშისტური ამერიკის ხელისუფლება ისე მოიხიბლება ამ პარტიის წარმომადგენელთა ეროვნული იდეოლოგიით, მართლმადიდებლური მრწამსითა თუ ვიზუალით, რომ საქართველოს მიმართ, რომელიც პლაცდარმის როლს ასრულებს და რუსეთის გასაღიზიანებლად სჭირდება, პოლიტიკას შეიცვლის და ეროვნული სახელმწიფოს აშენებაში ხელს შეგვიწყობს? გჯერათ ვინმეს ამ ზღაპრის? ამერიკას რომელიმე ქვეყნისთვის რაიმე სიკეთე მოუტანია გარდა დაშლა-დაქუცმაცებისა? გავიხსენოთ, როგორ ებრძვიან ამერიკელები ეროვნულობას და ტრადიციებს:

**ნატო-ს გენმდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი: „ორი ათასი წლის წინათ შეთხზული ზღაპარი იესო ქრისტეს შესახებ უნდა დამთავრდეს!".**

**აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი: „არ მაინტერესებს თქვენი კულტურა";**

**ევროკავშირის პრეზიდენტი ხერმან ვან რომპეი: „ცნებები „ხალხი" და „ერი" ისტორიულ სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ".**

დასავლეთთან **„მეგობრობით"** ქართული ღირებულებების იგნორირებას ვახდენთ, რაც 25 წელია ანგრევს საქართველოს, რადგან ეროვნული ღირებულებები და დასავლეთისკენ სწრაფვა ურთიერთგამომრიცხავია. თუ ამ ლოგიკით მივუდგებით საკითხს, **„პატრიოტთა ალიანსი"** ეროვნულობაზე და ტრადიციებზე საუბრებით მოსახლეობისგან ხმების მიზიდვას ცდილობს, ხოლო დასავლეთთან **„მეგობრობა",** სადაც ხშირად დაბრძანდებიან მწვანე შუქის მისაღებად და ხელისუფლებაში მოსასვლელად სჭირდებათ.

ცნობილია, მსოფლიოს საიდუმლო – ბნელით მოცული მასონური ორგანიზაციები მართავენ და ფინანსურ საქმიანობასა და ბანკებსაც ისინი აკონტროლებენ. ივანიშვილი და პოროშენკო ამერიკამ საკუთარი ფინანსების წყალობით აქციეს მარიონეტებად და მათ ფინანსებზე დამიზნებით აკეთებინებენ ხალხისა და ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს. სწორედ ამიტომ არ უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში ივანიშვილი და საქართველო არ უნდა იქცეს მისი ფინანსების მძევლად.

პოლიტიკოსები და არა მარტო ისინი, უნდა აცნობიერებდნენ, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის, ახალი წესრიგი ყალიბდება, შეიქმნა **„ბრიჩსი"** – ძლიერი ეკონომიკური გაერთიანება და მალე მსოფლიოს ეკონომიკა მათ ხელში გადავა. ამას გააზრება სჭირდება და არა ამერიკის ინტერესების ლობირება საწვრთნელი ცენტრების შექმნით.

ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკა და მიდგომები დავათბოთ, საქართველო რუსეთს ეთნიკურ წმენდაზე უჩივის ჰააგაში 2008 წლის ომთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად სჭირდება დასავლეთთან. არ უნდა დავდგეთ ტერორისტების მხარდამჭერი ქვეყნის გვერდით, რუსეთი ტერორისტებს ებრძვის ისლამურ სახელმწიფოში, რაც საქართველოს მშვიდობიანობასაც უზრუნველყოფს.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება №1 თემა უნდა იყოს მოაზროვნე ხელისუფლებისათვის და უნდა გავემიჯნოთ დასავლეთის დამღუპველ პოლიტიკას. საგულისხმოა, რომ რუსეთს თითქმის არა აქვს საგარეო ვალი. პუტინმა სსრკ-ს ვალებიც გაისტუმრა და ოქროს მარაგიც შეავსო. ამერიკის ვალი კი 18 ტრილიონს აღწევს.

სიბრძნითა და პატრიოტიზმით ე.წ. პოლიტიკოსებიდან ვერავინ შეედრება ჩვენს ეროვნულ გმირს – მეფე ერეკლეს, რომელმაც მცირე ბოროტება აირჩია რუსეთის სახით და ამ არჩევანმა იხსნა ქართველი ერი მატერიალური, სულიერი და ფიზიკური განადგურებისაგან. ამასვე ასაბუთებს სტალინი, რომ რუსეთი ორ მუსულმანურ სახელმწიფოსთან შედარებით თავისი კულტურითა და რელიგიით უფრო ახლოს იყო საქართველოსთან. დღეს სტალინი კრიტიკის ობიექტად იქცა იმ პირთაგან, ვინც კრიმინალ პედოფილებს მსუყედ აფინანსებდა და დღეს პოლიტიკურ სიცოცხლეს უხანგრძლივებს. როგორც ექსპრემიერი აცხადებს, სტალინის პიროვნება მისთვის **„პოზიტივი არ არის"**, ხოლო გ. თოფაძეს ასაკის გამო პატიობს სტალინის პერსონის პატივისცემას და მის დადებით კონტექსტში წარმოჩენას, რაც შეურაცხმყოფელია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც მის ხსოვნას სათუთად ინახავს. სტალინს აკრიტიკებს ხელისუფლებაში პროცესების რეალური წარმმართველი პიროვნება, რათა დასავლეთს და ნაცებს ასიამოვნოს ქართველი ხალხის იმედგაცრუების ფონზე. სტალინს აკრიტიკებს პიროვნება, რომელსაც კრიმინალი პედოფილებისგან ვერ გაუნთავისუფლებია პოლიტიკური სივრცე, რომ არაფერი ვთქვათ მათ დასჯაზე. სტალინს აკრიტიკებს იმ ხელისუფლების თავკაცი, რომლის დანაშაულის კოეფიციენტი იზრდება გასაჯაროებული კადრების სიმრავლისა და სიმძიმესთან ერთად: ხალხის ნების იგნორირება, კვლავ ნაცკრიმინალთა ყელყელაობა ანგრევს საზოგადოების ფსიქიკას და ამას რეცეპტების შემოღებით ვერ აღადგენს ჩვენს ჯანმრთელობაზე **„მზრუნველი"** ხელისუფლება. კრიმინალებთან გარიგებულმა ხელისუფლებამ არ შეცვალა სისტემა და ამ გაუბედურებულ ქვეყანაში საჯარო მოხელეები მსოფლიოში ყველაზე მეტ ანაზღაურებას იღებენ რუსეთის შემდეგ. რისთვის ავირჩიეთ, ბიუჯეტი რომ თქვლიფონ?

სტალინს აკრიტიკებენ ამერიკელთა ფეხსაცმლის ლანჩის მლოკველი ე.წ. სახელისუფლებო თუ ე.წ. ოპოზიციონერთა წარმომადგენლები. გუნდრუკს უკმევენ დასავლეთს და ლეგიტიმაციას აძლევენ მათ მიერ კრიმინალის დაცვას; უზნეო პოლიტიკის გატარებას; 45 ინტერვენციის მოწყობას (მე-20 საუკუნიდან) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ჩვენი ქვეყნის და ხალხის გაწირვას და კვლავ ნაცების მობრუნების ხელშეწყობას; ეროვნების უარყოფას და წართმევას; ანტიდისკრიმინაციული კანონის თავსმოხვევას; ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. გსმენიათ მათგან დასავლეთის კრიტიკა? ეს ყოველივე რუსეთს რომ ეკეთებინა, წარმოიდგინეთ, რა ყეფა-გნიასით გააყრუებდნენ ქვეყანას! ამ ლოგიკას თუ გავყვებით, ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა გამორიცხოს, რომ ამერიკის დავალებით მოსული ხელისუფლება ამჯერად ახალი რეკომენდაციებით ასპარეზს კვლავ ნაცებს დაუთმობს. მათი დაუსჯელობა და უკრაინაში აღზევებაც ამის მაჩვენებელია!

მართლმადიდებელი ქვეყნისთვის მიუღებელ დასავლეთის პოლიტიკას და ახალგაზრდების გახრწნაზე ორიენტირებულ მასონურ ძალებს ებრძოდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გორელი ბიჭი – სოსო ჯუღაშვილი. სწორედ უზნეობასთან ასოცირებული **„თავისუფლებისაგან"** გვიცავდა საბჭოთა კავშირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს – კანდიდ ჩარკვიანს სტალინთან ძალზე გულთბილი ურთიერთობა აკავშირებდა. თავის მოგონებებში გვიამბობს სტალინის ინიციატივით, ომის წლებში – 1943 წლიდან როგორ დაიწყო მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა რუსთავში; მისივე სურვილით და ჩარკვიანის ინიციატივით 40-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი კარდიოლოგიის ინსტიტუტის მშენებლობას. 1951 წელს ჩარკვიანი სტალინს ეახლა მოსკოვში, რომელმაც დაამტკიცა მეტროს მშენებლობის პროექტი მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში მეტროზე მხოლოდ ოცნებობდნენ.

სტალინის რეაბილიტაცია მოღვაწის სტატუსით, 60-იან წლებში ბრეჟნევმა დაიწყო. მის იუბილესთან დაკავშირებით გარემონტდა გორის მუზეუმი და მომზადდა ახალი ექსპოზიციებისთვის. გადაეცა ჯავშნოსანი მატარებელი, გ. ჟუკოვმა გადასცა საკუთარი ექსპონატები.

ვ. პუტინმა ამ ხუთიოდე წლის წინ პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინა ხრუშჩოვის მიერ დანგრეული მეტროსადგური „სტალინსკაია". როცა მას ჰკითხეს, როგორ აფასებდა სტალინის მოღვაწეობას, ვ. პუტინმა აღნიშნა, რომ იყო შეცდომებიც, მაგრამ სტალინმა მოიგო სამამულო ომი, მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მსოფლიო ინახავს სტალინის ხსოვნას ბიუსტებისა თუ ბარელიეფების სახით: ავსტრიის დედაქალაქ ვენაში; ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში; ამერიკაში, ვირჯინიის ქალაქ ბედფორდში; შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო 5-დოლარიანი მონეტებიც დაბეჭდეს სტალინის გამოსახულებით; გერმანიის დედაქალაქ ბერლინში არაერთი მონუმენტური ქმნილებაა შემონახული სტალინის ხსოვნისა და პატივისცემის ნიშნად.

აღარ ჩამოვთვლი სტალინის სახელთან დაკავშირებულ ყველა იმ პოზიტივს, რომელზეც არაერთხელ თქმულა და რომელიც ბ. ივანიშვილისთვის **„პოზიტივი არ არის".** სახელისუფლებო ელიტას, რომელსაც თავისი პატარა ქვეყნისთვის ვერ მოუვლია, ვეკითხები: ვინ, რომელმა ხელისუფალმა რა გააკეთა იმის საფასური, რომ სტალინი აკრიტიკოს? რა უფლებით ზღუდავთ თანამემამულეთა ნებას სტალინის ძეგლის აღდგენის თაობაზე? რა, ჩემი სამშობლო თქვენი კერძო კომპანიაა? მიმიფურთხებია თქვენი ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის!

ჩვენი თანამემამულეები დიდი რუდუნებით ინახავენ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ხელთ ჩამივარდა სტალინის წერილის ქსეროასლი, რომელიც მარტყოფელი კაცის – იოსებ მათიაშვილის მიერ იქნა შემონახული. ამ წერილს სტალინი თავის მასწავლებელს – პეტას სწერს და აცნობებს, რომ უგზავნის თავის ჰონორარს – 2000 მანეთს როგორც მეგობრულ ნობათს, რომელიც მხოლოდ მის დასახმარებლად აიღო. ასევე, აძლევს სესხს 3000 მანეთს ბერიას დახმარებით, – **„შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა"** – აღნიშნავს სტალინი წერილში. ეს წერილი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იოსებ სტალინი თანამემამულეთა წერილებს კითხულობდა და კიდეც პასუხობდა – მისი უბრალოება დიდი ადამიანების მახასიათებელი თვისებაა. მივმართავ ბ-ნ ბიძინას: ნუ ეცდებით მის კრიტიკას, მის სიმაღლეს ვერასოდეს მიაღწევთ!

შევადაროთ სტალინის დამოკიდებულება მოსახლეობასთან ჩვენს ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელთაც ვირჩევთ, ფუფუნებაში ვაცხოვრებთ და ნებას ვაძლევთ ამ ფუნაგორიებს ჭკუა გვარიგონ, ზემოდან გვიყურონ არსებებმა, რომელთაც არც ადამიანური, არც პოლიტიკური ღირებულება არ გააჩნიათ, ხოლო ქვეყანა ქაოტურად, იდეოლოგიის გარეშე იმართება.

თუ დასავლეთის ნების აღმსრულებელი შევარდნაძის პოლიტიკა იყო მოღალატეობრივი სოციალიზმის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს მიმართ, სააკაშვილის მმართველობა – კრიმინალური, მათი გზის გამგრძელებელი დღევანდელი ხელისუფლება წარმატებული ვერ იქნება!

გენიალური ფსიქოანალიტიკოსი და მწერალი გრიგორი კლიმოვი გვაწვდის ტესტს ხელისუფლების რეალური სახის შესაცნობად. ამისთვის უნდა გავაანალიზოთ:

**ა) როგორ რეაგირებს მთავრობა პედერასტების უფლებების დაცვაზე;**

**ბ) როგორ რეაგირებს მთავრობა დამნაშავეთა დასჯაზე;**

**გ) როგორ იცავს მთავრობა მშრომელი ადამიანების ინტერესებს;**

**დ) როგორ იცავს მთავრობა დეგენერატების, პარაზიტული კლასის ინტერესებს.**

დასკვნის გაკეთება საზოგადოებისთვის მიმინდვია.

იზა თამაზაშვილი

# მოგზაურობა კავკასიაში

*ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი*

**(გაგრძელება წინა ნომრიდან)**

რუსებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ გულხელდაკრეფილი ცქერა. მალე თბილისიდან ბრძანება მოვიდა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, სვანი თავადი შეეპყროთ და პეტროგრადში გაეგზავნათ. სათქმელად ადვილია! დადეშქელიანი დროდადრო ჩამოდიოდა ქუთაისში, მაშინდელმა გუბერნატორმა თავადმა გაგარინმა შეიტყო, რომ სწორედ იმ დროს სვანეთის მთავარი ქალაქში იმყოფებოდა. აქ მომგვარეთო, ბრძანა. დადეშქელიანი ეკლესიაში ყოფილიყო, წირვას ესწრებოდა. წირვიდან გამოსვლისთანავე ვეახლები გუბერნატორსო, მართლაც მოვიდა, მოვიდა მარტოდმარტო, თავადი გაგარინი ალერსიანად შეეგება და აცნობა, თვით ხელმწიფემ ინება პირადად გაგეცნოსო, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთ, წინდაწინ მომზადებულ ამალასაც გაახლებო, იქ დიდებული მასპინძლობა გელოდებაო. ციოყმა მიუგო, ასეთი ხანგრძლივი მგზავრობისათვის მზად არა ვარ, შინ უნდა დავბრუნდე, სამოსი და საცვლები მაინც წამოვიძღვანოო.

თავადმა გაგარინმა მიუგო, – განაგრძო მან, – ტანსაცმელსა და ყოველგვარ საგზალს აქვე გიბოძებთო. დადეშქელიანმა ახლა ის მოიმიზეზა, შინაურ საქმეებს უნდა მივხედო, გამოვეთხოვო ოჯახს, ჯალაბსა და მეგობრებსო. მაშინ გუბერნატორმა გადაჭრით უთხრა, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთ, ასეთია მთავარ ბარატინსკის ბრძანებაო.

სვანმა წყნარად მიუგო, არსად არ წავალო; თავადმა გაგარინმა მკვახედ გაუმეორა, მოვალე ხარ წახვიდეო; მოვალეო? წამოვარდა დადეშქელიანი, მყის იშიშვლა ხანჯალი და ფერდში დაჭრილი გუბერნატორი სისხლში ცურავდა იატაკზე; ხანჯალი კი ელავდა მარჯვნივ და მარცხნივ, რომ თვალს ვერ გაუსწორებდით ამ ელვარებას; ირგვლივ გვამები ცვიოდა; ეს ამბავი სწორედ ამ დარბაზში მოხდა, გუბერნატორი მაშინ აქ ცხოვრობდა; აქაურობა ოფიცრებით, მოხელეებითა და გუბერნატორის მცველებით იყო სავსე; მოულოდნელმა და შემზარავმა სურათმა ყველას თავზარი დასცა, კედლებს გაეკვრნენ და კუთხეებში მიიკუჭნენ; მოგეხსენებათ მთიელი (მასპინძელმა ხელით მოზომა ნაამბობის გმირის ახოვნება), – მრისხანებისას გაშმაგებული ვეფხვი, გასისხლიანებული ხანჯლით დაუბრკოლებლად გამოვიდა ქუჩაში, და ვაი მას, ვინც დროზე ვერ ჩამოეცალა გააფთრებულ სვანს; ერთი ებრაელი დედაბერი შეეფეთა, შემართა კიდეც ფარზე ხანჯალი, მერე უცებ დადეშქელიანმა ფეხით მოისროლა ქალი, ალბათ გაიფიქრა, ქალის სისხლით ხანჯლის შესვრა აუგიაო; მთელს ქუთაისს ელვასავით მოედო, სვანეთის მთავარმა გუბერნატორი მოკლაო; გამოედევნენ მკვლელს, რომელიც არხეინად დააბიჯებდა შუა ქუჩაში; ახოვანი, ბრგე, თმაწვერგაბურძგნული კაცი აბრიალებდა ჩასისხლიანებულ თვალებს, იქნევდა სისხლში შეღებილ ხანჯალს; ბრძანება გაიცა, ცოცხლად შეეპყროთ და თბილისში გადაეგზავნათ, მაგრამ მიახლოება ვერავინ გაბედა, მხოლოდ ქვები დაუშინეს; ყველა ესროდა, ოფიცერი თუ ჯარისკაცი, იმერელი თუ სომეხი, ქალი, კაცი, მოხუცი თუ ბავშვი; უცებ დადეშქელიანი გონს მოეგო, თითქოს შერცხვა და იუკადრისა, რომ ჩაქოლვით ემუქრებიან; შევარდა ერთ სახლში და ჩაიკეტა ოთახში; დაფეთებული ქალები ფანჯრებიდან კისრისტეხით გადაეშვნენ; რაღა გავაგრძელო, სახლს ალყა შემოარტყეს, ტყვია დაუშინეს, მარჯვენა ხელში დასჭრეს, ხანჯალი მარცხენაში ჩაბღუჯა; ერთმა ჯარისკაცმა გადაიწერა პირჯვარი, ოთახში შეიჭრა და ხიშტით გაუხვრიტა მარცხენა ხელი, დადეშქელიანი დანებდა; რუსებმა სამხედრო სასამართლოს გადასცეს და როგორც ხმა გავრცელდა დახვრიტეს; მოგვიანებით ბრძანება მოვიდა პეტროგრადიდან, ცოცხლად მოგვგვარეთო, ადგნენ და დადეშქელიანის მთელი ოჯახი გაამგზავრეს რუსეთში; დაუმტკიცეს თავადობა, რამდენიმე მილიონად იყიდეს მათგან სვანეთის ხრიოკი მთები და ვრცელი მამულები უბოძეს პოდოლსკის გუბერნიაში.

– ნუთუ მართლა შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო?

– ვისაც გინდა ჰკითხე, – განაწყენდა იმერელი, – სრული სიმართლე მოგახსენე, მართლაც სულ ოდნავ შეულამაზებია რუსეთთან სვანეთის შეერთების ამბავი.

– ღამე მშვიდობისა! – თქვა მან და წამოდგა, – სხვა თუ არაფერი, თავი მაინც შევიქციეთ.

პიტალო კლდეებზე გაყვანილი ბილიკი ხან მაღლა, სულ მაღლა მიიწევდა, ხანაც უფსრულისაკენ ეშვებოდა. ხშირად გვიხდებოდა წაბორძიკებული ცხენიდან ჩამოხტომა და სადავით თრევა. ვბარგანაობდით სიპ ქვებზე, ხანაც ერთმანეთზე მიყუდებული, ჩახერგილი ხეების ქვეშ ვძვრებოდით და როგორც იქნა უსიერი ტყიდან წყალწითელას კლდოვან ნაპირებს მივაღწიეთ. ციცაბო ქარაფზე წამოიმართა უმშვენიერესი მონასტერი მოწამეთა.

ეს მონასტერი მდებარეობს იმერეთში, ქუთაისის მახლობლად; თქმულების მიხედვით, აუგიათ იმ ალაგას, სადაც თავისთავად გაჩერებულა ურემი, რომლითაც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული ქართველი წმინდანების – დავითისა და კონსტანტინეს ცხედრებს მოასვენებდნენ თბილისიდან.

ციცაბო ნაპირის გასწვრივ, ცხენებთან ერთად, მივუყვებოდი კლდეში გამოკვეთილ საფეხურებს და ტაატით მივიწევდით ზემოთ, მონასტრის ჭიშკრისკენ. ჭიშკარი გაღებული დაგვხვდა. შემოკავებულ ეზოში იდგა ბანიანი ღარიბული ქოხი, ერთადერთი სარკმელით. ქოხიდან ისმოდა მლოცველის გაბმული, მონოტონური ხმა. ამ ნაგებობის შორიახლოს ლეღვის ახალნერგებზე გამოვაბით ცხენები და ფეხდაფეხ განვაგრძეთ გზა, უკაცრიელი დერეფნით გავედით მონასტრის შიდა ეზოში. აქ დგას მომცრო ტაძარი, აშენებული სხვა ქართული ეკლესიების ყაიდაზე, ჯვრის სახედ ერთნაირი მოკლე ფრთებით, ოთხი ერთნაირი ფრონტონით, შუაში დიდი გუმბათით. გუმბათის გარშემო ძალზე დამრეცი სახურავია. შიდა ეზოს გარშემო ლამაზად ეკვრის რამდენიმე ჩაშავებული ქოხი, რომლებიც მებადურთა საცხოვრებელ სახლებს წააგავს. დავდიოდით შიდა ეზოში, ხმამაღლა ვსაუბრობდით, მაგრამ არც ერთი სულიერი არ გამოგვეგება, ირგვლივ გამეფებულიყო ღვთაებრივი მყუდროება, თითქოს ამ მონასტერში მხოლოდ იმ წმინდანთა სულები სუფევდნენ, ვის სახელობაზედაც იგი იყო აგებული.

შიდა ეზო გადავჭერით და მეორე კარით მივადექით ხის საფეხურს, რომელიც მცენარეულობით დაფარულ ციცაბო დაღმართს მიუყვებოდა წყალწითელასკენ. დავათვალიერეთ მონასტერი და მისი შემოგარენი.

თუ რომელიმე თქვენგანს მობეზრდება ეს ქვეყანა ან ხელს დარევს მელანქოლია, დაეუფლება სოფლის ამაოებისაგან განდგომისა და საკუთარ მოგონებათა თუ ოცნებათა საუფლოში განმარტოების სურვილი, რომელიც ბერ-მონაზვნობის პირქუშ იდეაში გადაიზრდება, გირჩევდი: მიაშურეთ მოწამეთას, დასახლდი რომელიმე მის სენაკში და შენ იპოვი ყველაფერს, რასაც მიელტვი.

ციცაბო ნაპირის კლდოვან ქიმზე, რომელსაც ნახევარკუნძულივით უვლის წყალწითელა, ბუდეებივით მიყუჟულა ნაგებობათა მთელი წყება, ხოლო მათ შორის მშვიდი დიდებულებით აღმართულა წმინდა მონასტერი, რომლის უჩვეულოთ თვალწარმტაცი სტილი დიდხანს ატკბობს მოგზაურის თვალს. ეს მშვიდი სავანე შემოზღუდულია არა ცივი გალავნით, არამედ ბუჩქებისა და ხეების ცოცხალი სიმწვანით, რომლითაც დაფარულია გარშემორტყმული ქარაფები, სწორედ ეს ფარავს მონასტერს გარე სამყაროსგან. ეკვრიან რკალად და ამგვარად ამ უსიერი, მარადმწვანე ულამაზესი კედლით შემოზღუდულ გარემოში ბერის მზერა უნებლიეთ მიპყრობილია შინაგანი სამყაროსაკენ. მხოლოდ ერთგან, ჩრდილოეთით, ხეობა ოდნავ ფართოვდება. იქ თვალწინ იშლება მთის პეიზაჟის დიდებული სურათი, რომელიც მოგონებებს აღძრავს მონაზვნის გონებაში. ირგვლივ კი ტყეა, მშვენიერი მწვანე ტყე. უცებ ვერც მოისაზრებ, რომ აქაც ხარობს მუხა, ჩვენი ჩრდილოელი ძველი ნაცნობი. აქ ტყეს შეუძლია დაიკვეხნოს არა მარტო მუხითა და რცხილით, ცაცხვითა და წიფლით და ყოველივე იმით, რაც ამწვანებს ჩვენს ცივ მხარეს, აქ მათთან მეგობრობს დაფნა და ლეღვი, როდოდენზი და ჭადარი, ურთხელი და წაბლი, დეკა და გარგარი, და ყველაფერი ეს იზრდება მღელვარე, დიდებულ ხეებად. სივიწროვეში, ერთმანეთში გადახლართული და გადაზრდილი, ჩახვეული და გადაწნული. ყოველივე ამას გველივით შემოხვევია ველური ვაზი, რომელიც იხლართება ტოტიდან ტოტზე და გვირგვინადაც მიემართება მაღლა, კენწეროებისაკენ თავისი ბრტყელი, ბაცი მწვანე ფოთლების დეკორატიული გირლანდებით. ვაზს ეჯიბრება ფშლა, ეკალ-ღიჭი, სურო და სხვა ხვიარა მცენარეები და ამ განსხვავებული ფორმის, მწვანე ფერის ნაირ-ნაირი ტონების, გამჭირვალე თუ მკვრივი, მბრწყინავი თუ მქრქალი ფოთლების ქაოსში ყელყელაობს ათასობით ყვავილი, მათგან კი გამოირჩევა ცეცხლად აელვარებული ბროწეული.

ეკალბარდებით დაფარულ ციცაბო ბილიკზე ძლივს მივიკვლევდით გზას მდინარისაკენ. წყალწითელას ნაპირზე ჩამოვსხედით, ბუმბერაზი პანტის ძირას და მივაჩერდით გაღმა აღმართულ კლდეს, მაგრამ სად იყო კლდე, ერთი გოჯი შიშველი ქვაც არ დამინახავს. მთელი ეს დაყუდებული სალი კლდეები მოფარდაგებული იყო კავკასიური სუროთი, რომელიც მუქ-მწვანე ფოთოლთა ჩანჩქერად დაშვებულიყო ზემოდან. ამ ხალიჩის შუაგულში ძლივძლივობით გავარჩიე მღვიმის შესასვლელი, რომელიც მწვანე ღვართქაფიდან იდუმალი მზერით მოგვჩერებოდა თავის ქალის ფოსოსავით.

მონასტერში დაბრუნებისას ადამიანს წავაწყდით, იმერელი დედაბერი იყო, ალბათ ასი წლისა იქნებოდა. მაღალი კაფანდარა სხეული გამართულად ეჭირა, მატყლივით გათეთრებული და გაჩეჩილი თმები მხრებზე გადაეჰფენოდა. სახედამჭკნარი, გაფითრებული, თითქოს მიღმურის იქიდან გვიმზერდა გადმოკარკლული თვალებით. ეცვა ფართხუნა კაბა, განიერი საწმერთული, უფრო სწორად – რაღაც შავი ქსოვილის ჭუჭყიანი ძონძები, რაც მას – მაღალსა და ხმელს – აჩრდილის იერს აძლევდა. თავზე ედგა ქოთანი, ჩრდილივით მდუმარედ ჩაგვიარა და მდინარეს მიაშურა.

**თარგმანი ალ. კაკულიასი**

# დავით ქობალია: ვის გაეჩხირა ყელში „ანაკლია პორტი“ და რატომ ართულებს პროცესებს საქართველოს მთავრობა?!

*(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)*

მნიშვნელოვანია, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების შემთხვევაში, არიან თუ არა, ფინიშის სწორზე დარჩენილი კომპანიები მზად მშენებლობის დასაწყებად?

ვერაფერს ვიტყვი **“ხაზარაძე და კონტი ჯგუფის”** შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს, სატენდერო კომისიასთან პროექტის პრეზენტაციისას, კონსორციუმ **”ანაკლია პორტი და ეკო პარკში”** შემავალი ჩინური კომპანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ – **“პროექტის საბოლოო სახით დასრულებაზე და მის დაფინანსებაზე სრულ მზადყოფნას გამოთქვამს. შესაცვლელია ხელშეკრულების რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც შორს არის საერთაშორისო საინვესტიციო ნორმებისგან და მას არცერთი ბანკი არ მიიღებს, როგორც დაფინანსების საფუძველს. ასევე, საქმეს წინასაპროექტო გეოლოგიური და სანაპირო პროცესების დინამიკის კვლევების უქონლობაც აფერხებს, რომელიც ტენდერის გამოცხადებამდე უნდა შესრულებულიყო და ტენდერის გამომცხადებელი მხარის ვალდებულებას წარმოადგენს... უმნიშვნელოვანესია “ანაკლია პორტის” ინფრასტრუქტურული ნაწილის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტიები, რაც ასევე “ტენდერის გამომცხადებელი” მხარის ვალდებულებას წარმოადგენს”!**

– აქვე უნდა განვმარტო – “ინფრასტრუქტურა” მარტო ლამაზი გაზონებისა და სკვერების მოწყობას არ ნიშნავს, არამედ მსოფლიო სტანდარტებით აშენებული მრავალლიანდაგიანი რკინიგზისა და ავტობანის მიერთებას გულისხმობს ყველა მასთან დაკავშირებული კომუნიკაციებით.

ბუნებრივია. ინვესტორი ამ ნაწილის შესრულების გარანტიას ითხოვს, რაც სატენდერო ხელშეკრულებაში ბუნდოვნადაა წარმოდგენილი!

იმედს გამოვთქვამ, მკითხველი ვრცელი განმარტების გარეშე მიხვდება, თუ რა მნიშვნელოვან საკითხზეა საუბარი და ასევე, რა თანხები იქნება საჭირო, მისი ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

არის თუ არა მზად საქართველოს მთავრობა ამ ნაწილის დაფინანსებისთვის, ეს კიდევ სხვა თემაა!

# ეგვიპტის პირამიდაში დროის მანქანა აღმოაჩინეს

მეცნიერები თვლიან, რომ ეგვიპტის ერთ-ერთ პირამიდაში უცნაური ლაბირინთი არსებობს. ეს ლაბირინთი ძველმა ცივილიზაციებმა დაგვიტოვეს და მისი ფუნქცია დროში მოგზაურობაა. საუბარია არა კონსტრუქციაზე, არამედ ენერგეტიკულ პორტალზე, ხვრელზე პარალელურ სამყაროებს შორის, რომლის არსებობასაც ეჭვობენ მსოფლიოს დიდი მეცნიერები.

2016 წლის ნოემბერში ეგვიპტეში გლობალური სამეცნიერო პროექტი ამოქმედდება. სათანადო დარგის ექსპერტები იაპონიიდან, ამერიკიდან და ევროპის ქვეყნებიდან პირამიდების დაწვრილებით სკანირებას მოახდენენ. კვლევა გამოააშკარავებს პირამიდის ქვეშ დამალულ სივრცეს და გაარკვევს, რამდენად ღრმადაა განთავსებული საიდუმლო ოთახები.

ეგვიპტეში სენსაციური აღმოჩენა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში საბჭოთა მეცნიერმა ნიკოლაი კოზირევმა გააკეთა. აღმოჩნდა, რომ წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად არსებობს. პარალელურ სამყაროებთან საზღვრები შეიძლება გადაილახოს. დღეისათვის ამ ჰიპოთეზას მრავალი სერიოზული მტკიცებულება გააჩნია.

ეგვიპტეში კარნაკის გამოქვაბულის კომპლექსის გათხრებისას უცნაური კარი აღმოაჩინეს, რომელიც დაახლოებით 3.500 წლით თარიღდება. კარზე არსებული აქამდე უცნობი წარწერების გაშიფვრის შედეგად დადგინდა, რომ კარი სხვა განზომილებაში გადასასვლელად გამოიყენებოდა.

სავარაუდოდ, ბოლივიის ტერიტორიაზე განლაგებულია მზის კარიბჭე. თავად ინდიელები მას პარალელური სამყაროს კარიბჭედ მოიხსენიებენ. ვინ ააგო ეს კარიბჭე, მეცნიერებმა დღემდე არ იციან. კიდევ ერთი მსოფლიო ამოცანა პერუში მდებარე ღმერთების კარიბჭეა – კლდეში გამოკვეთილი გიგანტური კარი. ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, ამ კარიდან ადამიანები საიქიოში მიემგზავრებოდნენ.



# როგორ „იცავენ“ სამართლის მცოდნენი სიმართლეს, ანუ ადვოკატ კახაბერ ქარდავას საძმოს საქმენი „საგმირონი“

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

მოსამართლემ დარბაზში, რომ დაინახა უცხო კაცი, მკითხა: – ვინ არის ეს კაცი, აქ რა უნდაო. – მოწმეა-მეთქი, – ვუპასუხე. – რა უნდა დაამოწმოსო. – უნდა დაამოწმოს ის, რომ 2014 წლის 15 მაისამდე აღნიშნული მისამართზე არ მიცხოვრია და 2014 წლის იანვარ-აპრილში მოხმარებული ელენერგიის დავალიანებასთან არანაირი კავშირი არ მქონია-მეთქი. – საჭირო არ არისო,– მითხრა. ვიფიქრე: – ალბათ, წარდგენილი საბუთებით ხელმძღვანელობს და დარწმუნებულია, რომ აღნიშნულ პერიოდში მოხმარებული ელენერგიის დავალიანებასთან არანაირი კავშირი არა მაქვს-მეთქი. რა ვითარებაში მოვაწერე ხელი განცხადებას არ უკითხავს და არც მე მომცა საშუალება ამაზე მომეხსენებინა. არ უკითხავს: – რატომ მოაწერე ხელი მექანიკურად, რატომ არ წაიკითხეო, რომ მეპასუხა: – საკითხავი სათვალე არ მქონდა და იმიტომ-მეთქი. მაგრამ რაღაც სხვა მკითხა, ისეთი, რომელიც გაუგებარი იყო ჩემთვის.

სასამართლოსთვის 25 წუთი მქონდა ნათხოვი, რომ დეტალურად ამეხსნა როგორ მოვაწერე ხელი განცხადებას და როგორ იყვნენ დაინტერესებული ნარმანიები სამჯერ გაზრდილი თანხის, ფაქტიურად მომხმარებელ და არამომხმარებლებს შორის, თანაბრად გადანაწილებით. 2014 წლის იანვრიდან შესახლებული ოჯახებიდან ვიცი, რომ ნარმანიებიც არ იყვნენ 2014 წლის მაისამდე შესახლებული თავიანთ ბინაში და მათი აქტიურობა ააშკარავებდა, რომ მეზობლების გადაგდების გეგმის მოწყობაში და ანგარებაში ისინი თანამონაწილენი იყვნენ ქარდავასი. 2014 წლის მაისამდე კორპუსში მცხოვრებნი ადასტურებდნენ, რომ აპრილის ბოლოს ქარდავამ გამოგვიცხადა: – კორპუსს იანვარ-აპრილის ვალი 3.000 ლარი აქვს გადასახდელიო, ხოლო 8.655,21 ლარამდე თანხის გაზრდა **„თელასმა“** ქარდავასთან შეთანხმებით დაგეგმაო. ასეთ ინფორმაციაზე ხელმოწერებს ვაგროვებდი და ნავროზაშვილის ბინაში შევედი, რომ ხელი მოეწერა რამდენჯერმე მისგან თქმულ ინფორმაციაზე. როგორც კი მოისმინეს ჩემგან წაკითხული ტექსტი ზურაბ ნავროზაშვილმა და ნუკრი ცატავამ, უსიტყვოდ მოაწერეს ხელი. არ ვიცი როგორ იყნოსა, მაგრამ სკამიდან წამომდგარი არ ვიყავი, როცა ნავროზაშვილის ბინაში დაკაკუნების გარეშე შემოიჭრა ზაურ ნარმანია და იკითხა: რაშია საქმეო. მე წავუკითხე ტექსტი, მაგრამ მან ბოლომდე არც კი მოისმინა, სამზარეულოში შევიდა და ნავროზაშვილის მეუღლეს რაღაც ელაპარაკა. გამოვიდა ნავროზაშვილის მეუღლე და ქმარს მიმართა: ჩვენ უკვე გადახდილი გვაქვს მთლიანად იანვარ-აპრილის ვალი და შენი ხელმოწერა წაშალეო. ისიც ცოლს როგორ აწყენინებდა და რაღაც მარკერით შეეცადა წაეშალა თავისი და ცატავას ხელმოწერა, მაგრამ კვალი მაინც დარჩა.

ყველაფერი ეს იმისთვის მინდოდა, რომ სასამართლოში დამემტკიცებინა, აქ ხსენებულ პირთა თანდასწრებით, როგორ იყვნენ ნარმანიები დაინტერსებული აფერისტ ქარდავას დაცვით. და ეს ანგარების გარეშე მოხდებოდა?

ვუბრუნდები სასამართლოს სხდომის მიმდინარეობას.

15 წუთს გაძლევ სალაპარაკოდო,– მეუბნება მოსამართლე. – მე ნათხოვი მაქვს 25 წუთი-მეთქი. – კონკრეტულად ილაპარაკე, 15 წუთი საკმარისიაო (80 წლის კაცს სასამართლოში უნდა მესწავლა ლაპარაკი). მაგრამ 15 წუთი კი არა სამი წუთი არ მალაპარაკა თავისუფლად. ისევ, რაღაც გაუგებარ და ისეთ უადგილო კითხვებს მისვამდა, თითქოს **„თელასი“** და მისი მოკავშირენი კი არა, მე ვყოფილიყავ დამნაშავე და კრიმინალი. შემდეგ სხვა სხდომაზე მაგვიანდებაო და გამავალმა გამოგვიცხადა: 6 ნოემბერს გაიგებთ გადაწყვეტილებასო.

6 ნოემბერს მოპასუხე მხარე არ გამოცხადებულა. მოსამართლე გვარამიამ გამოაცხადა: შენი სარჩელი არ დაკმაყოფილდა; წერილობით გადაწყვეტილებას 6 დეკემბერს მიიღებო, რომლის შემდეგ 14 დღის განმავლობაში უფლება გაქვს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროო.

თუ მოსამართლე გვარამია უპასუხისმგებლო, **„ზუბრიაკი“**, ან 30 ვერცხლზე სულგაყიდული მექრთამე, კრიმინალი და ნაძირალა არ არის, მოპასუხე მხარეს რატომ არ განუმარტა და არ დაუსვა კითხვა, როცა არსებობს და სამოქალაქო სამართლის კოდექსში აღწერილია მოტყუებით, იძულებით და შეცდომით დადებული გარიგებანი: **„მართალია, მოსარჩელე ხელშეკრულებაში „მოხმარებული ელენერგიის ვალდებულება გამაჩნიაო“** – აღიარებს, მაგრამ პარალელურ მტკიცებულებებსაც წარმოადგენს, რომლებიც ამ ვალდებულებას უარყოფენ. ეს მტკიცებულებებია: სამი პიროვნების ნოტარიუსით დამოწმებული განცხადება, რომ 15 მაისამდე მოსარჩელეს იქ არ უცხოვრია; 2014 წლის მაის-ოქტომბერში მოხმარებული ელენერგიის საფასურის – 7 ლარისა და 30 თეთრის გადახდის ქვითრები, დამადასტურებელი იმისა, რომ ამ პერიოდში მოსარჩელე მხოლოდ მარტოკაცი ათევდა ღამეებს ახალ ბინაში; როცა მიხვდება, რომ მოატყუეს, წყვეტს აფერისტულად შეწერილ თანხის გადახდას და 7 თვის განმავლობაში შუქი გამორთული აქვს, მანამდე კი ოქტომბრის თვეში ოთხჯერ მიმართავს **„თელასის“** კომერციულ დირექტორს და თხოვს მისი ხელმოწერის ბათილად ცნობას; ყველაფერი ესენი უარყოფენ ზემოაღნიშნული აღიარების ნამდვილობას და თქვენ რა გაქვთ პარალელური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ მოსარჩელეს ზემოაღნიშნული აღიარება სინამდვილეა“?

საინტერესოა, ასეთ აღვირახსნილ და განუკითხაობის ატმოსფეროში, როგორც დღევანდელ საქართველოშია გამეფებული, სიცოცხლემობეზრებულმა 80 წლის კაცმა, რომელსაც სმენა დაქვეითებული მაქვს და მხედველობა მხოლოდ 20-25% შერჩენილი, რომ **„ვაღიარო“**: მკვლელობები, რაც უკანასკნელ პერიოდში მოხდა საქართველოში, ყველა მე ჩავიდინე-მეთქი, მოსამართლე ამ საზარელი მკვლელობების დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებათა მოძიებას შეეცდებოდა, თუ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მომისჯიდა დახვრეტას? თუ არა, მაშინ რატომ არ მოსთხოვა **„თელასის“** წარმომადგენელს დამატებითი მტკიცებულება? ან რატომ არ მომცა მე უფლება მოპასუხე მხარისათვის დამესვა კითხვები, რომლებსაც ქვემოთ წარმოვადგენთ?

საინტერესოა მოსამართლის მოტივაცია: მნიშვნელობა არა აქვსო, როდის მოიხმარა მოსარჩელემ 184,15 ლარის ელენერგია, მთავარია, აღიარებსო ვალდებულებას. ნუთუ მნიშვნელობა არა აქვს, საერთოდ, მოვიხმარე თუ არა ეს სადავო ელენერგია და არავითარი მტკიცებულება არაა საჭირო, როდის მოვიხმარე ეს ელენერგია? თუ არ იცი როდის მოვიხმარე, რითი მიმტკიცებ, რომ მოვიხმარე? ხოლო მოსამართლე – ლევან გვარამიასა და **„თელასისათვის“**, ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს ვინ მოიხმარა და ვინ არა ელენერგია, მთავარია ხელმოწერა. ამაზე ქვემოთ.

**„თელასიდან“** მოვიპოვე დამატებითი მტკიცებულებები, რომ 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში არ ვცხოვრობდი აღნიშნული მისამართით. ეს მტკიცებულებებია: 1 5.05.2014 წ. დათარიღებული ამონაწერი ს/ჯ №2339, რომელშიც მითითებულია ყველა იმ აბონენტთა გვარი და სახელი, რომლებიც ცხოვრობდნენ და სინამდვილეშიც მოიხმარდნენ ელენერგიას სადავო პერიოდში, ხოლო **„უცნობად“** არის მოხსენიებული ყველა ისინი და, მათ შორის, მეც, ვინც მხოლოდ 2014 წლის მაისიდან შესახლდა კორპუსში; 2. ნუკრი ცატავას 18.08.2014 წლის განცხადება **„თელასის“** კომერციული დირექტორის სახელზე, რომლის მიხედვით უნდა გადაენაწილებინათ 8655,21 ლარი 47 აბონენტზე, სადაც, ჯერ კიდევ, უცნობადაა მოხსენიებული ბევრი აბონენტი და, მათ შორის, მეც; ამას გარდა, ავიღე ამონაწერი ბანკიდან, რომელშიც დადასტურებულია, რომ 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის მაისის ჩათვლით ჩემი ოჯახი ელენერგიას მოიხმარდა ბაგების სტუდქალაქში №4690221 აბონენტის სახელით და, სინამდვილეში, არანაირი კავშირი არა მაქვს 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში გარდაბნის გზ. №6-ში მდებარე, ყოფილ 78-ე საჯარო სკოლის შენობაში მოხმარებული ელენერგიის ვალდებულებასთან; და კიდევ, ხელოვნურად გაზრდილი დავალიანების თანაბრად გადანაწილების შესახებ მობინადრეთა ხელმოწერის იძულების მიზეზი, რომელსაც ხელს აწერს 11 მობინადრე. ყველაფერი ესენი დავურთე სააპელაციო საჩივარს და 2015 წლის 21 დეკემბერს შევიტანე სააპელაციო სასამართლოში.

მიმდინარე წლის 11 იანვარს მივიღე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (მოსამართლე: ხათუნა არეშიძე) საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. მოტივაცია ის გახლავთ, რომ სააპელაციო სასამართლო რომ შედგეს, სადავო თანხა 1000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოსო. თქვენ უფლება გაქვთ ჩვენი გადაწყვეტილება უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროთო. მაგრამ რა გარანტია მქონდა, რის განხილვასაც სააპელაციო სასამართლო საჭიროდ არ თვლის, იმას უმაღლესი სასამართლო განიხილავდა? ან კიდევ, რითი იქნება ის უმაღლესი სასამართლო იმაზე უკეთესი, ვისაც გვარამიასთანა მოსამართლეები ჰყავს?

ახლა მინდა თქვენთან ერთად გავაანალიზო: შეიძლებოდა თუ არა, 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში კორპუსში დახარჯულიყო 8655,21 ლარის ელენერგია? კ. ქარდავას გადმოცემით 2014 წლის აპრილის თვისთვის კორპუსში ჩასახლებულიყო 16 ოჯახი. იანვარში შესახლდა 5 ოჯახი, თებერვალში – 3, მარტში – 4 და აპრილში კიდევ 4. ე.ი. 4 თვის განმავლობაში, საშუალოდ 10 ოჯახი მოიხმარდა ელენერგიას. ყველას ინდივიდუალური მრიცხველები ეყენა, მაგრამ 4 თვის განმავლობაში არავისთვის მოუთხოვიათ მოხმარებული ელენერგიის საფასურის გადახდა. ამის შემდეგ როცა უკვე შესახლებულიყო, ერთის გარდა, ყველა ოჯახი, **„თელასი“** თხოულობს 8655,21 ლარის გადახდას. ე.ი. ოთხი თვის განმავლობაში თითო ოჯახს საშუალოდ მოუხმარია 1081,9 ლარის ელენერგია, თვეში – 1081,9:4=270,5 ლარის ელენერგია. 10 ოჯახი ასეთ შემთხვევაში მოიხმარდა 270,5X10= 2705 ლარის ელენერგიას. ეს კი არის 2705:0,13=20807 კვტ/ თვეში ანუ 20807:30=693,6 კვტ/დღეში. ერთი ოჯახი კი მოიხმარდა 693,6:10 =უდრის 69,4 კვტ/დღეში, 69,4:24 = 2,9 კვტ/საათში. ბუნებრივია, ერთოთახიან და სამოთახიან ბინაში ერთნაირად ვერ მოიხმარდნენ ელენერგიას, შიდა გაყვანილობის გამტარები კი ერთოთახიანშიც და სამოთახიანშიც ერთნაირი კვეთისაა. თუ ერთი ოჯახი საათში საშუალოდ 2,9 კვტ ენერგიას მოიხმარდა, სამოთახიანი ბინის მფლობელს უნდა მოეხმარა საათში 5,0 კვტ. ასეთ დატვირთვას იქ არსებული ელგამტარები კი არა 3-ჯერ მეტი კვეთის გამტარები ვერ აიტანდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად მოხმარებული ელენერგია და მისი საფასური გაზრდილია არანაკლებ სამჯერ. ელენერგიის ფაქტიური მომხმარებლები რომ არ აჯანყებულიყვნენ, ამისთვის მოიგონეს ამ თანხის ფაქტიურ მომხმარებლებზე და არამომხმარებლებზე თანაბრად გადანაწილება.

აღსანიშნავია, რომ ორმა ჭკვიანმა ბინადარმა წურწუმიამ და ციკოლიამ არ მოაწერა ხელი განცხადებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის პირველივე იანვრიდან იყვნენ შესახლებული კორპუსში და მშვენივრად მოიხმარდნენ ელენერგიას, მათთვის შუქი არ გამოურთავთ. ე.ი. **„თელასისათვის“** და გვარამიასთვის მთავარია ხელისმოწერა და ვალდებულების აღება და არა სინამდვილეში ვინ მოიხმარა ელენერგია.

თუ მოსამართლე გვარამია **„თელასთან“** ერთად ბოროტებაში წილნაყარი არ არის და **„მელა მოსამართლის“** პრინციპებით არ ხელმძღვანელობს, რატომ არ გაუჩნდა კითხვები:

რატომ არ თხოულობდა **„თელასი“** პირველი ოთხი თვის განმავლობაში ფაქტიური მომხმარებლებისგან მოხმარებული ელენერგიის საფასურს? თუ მრიცხველები გაუმართავი იყო და ელენერგიის დანახარჯი სწორად არ აღირიცხებოდა, რატომ არ გამოცვალა, ან რატომ არ გაარემონტა პირველივე თვის ბოლოს? ასეთი არ არსებობს და აშკარა ტყუილია, მაგრამ სადმე რომ არსებულიყო საერთო მრიცხველი, რომელიც ზუსტად აღრიცხავდა კორპუსში ელენერგიის დანახარჯს, რატომ არ ანახა **„თელასმა“** ვინმეს, ე.წ. **„საერთო მრიცხველის“** საწყისი და ბოლო ჩვენებები, თუ პირველ თვეში არა, მე-2, მე-3 და მე-4 თვეში მაინც? თუ მრიცხველის გაუმართაობის მოტივით ფაქტიური დანახარჯის საფასურის ხელოვნურად გაზრდა არ ჰქონდათ წინასწარ დაგეგმილი, რატომ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები 2014 წლის იანვრის თვეშივე? რა, დაგროვილ თანხას უფრო იოლად გადაიხდიდნენ თუ რა?

როცა **„თელასმა“** ბრწყინვალედ იცოდა 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში ვინ ცხოვრობდა კორპუსში და მოიხმარდა ელენერგიას (მტკიცებულებები: **„თელასიდან“** მოწოდებული 5.05.2014 წ. დათარიღებული ამონაწერი ს/ჯ №2339 და ქსეროასლი 18.03.2014 წ. დათარიღებული ნუკრი ცატავას განცხადებისა დანართით), რატომ არიან ვალდებულები, სხვათა მიერ მოხმარებული ელენერგიის საფასურის გადახდაში, ისინი, ვისაც 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში კორპუსში არ უცხოვრია და არ მოუხმარია ელენერგია და, მათ შორის, მე რატომ გამაჩნია სხვათა მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანება და რატომ არ შეიძლებოდა გამოძალვის მიზნით თავს მოხვეული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ჩემზე შეწერილი 184 ლარის ფაქტიურ მომხმარებლებზე გადანაწილება ჩემი განცხადების საფუძველზე, როცა შესაძლებელი ყოფილა ნუკრი ცატავას განცხადების საფუძველზე 8655,21 ლარის 47 აბონენტზე გადანაწილება, წურწუმიას (მცხ. ბ. №14) და ციკოლიას (მცხ. ბ. №17) მიერ განცხადების ხელმოწერაზე უარის თქმის შემდეგ?

ამ ორ პიროვნებას ეყოთ ჭკუა და პრინციპულობა და, მიუხედავად იმისა, ისინი 2014 წლის იანვრიდან მოიხმარდნენ ელენერგიას, ხელი არ მოაწერეს გამოძალვის მიზნით შედგენილ განცხადებას, მაგრამ მათთვის შუქი არ გამოურთავთ.

არავის, რომ არ მოეწერა ხელი აღნიშნულ განცხადებაზე, რა უფლებით გამოურთავდა **„თელასი“** მთელ კორპუსს ელენერგიას, თუნდაც, რომელიმე უყაირათოდ და ულმობლად მხარჯველ აბონენტს, როცა ელმრიცხველები **„ზუსტად არ აღრიცხავდა“** ელენერგიის დანახარჯს და ამაზე **„თელასს“** ოთხი თვის განმავლობაში არავითარი ზომები არ მიუღია? ვისი ბრალი იყო თუ მრიცხველები არ ვარგოდა, აბონენტების, თუ **„თელასის“**? ამიტომ რომელიმე აბონენტისათვის და, მით უმეტეს, მთელი კორპუსისათვის ელექტროენერგიის გამორთვას ჭკუათმყოფელი ვერ იკისრებდა და ვერც მოახერხეს მსგავსი გეგმის განხორციელება ბაგების სტუდქალაქში და ყვარლის ქუჩაზე. იქ სინამდვილეში დახარჯული ელენერგიის საფასურიც ჩამოწერეს.

მთელ საქართველოში ყველაზე კორუფციულ უწყებად ცნობილი **„თელასი“** რით დაუმტკიცებს იმ გაწამებულ ხალხს და ჭეშმარიტად სამართალდამცავ სასამართლოს (რომ არსებობდეს), რომ 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში კორპუსში ფაქტიურად მოხმარებული ელენერგიის საფასური, არანაკლებ, სამჯერ არა აქვს გაზრდილი? რა, სინდისი დაუშლიდა, თუ მორალური პასუხისმგებლობა, როცა ოთხი თვე ელენერგიის საფასურს არ თხოულობდა აბონენტებისგან, მერე, კვალის დაფარვის მიზნით, მრიცხველებს ცვლის და კარგა ხნის გავლისა და მობინადრეთა დამუშავება-დაშანტაჟების შემდეგ ითხოვს დაგროვილი თანხის გადახდას?

როცა ხელმოწერილი განცხადება ჩააბარეს **„თელასს“**, რამდენიმე დღის შემდეგ სახეგაბადრული ზაურ ნარმანია მეუბნება (ალბათ, ძალზე ბრიყვი და გულუბრყვილო ვგონივარ): **„რა ვიცოდით, თორემ არავის რომ არ მოგვეწერა ხელი და შუქი დროებით, რომ გამოერთოთ, ის ყოფილაო უკეთესი“.** ასეთი რამ გაიძვერა ქარდავას თანამოქმედების გარეშე შეიძლებოდა? განა იურისტმა და მოქმედმა ადვოკატმა (ასე თქვა თვითონ, ცოლმაც დაადასტურა: კერძო ადვოკატიაო) – კახაბერ ქარდავამ არ იცოდა, რომ თუ აბონენტები ხელს არ მოაწერდნენ ასეთ განცხადებას, ვერავის ვერ გამოურთავდნენ ელენერგიას? მაგრამ ეს იყო წინასწარ შემუშავებული (ჯგუფის მიერ) გამოძალვის გეგმა და 184,15X31= 5708,65 ლარი შეაწერეს საქმეში გაურკვეველ, სოციალურად დაუცველ, განაწამებ ხალხს. რომ არა ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობა და სასამართლო ორგანოების ბოროტებასთან წილნაყარობა, რით დაუმტკიცებდა **„თელასი“** და მისი მოკავშირე ქარდავა მობინადრეებს და ჭეშმარიტ სასამართლოს (რომ არსებობდეს), რომ ეს თანხა ამ ორმა, თუ სამმა მოკავშირემ არ გაინაწილა?

საკმაოდ კარგად შევისწავლე კახაბერ ქარდავას წარსული. ბაბუამისს – არეთა ქარდავას საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონია. მაგრამ უფრო ხშირად კრიმინალები მდიდარი ოჯახებიდან გამოდიან. მამამისი ცნობილი ქურდი და ნარკომანი ყოფილა. აფხაზეთის ომამდე რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილა. ამბობენ: ალბათ, ზედმეტი ნარკოტიკის მიღებამ იმსხვერპლაო. კახაბერი კი მეზობლებში ამბობს: მამა აფხაზეთის ომში დამეღუპაო. ძალზე ხელმრუდე და მოუთვინიერებელი ბავშვი ყოფილა კახაბერი. ნათესავების რჩევით, 15 წლის ბიჭი, არ დამეღუპოსო და დედამისს თბილისში, ბავშვთა სახლში ჩაუბარებია აღსაზრდელად.

ამიტომ, თურმე, ნათესავები და მშობელი დედა დასანახად არ უნდა. ნიჭიერი ყოფილა, იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია, მაგრამ ქურდული მენტალიტეტი მაინც შემორჩა მის შინაგან სამყაროს. ცნობილია, რომ საზოგადოებაში ქურდებისა ეშინიათ და მას შემდეგ, რაც კახაბერი სუნთქვაშეკრული გამოვიდა ჩემი ბინიდან, რომ დავეშინებინე, შემდეგ შეხვედრაზე, როგორც ქურდებს ჩვევიათ-ხოლმე, უკვე, **„სიმონ“**-ობით მომმართავდა. ახლა მე გამარჯობას არ მეუბნება და მემდურის მას შემდეგ, რაც სამი თითის კომბინაცია ვუჩვენე და განცხადებაზე ხელმოწერის შემდეგ მითხრა: შენ ჩემი მეზობელი არა ხარო; სამი თითის კომბინაცია შენიანებს უჩვენეო.

*(გაგრძელება მე-11 გვერდზე)*

# ირანი-საუდის არაბეთი, დაპირისპირება რომელიც რეგიონისთვის კატასტროფის ტოლფასია



ის რაც საუდის არაბეთში რამდენიმე დღის წინ მოხდა, (კერძოდ, საუდის არაბეთის ხელისუფლების მიერ ცნობილი შიიტი მოღვაწის ნიმრა ალ-ნიმრას ასევე, 46 ადამიანის სიკვდილით დასჯას შეეხება), და ის რეაქციები, რომელიც ამ ვანდალურ აქტს აუცილებლად მოყვება, შეიძლება საბოლოოდ გადააქციოს მთელი ახლო აღმოსავლეთი ერთიან საბრძოლო პოლიგონად, სადაც რეგიონის აბსოლუტურად ყველა ქვეყანა იქნება ჩათრეული.

ყველაზე საინტერესო და ამავდროულად საგანგაშო ის არის რომ მომხდარ ფაქტს აშკარად წინასწარ დაგეგმილი ელფერი ამჩნევია. ის რომ ამ ფაქტზე ირანის ისლამური რესპუბლიკის, რომელიც ითვლება შიიტური სამყაროს ლიდერად, იქნებოდა მწვავე და კატეგორიული, ამას დიდი გამოცნობა არ ჭირდებოდა. ხოლო ამ რეაქციაზე თანმდევი – **"ისლამისტურ სამხედრო კოალიცია"**-ში შემავალი ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის კასკადი (დიპლომატიური ურთიერთობები უკვე გაწყვიტა საუდის არაბეთმა, ემირატებმა, ყატარმა სუდანმა და კუვეიტმა) აშკარად კარგად მოფიქრებულ, წინასწარშეთანხმებული მანევრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისი არსით ომი **„შიიტებსა"** და **"სუნიტებს"** შორის უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს – ძირითადად სირიის, იემენის, და ერაყის ტერიტორიაზე. მაგრამ ეხლა გაჩნდა იმის დიდი ალბათობა, რომ საქმეში ჩაერთვებიან ამ დიდი დაპირისპირების ძირითადი მონაწილეები ირანი და საუდის არაბეთი, რომლებიც აქამდე მხოლოდ კულუარულად მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, მე მინდა შევაფასო ამ ორი ახალი (ძველი) მოთამაშის სამხედრო შესაძლებლობები, შეიარაღება და გავაანალიზოთ შესაძლო შედეგები რაც მათ შორის ომს მოყვება.

## საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალები ძირითადად ულტრათანამედროვე სამხედრო ტექნიკით არის შეიარაღებული. მისი სამხედრო ბიუჯეტი კოლოსალურია, ქვეყნის მაშტაბებთან შედარებით. ის რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბიუჯეტს უახლოვდება და დაახლოებით 60 მილიარდ დოლარს შეადგენს. საერთო ჯამში მისი შეიარაღებული ძალები 233 ათას სამხედრო მოსამსახურეს მოიცავს. სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში 450-მდე ამერიკული ტანკი **1A2 Abrams**-ია, დაახლოებით 400 მჩატე ტანკი **M2 Bradley**, 2000 ერთეული ჯავშანმანქანა, უამრავი რაოდენობით რეაქტიულ-სასროლი დანადგარი, მათ შორის 50 ამერიკული ზალპური ცეცხლის დანადგარი, ასევე საუდის არაბეთის საჰაერო ძალებს აქვთ ჩინური წარმოების 60 ბალისტიკური რაკეტა **"დუნფენ-3"** რომლებიც არ გამოირჩევიან დიდი სიზუსტით, მაგრამ 2500 კმ-ის მანძილზე შეუძლიათ ნებისმიერი საომარი მასალის გადატანა. ასევე არსებობს ინფორმაცია რომ შეძენილია რამდენიმე ათეული, უფრო თანამედროვე მოდიფიკაციის **"dunfen-21"**-ის მოდელი.

რაც შეეხება სამხედრო-საჰაერო ძალებს, მათ განკარგულებაში არის 152 ამერიკული **F**-15 სხვადასხვა მოდიფიკაციის, 80 ევროპული **Tornado** და 32 ასევე ევროპული **urofighter Typhoon** მოდიფიკაციის თვითფრინავები.

საჰაერო თავდაცვა შეადგენს 16 ბატალიონ საზენიტო-სარაკეტო კომპლექს **"PatriotPAC-2"**-ს, მრავალრიცხოვან საზენიტო კომპლექსებს **"Hawki Crotale"** და ასეულობით გადასაადგილებელი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს **"Stinger"**-ს.

სამხედრო-საზღვაო ძალები გაყოფილი არიან ორ ნაწილად: დასავლეთით – წითელ ზღვაში და აღმოსავლეთით – სპარსეთის ყურეში ფლოტებად. სპარსეთის ყურეში განლაგებულია **IRiyadh** კლასის 3 ფრეგატი, 72 კმ სიშორის მქონე გემსაწინააღმდეგო რაკეტებით. წითელი ზღვის ფლოტი შედგება **Al Madinah** -ის კლასის 4 ფრეგატით რომელზეზეც არსებულ სარაკეტო კომპლექსს 180 კილომეტრის მანძილზე მოქმედების შესაძლებლობა აქვს. ასევე, იქ მდებარეობს **Badr** -ის კლასის 4 ამერიკული კორვეტი. რაც შეეხება სადესანტო გემებს, მათი რაოდენობა 8-ს შეადგენს და თანაბრად არიან განაწილებული ორივე ფლოტზე.

როგორც ვხედავთ, საუდის არაბეთის საჰაერო ძალები უმაღლესი კლასის ტექნიკით არის აღჭურვილი, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც იემენში აჯანყებული ხუსიდების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებმა დაგვანახა. ეს საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალების დაბალეფექტურობაა და დაბალი ბრძოლისუნარიანობაა, რომლებიც მოძველებული იარაღით მეომარ აჯანყებულებს ეიმენში უკვე 10 თვეა ვერ უმკლავდებიან.

## ირანი

ირანის შეიარაღებული ძალები თავისი რაოდენობით უდიდესია რეგიონში და მის შემადგენლობაში 550 ათასი სამხედრო მოსამსახურეა. მისი სამხედრო ბიუჯეტი ცოტათი თუ ცდება 10 მილიარდ დოლარს, რაც ამ რაოდენობის არმიისთვის ძალიან ცოტაა. შეიარაღებაში აქვს 1600 ტანკი. რომელთა შორისაც 480 ერთეული შედარებით თანამედროვე **T**-72 და 150 ერთეული საკუთარი წარმოების **Zulfiqar**. ასევე მრავლად აქვს საბჭოთა წარმოების დაჯავშნული მანქანების და საარტილერიო დანადგარები.

საჰაერო ძალები სხვადასხვა კლასის თვითფრინავებისგან შედგება. მათ შორისაა **F**-14, ძველი მოდიფიკაციის გამანადგურებელი **F**-4 **Phantom и F**-5**Tiger**, ფრანგული **Mirage**-1. საბჭოთა წარმოების თვითფრინავებიდან ყავს გამანადგურებელი МиГ-29, ასევე Су-24 და Су-25. საერთო ჯამში – დაახლოებით 300 ერთეული.

რაც შეეხება ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს, აქ მიმდინარეობს დიდი ცვლილებები. რამდენიმე წლის წინ ირანმა რუსეთისგან შეიძინა ახლო მანძილზე სამოქმედო საზენიტო სარაკეტო კომპლექსი Тор-М1, ასევე ამთავრებს შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების Тор-С-300ПМУ-2.М1 დაკომპლექტებას და ელოდება С300 კომპლექსის რამდენიმე ბატალიონის მიღებას. ირანს გააჩნია, ასევე, ასეულობით საკუთარი წარმოების ბალისტიკური რაკეტებიც. აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიაში ირანი საუდის არაბეთს მნიშვნელოვნად უსწრებს კიდევაც.

ირანის სამხედრო საზღვაო ძალების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია სპარსეთის ყურეში (სადღაც 10 % კი განთავსებულია კასპიის ზღვაში). მის შემადგენლობაში შედის რუსული 877 "Палтус" პროექტის 3 წყალქვეშა ნავი, ასევე ადგილობრივი წარმოების 26 პატარა წყალქვეშა ნავი – ნაღმებით და ტორპედოებით აღჭურვილი, ასევე 6 ფრეგატი, 5 კორვეტი და 60 სარაკეტო კატარღა (ჩინეთსა და გერმანიაში წარმოებული).

აქედან გამომდინარე, ირანს აქვს უპირატესობა საზღვაო ძალების მხრითაც. ამის გარდა ირანს გააჩნია საკუთარი სამხედრო წარმოება, რომელიც უზრუნველყოფს თავის შეიარაღებულ ძალებს ძირითადი დამაკომპლექტელები მასალებით, რაც დამოუკიდებელს ხდის მას გარე ფაქტორების გავლენისგან. ასევე, ირანმა დიდ წარმატებას მიაღწია სარაკეტო წარმოებაში და გააჩნია 400-ზე მეტი ბალისტიკური რაკეტა, ახლო და შორ მანძილზე სასროლად.

ყველაზე უფრო სავარაუდო სცენარი ირან-საუდის არაბეთს შორის კონფლიქტისა არის სირიასა, ერაყსა და იემენში კონფლიქტის უფრო მეტად გამწვავება, რადგან პირდაპირი სამხედრო შეტაკების ალბათობა ამ ეტაპზე გეოგრაფიული მდებარეობის გამო შეუძლებელია (ერთმანეთს არ ესაზღვრებიან). ამიტომ, მხარეები გააძლიერებენ თავიანთ მონაწილეობას სირია-ერაყ-იემენის ფრონტებზე, რაც არაფერ კარგს არ მოიტანს და კიდევ უფრო გააგრძელებს იქ მიმდინარე ჰიბრიდულ ომებს. საუდის არაბეთის აქილევსის ქუსლად შეიძლება იქცეს იემენი, სადაც გადასროლილი ყავს 150.000-იანი კონტიგენტი, თავისი 185 ერთეული საჰაერო მანქანით და, მიუხედავად ამისა, ძლივს უმკლავდება ერთ ციცქნა აჯანყებულებს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, როგორც ადრე აღვნიშნე, საუდის არაბეთის არმიის დაბალი ბრძოლისუნარიანობა და აჯანყებულების კომპეტენტური ქმედებებია, რომლებსაც ირანელი ინსტრუქტორები ეხმარებიან. თუ ეს დახმარება უფრო ინტენსიური გახდა და საქმეში ასევე საუდის არაბეთში კომპაქტურად მცხოვრები შიიტები ჩაერთვნენ, მაშინ ელ-რიადი კატასტროფის წინაშე დადგება. ყოველ შემთხვევაში ასეთი სცენარი – მინიმუმ ომი – გამოფიტვამდე გაგრძელდება.

თუ მართლა გაჩაღდება ფართომაშტაბიანი ბატალიები, ძირითად პოლიგონად სპარსეთის ყურე, ასევე ერაყის, კუივეიტის, ყატარის ტერიტორიები იქცევა. (ისინი ირანსა და საუდის არაბეთის შორის მდებარეობენ) თან დღევანდელ დღეს ერაყი ირანის მოკავშირედ მოიაზრება, ხოლო ყატარი, ერთჯერადად, საუდის არაბეთის მოკავშირეა. ერთი შეხედვით, საუდის არაბეთის და მისი მოკავშირეების ერთობლივი შეიარაღებითი უპირატესობა აშკარად ჩანს, მაგრამ ირანს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი კოზირი– ის აკონტროლებს ორმუზის სრუტეს და მის უშუალო საზღვრებთან ომი არ მიმდინარეობს. ირანის საზღვაო ძალებს ადვილად შეუძლიათ დაკეტონ სრუტე ისე, რომ ვერცერთმა მოწინააღმდეგის გემმა იქ ვერ გაიაროს, რაც ეკონომიური კატასტროფის ტოლფასი იქნება სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის, რომლებიც ძირითადად ამ ყურის საშუალებით ახერხებენ ნავთობის ექსპორტირებას. ხოლო თვითონ ირანს ეს ხელს არ შეუშლის გაიტანოს თავისი ნავთობი. იმის გარდა, რომ საუდის არაბეთი და მის მომხრეებს – ყატარს, ემირატებს, კუვეიტს შეუჩერდებათ ნავთობიდან შემოსავლები, ისინი ასევე დაკარგავენ გასაღების ბაზარს, რომელსაც დიდი სიამოვნებით დაიკავებს თვით მისი ერთ ერთი მოკავშირე **აშშ**, ასევე რუსეთი, ეგვიპტე და თვით ირანიც კი.

თუ ომი გაიწელა დროში, მას ექნება აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი შედეგი – ორივე მხარე შეეცდება მიაყენოს ერთმანეთს დარტყმები ბალისტიკური რაკეტებით (აქ ირანს შეუძლია უფრო მძლავრი დარტყმა მიაყენოს მოწინააღმდეგეს), ასევე შეუძლიათ ააბუნტონ ერთმანეთის პოლიტიკურ ოპოზიციური და რადიკალ-ისლამისტური ძალებიც, რომლებიც სპარსეთის ყურის ქვეყანებში უამრავია, რასაც საბოლოოდ შეუძლია გაანადგუროს ახლო აღმოსავლეთის რეალური სახელმწიფოთშორისი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, და რამდენიმე წელიწადში რეგიონში ახალი პოლიტიკური რუკა წარმოიქმნას.

ორი ყველაზე აქტუალური შეკითხვა. რომელიც დღეს ავტომატურად ისმება. არის:

**პირველი:** რა პოზიციას დაიკავებენ მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე დიდ მოთამაშეები – აშშ და რუსეთი. **მეორე:** ასევე, რა პოზიციაზე იქნებიან დიდი სუნიტური ქვეყნები – პაკისტანი, თურქეთი და ეგვიპტე. პირველ კითხვაზე პასუხი აშკარაა, რომ აშშ-საც და რუსეთსაც, როგორც წყალი ისე აწყობთ ამ კონფლიქტის ესკალაცია, რათა ნავთობის ბაზარში შექმნილი გამონთავისუფლებული ადგილები შეავსონ და, აქედან გამომდინარე, ნავთობის ფასი აკონტროლონ. ამიტომ, ორივე ქვეყანა შეეცდება კონფლიქტი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს და თავიანთ **„მოკავშირეებს"** (აშშ – საუდის არაბეთს, რუსეთი – ირანს) ამაში ყოველნაირად დაეხმარებიან. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, აქ პაკისტანის ომში ჩაბმა ნაკლებსავარაუდოა, რადგან მას თავისი პრობლემები აქვს ინდოეთთან – ქაშმირის პროვინციაზე და, არ მგონია რომ გარისკოს ფართომაშტაბიან კონფლიქტში ჩაბმა. ეს მისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. არ მგონია ეგვიპტეც ჩაებას ფართომაშტაბიან ომში ორი ფაქტორის გამო:

**ერთი** – სავარაუდო საბრძოლო მოქმედებების არეალი საკმაოდ შორს არის ეგვიპტიდან, და **მეორე** – ისიც ასევე დაელოდება თავის წილს ახალი ნავთობის გასაღების ბაზრიდან. რაც შეეხება თურქეთს, ის აშკარად აგრესიული პოლიტიკით გამოირჩევა და შეუძლია ჩაერიოს კონფლიქტში და გააქტიუროს მოქმედებები ერაყსა და სირიაში. მაგრამ აქაც არის ქურთების ისეთი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია თვით თურქეთს იქით შეუქმნას ანგარიშგასაწევი პრობლემები.

რაც შეეხება საქართველოს, საუდის არაბეთ-ირანის კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში მოსალოდნელია ჩვენთან ირანელი მიგრანტების რიცხვის საგრძნობლად გაზრდა და ასევე სასწრაფოდ დადგება თბილისი-სოჭის რკინიგზის მონაკვეთის გახსნის აუცილებლობაც. რაც, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებისგან დაცვის გარანტიის მთავარი ფაქტორიც გახდება.

**ვიქტორ ცაავა**

---

## როგორ „იცავენ" სამართლის მცოდნენი სიმართლეს, ანუ ადვოკატ კახაბერ ქარდავას საძმოს საქმენი „საგმირონი"

*(გაგრძელება მე-10 გვერდიდან)*

ტრაგედია არ არის ერთი და ორი ქურდი იყოს ქვეყანაზე. ტრაგედია ისაა, რომ სასამართლო ორგანოებშიც გაიდგა ფესვი ქურდულმა სამყარომ და ამ უსამართლო ქვეყანაში, ხშირად, სამართალს ქურდები განსაზღვრავენ (მაგრამ ეს უანგაროდ არ ხდება) და არცაა უსაფუძვლო ხალხიც რომ მათ უწევს მეტ ანგარიშს და მფარველობასაც, რადგან ხალხს, ხელისუფლების სულიერი უსუსურობის გამო, არაფერი შერჩა მოსაპარი და, ალბათ, ამიტომ ბაცაცა ქურდები მათ მეტ თანაგრძნობას უწევენ. ხოლო მათთან კავშირს ვინც განერიდება, არასანდო და ჩამშვებ პიროვნებად მოიხსენიება.

კონკურენტად არსებული ქურდული სამყარო სააკაშვილის ხელისუფლებამ რომ შეავიწროვა, უფრო ძლიერი სახელისუფლებო ქურდების უკმაყოფილო საზოგადოებაში ხშირად გაიგონებ ხოლმე: აუცილებელია ქურდების ინსტიტუტის აღდგენაო. საზოგადოებაში ასეთი პრიმიტიული აზროვნების ჩამოყალიბება **"მელა მოსამართლეთა" "მოღვაწეობის"** შედეგია.

ამიტომ არავითარი სურვილი არა მაქვს ამ საქმეზე ვინმე ციხეში ჩაისვას, მაგრამ აშკარაა, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი და ამ დანაშაულზე ხელის დაფარება, როცა ყველაფერი ეს ნათელი გახდა ჩემთვის, არ შემეძლო. ხოლო ვინც ამ დანაშაულზე ხელის დაფარება იკისრა, ის არანაკლებ დამნაშავეა.

მიუხედავად ყოველივესი, არავის სიძულვილი არ მაქვს. მე მათში არსებულ ბოროტებას ვერ ვიტან და დიდი სურვილი მაქვს და ჩემი ოცნებაა ყველა ბოროტმოქმედში არსებული სავლე პავლედ იქცეს. და აქ მოხსენიებულ დამნაშავეთაგან რომელიმეს, რომ ყოფნიდეს ვაჟკაცობა და აღიარებდეს თავის დანაშაულს, პირადად მე გულწრფელად ვაპატიებდი.

წელიწადნახევარია რაც სიმართლისათვის ვიბრძვი, რამდენი ნერვების მოშლა გადავიტანე ამ ხნის განმავლობაში, რამდენი დრო და ენერგია დავხარჯე და ამას 184 ლარის გულისათვის ვაკეთებდი? 184 ლარი, თუ მეტი არა, ამ საქმესთან დაკავშირებით, გზაში მექნება დახარჯული, მაგრამ აქ ფულზე არ არის საქმე; თითქმის, 0,5 მილიონი ლარის ქონება დავტოვე სოხუმში, მაგრამ თავი არ მომიკლავს. მაინტერესებდა გამეგო როგორ იცავენ **„სამართალდამცავნი"** სიმართლეს და უწერია თუ არა მრავალ ჭირგამოვლილ და ბედკრულ საქართველოს არსებობა, რადგან უსამართლო ქვეყანაში იზრდება ადამიანთა შორის უნდობლობა და დაუნდობლობა, საზოგადოების გათითოკაცება და ერთიანობის დარღვევა, რაც, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის წინაპირობაა და დღეისათვის, უკვე, ამისთვის ყველაფერი **„გენიალურადაა"** მომზადებული.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა" და „აიას" საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# დაუნდობელი სიმართლე – მაიკ ტაისონის ავტობიოგრაფია

*(გაგრძელება წინა ნომრებიდან)*



გაერთიანებული ტიტულის მისაღებად მორიგი ნაბიჯი იყო მსოფლიოს საკრივო ასოციაციის საჩემპიონო ქამრის მოპოვება. ის, ჯერჯერობით, ბრიუს სელდონს ეკუთვნოდა, მაგრამ დიდი ხანი ასე არ იქნებოდა.

სელდონის, როგორც მოკრივის შესახებ, მაღალი აზრი არ მქონდა და მას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. ბრძოლის წინ თითქმის არ მივარჯიშია. ბრძოლისწინა პრესკონფერენციაზე **"ნიანგი"** ჩემთან ერთად წამოვიდა და იმდენად შევაწუხეთ სელდონი, რომ მან აწონვის ცერემონიისას, ვესტიბიულში სკამზე აზიდვების კეთება დაიწყო. გაოგნებული ჩანდა.

მისი მენეჯერი ტრაბახობდა იმის შესახებ, თუ როგორი შესანიშნავი სპორტსმენი იყო სელდონი. მას შეეძლო მეოთხედი მილის გარბენა 15 წამში, სიმაღლეზე კი 40 დუიმზე ხტებოდა.

– რის გაკეთებას აპირებს რინგზე? – ვიკითხე – იქიდან ჭოკით უნდა გადახტეს?

მსოფლიოს საკრივო ასოციაციის საჩემპიონო ქამარი ორ წუთში დავიბრუნე. სელდონს თავის ზედა ნაწილში მარჯვნიდან დავარტყი. არადა, არ იყო ძალიან მძიმე დარტყმა. მას იდაყვითაც შევეხე და სელდონი დაეცა.

როგორც კი წამოდგა, მარცხენა ჰუკი გავისროლე, რომელმაც ის მუცელზე დააწვინა. ისევ წამოდგა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგა და რიჩარდ სტილმა ბრძოლა გააჩერა. ვფიქრობ, არც ერთ ამ დარტყმას არ უნდა გამოეწვია ნოკაუტი, მაგრამ მოგვიანებით, სელდონის მწვრთნელმა აღიარა, რომ მისი შეგირდი ისე იყო შეშინებული, რომ რინგზე ნერვული შოკი დაემართა.

– კასმა ასე მასწავლა: ორი ნოკდაუნი და მზად არის,– ვუთხარი ფრედი პაჩეკოს, რომელიც ბრძოლის შემდეგ ჩემგან ინტერვიუს იღებდა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ჯამში, რვა რაუნდი ჩავატარე და 80 მილიონი დოლარი გამოვიმუშავე. ადამიანები მხოლოდ ამას აქცევენ ყურადღებას. არავის და არასდროს არ გამოუხატავს პატივისცემა იმის მიმართ, რომ ციხეში სამი წელი ყოფნის შემდეგ გარეთ გამოვედი და ორი საჩემპიონო ტიტული მოვიგე. ძალიან მწყინდა ასეთი დამოკიდებულება.

სელდონთან ბრძოლის შემდეგ გასახდელში თუფაქი მოვიდა. გამეხარდა მისი ხილვა. თუფაქი განასახიერებდა შავი ადამიანების წარმომავლობას, აგრეთვე ყველაფერს, რის დამალვასაც ოდითგანვე ვცდილობდით. მასში იგრძნობოდა მწუხარება, უიმედობა და უილაჯობა, რომლის დამალვასაც თითოეული ჩვენგანი ლამობდა. სხვებს არ უნდა დაენახათ ეს და არ უნდა სცოდნოდათ, რომ უიმედობა ყველა ჩვენგანშია გამჯდარი.

შავი ადამიანი მუდმივად ებრძვის ამ გრძნობას. არ აქვს მნიშვნელობა – რამდენად მდიდარი ხარ ან გაქვს თუ არა ძალაუფლება – ის მაინც გდევნის. და თუფაქი ლაპარაკობდა შავებზე – მათზე, ვინც დაიღალა დამცირებისგან და ვინც ყველაფერი დაკარგა. თუფაქმა წარმოგვიდგინა ჩვენი მონური მემკვიდრეობა და შავების უმრავლესობამ დააფასა ის ამგვარი სიმამაცისთვის. მან თვალი აგვიხილა და აგვიხსნა – რატომ უნდა ვიყოთ განრისხებულები.

გვიან საღამოსთვის შუგა ნაითის (მერიონ ჰიუ ნაით-უმცროსი – ხმის ჩამწერი კომპანია Black Kapital Records-ის დამაარსებელი და გენერალური დირექტორი) **"კლუბ 662"**-ში დავგეგმე თუფაქთან შეხვედრა. მანამდე შინ წასვლა და ჩემს ქალიშვილთან რეინისთან გართობა მინდოდა. შინ ცოტა დავლიე და დავიძინე. ვიღაცამ გამაღვიძა: – მაიკ, თუფაქი მოკლეს.

ვერ ვიჯერებდი. ის მანქანით მგზავრობდა, საჭესთან შუგი იჯდა. გზაჯვარედინზე გაჩერდნენ და მეზობელი მანქანიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს. საქმე ისაა, რომ ჩემი ბრძოლის შემდეგ თუფაქს კაზინოში ჩხუბი მოუვიდა ერთ ბანდიტთან და მას სახეში ხელი გაარტყა. რა თქმა უნდა, ამ ინციდენტის შემდეგ თუფაქი ფრთხილად უნდა ყოფილიყო.

როცა ბრძოლის შემდეგ რინგიდან გავდივარ, ზღვარზე ვიმყოფები – გარშემო ყველაფერს ვამჩნევ, ყველანაირ სუნს შევიგრძნობ, მესმის ნებისმიერი ხმა დარბაზში. ცხადია, რომ თუფაქიც ზუსტად იგივეს გრძნობდა თავისი ჩხუბის შემდეგ – ცუდის მოლოდინში ყველაფრისთვის იყო მზად. ასე რომ, ის შეუკვეთეს – ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა და არა შემთხვევითი ორმხრივი სროლა.

ქუჩის ბიჭი ვიყავი და მთელი ეს ისტორია უცნაურად მომეჩვენა. როგორც წესი, ასეთ ბიჭებს თავიანთ გუნდში ორმოცამდე პირადი მცველი ჰყავთ. შუგას მანქანის გარშემო არ იყო მისი გარემოცვის არც ერთი ავტომობილი, რომ მოძრაობის ბლოკირება მოეხდინა? თუ თუფაქი მათი მთავარი სტუმარი იყო და მას ჩხუბი მოუვიდა, ხომ უნდა ეზრუნათ მის დაცვაზე. სად იყო დაცვა? საშინელი საღამო გამოვიდა.

თუფაქი მხოლოდ 25 წლის იყო, მაგრამ მიზანმიმართულობა და ნებისყოფა გააჩნდა. საიდან შეიძინა ეს თვისებები? კეთილშობილი, დიდსულოვანი და მზრუნველი იყო და ამასთან, ნამდვილი მებრძოლი. შესანიშნავი ადამიანი გახლდათ.

ახლა ორი საჩემპიონო ქამარი და ტონობით ფული მქონდა. ბედნიერი და საკუთარი თავით კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ უკვე სულ სხვა ადამიანი ვიყავი. მუდმივად დეპრესიაში ვიმყოფებოდი, თავს უბედურად ვგრძნობდი. და თვითმკურნალობა დავიწყე. ციხეში ყოფნისას, ძალიან მინდოდა მარიხუანას მოწევა, მაგრამ ვერ ვბედავდი, რადგან იქ ხანდახან ნარკოტესტებს ატარებდნენ. მაგრამ ახლა ჩემს განკარგულებაში იყო ფსევდო დოქტორი სმედი და ვიცოდი, რომ ის იზრუნებდა ჩემი შარდის სისუფთავეზე.

ვიცი, რომ ნამდვილი მუსულმანები არ ეწევიან მარიხუანას, არ ყნოსავენ კოკაინს, არ სვამენ შამპანურს, მაგრამ მე ბევრი სიბინძურე გადავიტანე. დარწმუნებული ვარ: ალაჰმა იცოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში გამაოგნებლად ბევრი სიბინძურე იყო და თან მე არასაკმარისად ძლიერი ვიყავი მის გასამკლავებლად.

რაღაც სისულელის გამო დაიწყო სასამართლო პროცესი ლუისთან. სელდონთან ბრძოლის შემდეგ იძულებული გავხდი უარი მეთქვა მსოფლიოს საკრივო საბჭოს **(WBC)** საჩემპიონო ქამარზე. ლუისი აუცილებელი პრეტენდენტი იყო, მე კი ტიტულების გაერთიანება მინდოდა და მასთან ბრძოლაზე უარი ვთქვი. ასე რომ, შემრჩა მხოლოდ მსოფლიოს საკრივო ასოციაციის საჩემპიონო ქამარი, ჩემი შემდეგი მეტოქე კი ევანდერ ჰოლიფილდი იყო.

მე რომ 1991 წელს მეჩხუბა ჰოლიფილდთან, როგორც ეს თავიდანვე იყო დაგეგმილი, მას ნოკაუტში გავუშვებდი. მან ეს იცის. მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამართლება ის იყო, რომ ციხეში გამისტუმრეს. სწორედ მაშინ დავკარგე მომენტის სწორად შერჩევის უნარი.

ამ მომენტისთვის, ჯერ ისევ არ ვიყავი საკმარისად გამძლე და ამტანი იმისთვის, რომ რინგზე ძველებურად რვა რაუნდისთვის გამეძლო. ვეუბნებოდი ყველას, რომ მზად არ ვიყავი უმაღლესი დონის ბრძოლებისთვის, მაგრამ დონ კინგი მიბიძგებდა ამისკენ, მე კი ფული მინდოდა. ხარბი ვიყავი, ამიტომაც დავთანხმდი ამ ბრძოლას.

წინა შეხვედრებში ჰოლიფილდი სულაც არ გამოიყურებოდა შთამბეჭდავად. მან ორი ბრძოლა წააგო, თუმცა აქტიური იყო. ვუყურე მის ჩხუბს ნახევრადმძიმეწონოსან ბობი ჩეზთან (ამერიკელი პროფესიონალი-მოკრივე. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ნახევრად მძიმე და პირველ მძიმე წონით კატეგორიებში).

იქამდე, სანამ მეათე რაუნდში წააგებდა, ჩეზმა მას შავი დღე აყარა. ასე რომ, ჰოლიფილდთან პირველი ბრძოლისთვის ძალიან სერიოზულად არ ვემზადებოდი. მართალია, მისი ბრძოლები ნანახი მქონდა, მაგრამ თავი არ შემიწუხებია გარკვეული სტრატეგიის შესამუშავებლად. ჩვეულებრივ, გავდიოდი რინგზე და ვურტყამდი მეტოქეებს. ამ ბრძოლაზე ბუკმეკერების ფსონები ჩემ სასარგებლოდ იყო.

მოგვიანებით გავიგე, რომ **"ნიანგი"** ინფორმაციას იღებდა ზოგიერთი მოხერხებული ბიჭისგან, რომლებიც ახლოს იყვნენ კრივის სამყაროსთან და საკუთარ თამაშს თამაშობდნენ. ჰოლიფილდი სადღაც მთებში 17 კვირის განმავლობაში გიჟივით ემზადებოდა, მაგრამ **"ნიანგი"** შეცდომაში შეჰყავდათ – ეუბნებოდნენ, რომ ევანდერი ფორმაში არ იყო.

– მაიკ, შენ ბოლოს მოუღებ ამ ბიჭს, – მეუბნებოდა ის.

*(გაგრძელება იქნება)*

---

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

---

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

---

## იუმორი

– ქუთაისელი მეგობარს შეხვდა:
– რაია, ბიჭო, რა კარგად გაცვია, ვისია ეს კოსტუმი?
– პიერ კარდენის!
– შარვალი ვიღასია?
– შარვალიც პიერ კარდენისაა!
– "საროჩკა"?
– "საროჩკაც" პიერ კარდენისაა!
– სულ დაკარგე, ბიჭო, ნამუსი?! ტიტველი დატოვე კაცი?

* * *

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:
– რაო, ძამა, რა ქნა ჩვენმა გუნდმა?
– რა ვიცი, ძამია, 11:0 წაუგიათ.
– კი მარა, რაიო, ჩვენ მეკარემ, რეიზა არ წავყევი გუნდსო?!

* * *

– ძვირფასო, ნახე, შენი პერანგი როგორ გათეთრდა? მე ის "ტაიდით" გავრეცხე!
– კარგია, მაგრამ მე ის ლურჯი ზოლებით უფრო მომწონდა...

* * *

ოსმა სანტექნიკოსი გამოიძახა:
– უნიტაზი დამირეგულირე, თორემ წყალი ისე სწრაფად ჩამოდის, რომ პირის დაბანას ვერ ვასწრებ!

---

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**



დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 593-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

---

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge